

პ რ ი ლ ი

(153)

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

25 პაიტი

1134
2000

ფასი 50 თეთრი

RAGA

#8 2000



„ელიტმა თავისი სამყარო შექმნა - უღიმღამობის, უაზრობის, არარაობის, აშშორებული არხების, ლონდონის ქუჩების სამყარო, სადაც გამკლულები მიცვალებულთა ანრდილებს უფრო გვანან, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს.“

ჩესლავ მილოჩი

პრული ბაზათი

თბილისის ბარდები

პ რ ი ლ ი

პრილი

საზოგადოებრივი-ლიბერალური
ასოციაცია "პრილი" გაეფუძვნა

პრილი - დასასვენებელი სიწმინდეოა(ნი)
სულჯან-საბა

პრილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ძარბაზლი მისს
ბანარტაბათი ლეჟიონი

მთავარი რედაქტორი შადიან შამანაძე

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
გია გორგოძე
თამაზ ვასაძე
ნინო ზურიაშვილი
ზაზა თვარაძე
ვახტანგ კომახიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

ღირსმოწერი
მიხეილ ჩიტაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე

ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5

ფურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე



№8 ხუთშაბათი, 25 მაისი, 2000
გამოდის ორ კვირაში ერთხელ

პიორამი ლეონიძე - 100

ანდრო ბუაჩიძე მინით შესვრილი ლექსი.....	1
ნოდარ შამანაძე მოგონებები გიორგი ლეონიძეზე.....	2
ლიბერალურა	
ზურაბ ლეჟანა თავისუფლების სუსხიანი ნაკენი.....	6
მანა სარიშვილი ლექსები.....	9
აპის ზღაპარი.....	10
ზაზა აბაშიანიძე ბუსუნსულები.....	13
ინგოროძე ბახმანი სიზმრების მალაზია.....	14
პერსონა	
ჩისლავე მილოში ფიქრები ტ.ს.ელიოტზე.....	16
რობერტ ლოუელი: საუბარი ტომას სტერნს ელიოტის შესახებ.....	19
ტომას სტერნს ელიოტი ქოროები "კლდიდან".....	22
თემატური ძალაში - პრაპა	
შან-შაპ ვოლე გოლემის მინა.....	24
ვილიკა შარდენი მილან კუნდერა "შინ".....	27
პოსტპოდიანი და ..ნობორის დასასრული..	
მადი სერიპრიაკოვა პოსტმოდერნი - ხელოვნების დეკონსტრუქცია თუ რეკონსტრუქცია.....	29
ფრანსის ფაუპიაშა "კულტურული ომები" და სამოქალაქო საზოგადოება.....	33
უპალინსტიკა	
ია ანთაძე შევარდნაძის სამთავრობო საიდუმლოებები.....	37
ზაზა ფაჩუაშვილი მომავლის გაკვეთილი.....	40



ახარო გააჩიძე

XXI საუკუნის მიჯნაზე გიორგი ლეონიძე ახი წლის შესრულდა. ეს თარიღი შარშან ძალზე მოკრძალებულად აღინიშნა. არადა ახალი დროების შესაყარზე ამ თარიღს სიმბოლური ელფერი გადააშვრავს. პრაგმატული სტრატეგიების და კომპიუტერული სასაზღვის ვიკოქში გიორგი ლეონიძის პოეზია თავის სიღრმისეულ აზრს და ცხოველმოსილებას განხალებული ნიშნით წარმოაჩენს. ამ პოეზიაში ადამიანური არსებობის ისეთი ელემენტებია შედუღაბებული, რომელთა რღვევაც დღევანდელი სამყაროს ტრაგედიად ქცეულა. ეკოლოგიური კატასტროფების, ტოტალური ტექნიზაციის, სუროგატების მომრავლების ხანაში გიორგი ლეონიძის შემოქმედება, ერთგვარად წინასწარმეტყველურ აზრსაც ფლობს და გვაბრუნებს კიდევ არსებობის პირველსაწყისებთან. ის თითქოს იმას უფრთხილდება და ეცლება თავს, რის სიმწირეც დაასწულა თანამედროვე ქვეყნიერება. ლეონიძეს სხვაგვარად არც შეეძლო. ამ პოეტის შთავონება იმათითვე სამყაროს პირველსაწყისთა ცხოველყოფილიდან იღებდა სათავეს. გიორგი ლეონიძის შთავონების წრეში ყველაზე მრავლისმომცველი ცნება სამშობლოა. სიცოცხლე სწორედ სამშობლოს შგნით იქნეს აზრს. პოეტისთვის სამშობლოს ფენომენი განსაზღვრებას არ ექვემდებარება. ეს არის ადგილი, სადაც როგორც თავადვე იტყვოდა:

*ულამა ზესი მხოლოდ ის არის
კინც აესებულა თავის დროს ძალით -
ადიდებული, დამწიფებული
ყანა, მდინარე, უენახი, ქალი.*

სამშობლოს ცნებაში ყველაფერი ორგანულადაა გაერთიანებული და შერწყმული. ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება და ეწყვილება. ეს კავშირი ისეთი მჭიდროა, რომ წარსულსა და აწმყოს შორისაც ნაშლილია ზღვარი. ჩემი აზრით, საქართველოს ისტორიის ლეონიძისეული ალქმა შესაშური უშუალოებით და სინრფელითაა აღბეჭდილი:

*მე ვკითხულობდი "ქართლის ცხოვრებას"
წუხელის დიდ ხანს, ვათენებამლი.
როგორ ველეწავდნენ, ჩემი ქალაქი,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!
გამოეკარდები, ზარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიზარან, რომ ისევ დგებარ!*

იგივე ალქმა გაცხადებული მხვა ლექსის სტრიქონებშიც - არანაკლებ მწვავედ და მხედრად:

*უცხად მეგონა სუნი დამწერისა
თუქურის ხანძართ ნატისუალი,
თითქოს მან ქართლი ამ წაშლ გასრისა
და ერთი ფეხით ვერ მიუწესწარი.*

"ქართლის ცხოვრების" კითხვის პროცესში წარმოშობილი აზრები და შთაბეჭდილებები საესებით განკერძოებული მოტივებია გიორგი ლეონიძის პოეზიაში. ოღონდ აქ თვალშისაცემია არა ვრცელი მედიტაციები, არამედ ელფისებური განცდა, წარსულის წამიერი წვდომა, რომელიც პოეტისთვის სიცოცხლის უმძაფრესი შეგრძნებებისაგან განუთიშველად არსებობს. ლეონიძე ერთვან თუ ენოსვით გრძნობს ქართლის წახანრავლებს, სხვაგან მასვილი ყურთახმენით იქნეს მშობლიურ წიაღში აღძრულ კვებსას:

*როგორ მტანჯავდა, როგორ მესმოდია
რა ყურმა წვილად მეყურებოდა...
ჩემი სამშობლიო როგორ კვესიდა,
ლობის ძახლი მეყურებოდა.*

მიწით შესვრილი ღემსი



ზოგჯერ რომელიღაც პოეტის ანთეოსს ადარებენ და ეს შედარება მეტად თუ მეტულად ესადაგება მას. გიორგი ლეონიძე კი ნამდვილი ანთეოსია, მინის ცხოველყოფილი მადლის გარეშე მისი პოეზია წარმოუდგენელია. მინა ლეონიძესთან სამშობლოს სინონიმია, წინაპართა ძველთშესალაგია, ნაყოფიერების გრძნული წიაღია. გიორგი ლეონიძის პოეზიაში არცერთი სიტყვა არ არის შემოსველი და "მინაც" მეტაფორულ მნიშვნელობას მიეღი მისი პოეზიის კონტექსტში იქნეს: "აქ ისტორიამ გადიგრი-ალა და მინა ჩუმად სინჯავს ტკივილს", "აქ დაევცმა მინაზე აულერებულ სიტყვებში", "ამ მტევენმა, ამ ბარაქამ ჩემს მინის გულს გადაშაბა". და ა.შ. ყველა ამ სტრიქონში პოეტის სწორედ ანთეოსური ძალმოსილება გამოიჭევის, მაგრამ ჩემი აზრით, განსაკუთრებულია ლექსი "სვეტიცხოველი". ამ ლექსში ლეონიძე განცუბის ნებით კურთხეულ უბრალო ხეს მიმართავს და აი, რა საკვირველი სიტყვებით:

*აღვის შტო იყავ, სარო, ლამაზი
მოკვეუთს თურმე, ზეცას წაწვლი...*

საქართველოს
ეროვნული

მოკრა პაპანაძე

მობონებაში ბიორგი ლეონიძეზე

ფოლკლორული ექსპლეციის დამთავრება პატარა სუფრით აღვინშეთ, რესტორან "თბილისში" ესხედვართ. გოგლაც ჩვენთანაა. ჩვენთან არის აგრეთვე ოსი ფოლკლორისტი ზაირა აბაყა, სიღამაში და მოხდენილობით ფეკლას ყურადღებას არც იქცევს. იგი პოეტის გვერდით ხის.

გოგლამ ადღევრებლა, ფრთიანი სიტყვებით შეამკო. მერე ზუმრობაში გაუტარა, მაკოცეო. მან უპასუხა, ოსურ ნართოში ქალი მეტად მოკრძალებული და ხათორიანი გამოიყურება. მას შეიძლება აკოცო, ის კი არამც და არამც არ გააკოცებო. გოგლა გააღეხვია და ჩაკოცნა, მერე ექსპრომტიც მოაყოლა:

*ქართული მშით ვა ზრდილ ზარამ
ეშით ეული გამობ ზარა,
თუმც მუორედ არ ვაკოცებ,
არ ჩამივალის აბე ზარად.*

ბიორგი ლეონიძე თელავში მიწვიეს. დანიშნულ დღეს რაიკომის წინ უამრავი ხალხი მოზღვადა. დიდი ინტერესით მოულოან მირფას სტუმარს, წუთი-წუთზე რომ უნდა გამოჩნდეს. დამხვედურთა შორისაა ხალხური პოეტის არჩილ შიშანაშვილი. ყინაღ მიდი-მოღის, უხარია, ჯიბეში გოგლასადმი მიძღვნილი ახალი ლექსი უდებს. იმედი აქვს, თავს ისახლებეს. მაგრამ ეს ვინაა გამოჩნდა? სიკო ჩანგაშვილი! არჩილი მიეჭრა:

- შენ რა ვინდა აქ, ენი დეგაპატოტა?

*სადა ხარ, მტკვარზე მოჭრილი ხეო,
ნუთუ არ წავგვია მიწის ნალექლი?
ჩამო, აკეცავდი... ბრწყინავს მისი,
ვევლა ხეების გამოშრარ ხველი...*

საერთოდ ამა თუ იმ პოეტის მიმართება ბუნებასთან მრავალგზის გამოყენებული სიტყვებით აღინიშნება. ვთქვათ, "პოეტი ხატავს ბუნებას", "პოეტი უმღერის ბუნებას" და ა.შ. ეს გაცვეთილი სიტყვა-თქმანი ლეონიძის შემოქმედებს არ მისხადადგება, ვინაიდან პოეტი საკუთარ თავს ბუნების განუყოფელ ნაწილად აღიქვამს. და ეს აღქმა მხოლოდ ცალკეულ ფრაზებში არ გამოსჭვივის ("შე ამ თუთის გაზრდილი ვარ განა, მისი სიტკობი ჩემს ძარღვებში სწევითავს", "და ვგრძნობ არასდროს მოგვედები" და სხვა), მთელ მის პოეტურ შემოქმედებაში განფენილი. ბიორგი ლეონიძის პოეზია ბუნებასთან შერწყმის, ბუნებასთან თანაზიარობის, თანაარსებობის დღდასტურებაა.

*ჩემ სიტყვას ზრდიდა ნაყური
რძევახილ კვირტის ძაღვებს...*

უკვე ნახსენები მინის მეტაფორული განზომილებაც სხვა პერსპექტივას იძენს, როცა საკუთარ ლექსზე ამბობს პოეტი:

*დღეს ხეობებში ჩემი ლექსი ჰქრის
მწიფით შესურვილი, ტახის ღონისა.*

სწორედ ამიტომაც, რომ ბიორგი ლეონიძე ბუნების ნაწილად აღიქვამს საკუთარ თავს, მისი შემოქმედება მოკლებულია ვინრო ნაციონალისტურ ელფერს, მოკრძალებულია, უშურველი და უანგარო. მის სიცოცხლისმიერ ლტოლვას ეს ზნეობრივი სიძლიერეც ახლავს. სხვაგვარად ვერ შეიქმნებოდა "ოლე", "წინწინწინის ღამე", "ყივჩაღის პაემანი" და ყველა ის ბრწყინვალე ლექსი, რომელთა შეფასებაც მომავლის საქმეა.

თუ ჩვენს ქართველებით აღსავსე დროში, ახალი ასწლეულის მიჯნაზე ბიორგი ლეონიძე ჩვენი არსებობის ქვაკუთხედისაკენ გვაბრუნებს, თუ მან ჩვენს ძარღვდაშრეტელ საუფუნეში სიცოცხლის უსახლგვრო საბადო ჰპოვა საქართველოს მინაში, არც ჩვენ უნდა ვიყოთ ამ პოეტისადმი გულგრილნი.

ბარილი





- გოვლას უნდა მივცასლო, - უხსუსუხა მან და ჯიბეზე ხე-
ლი გაიკრა. ლექსი მასაც შუადა აქეს.

- აბა, წაიდა ახლა აქედან, სანამ გცემდე!
არჩილმა სიკო ერთხელვე რომ დაიბრუნა, მერე
ხელს ვეღარ უბრუნებს, ბალდივით ემორჩილება. ახ-
ლაც უხმოდ გამოირდა, ვერხვებს ამოეფარა, თან ცა-
ლი თვალით გზისკენ იჭყიტება, ერთი სული აქვს გოვ-
ლას მოსვლამდის.

სულ მალე ვერხვების მხრიდან ხმამაღალი ლაპა-
რაკი მოისმა. სიკო ჩანავსული მასზე დაბალი რანგის
სახალხო მოქმელს ვანო კუდიანაშვილს უჯავრდება,
რატომ მოეხეტე, აქ ვინ მოგიწვიაო.

ამ ხალხური მოქმელების ამბავი გოვლას რომ
უამბეს, მან გაიყინა: მეტოქეობა და ჯიბრი მარტო მწერლობა-
ში კი არა, სახალხო მოქმელებშიც ყოფილაო.

ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელმა შერმადინ
რინანმა დღეს მიაბოძა: "სამედიცინო ინსტიტუტთან ვიდექი. უც-
რე ჩემს წინ "ვოლგა" დამუხრუჭდა. მანქანის ღია კარიდან გოვ-
ლამ შემომბუსუნა, წამო, სამსახურში თუ მოდიხარო. ჩავუვკეი.
მის მანქანაში არასდროს ემედარებარ და უხერხულად ვიშეშ-
ნებოდი. დაბნეულობა რომ შემატყო, გამიღიმა, ვაითო პაემანზე
იფავი და ხელი შევიშალეო. მერე ვანის წარწერებზე გამოიხსა-
ვია. ერთი წარწერა ვუთხარი, ქალი წერს: ჩემსავით ლამაზი
ქვეყანას ზედა არ იპოვებოდიო. ეს ვისზე შეიძლება ვთქვაო
ჩვენს ინსტიტუტშიო, მკითხა. იქ ასეთი არავინ მეგულედა-მეთ-
ქი, ვუპასუხე. რას ამბობო, ჩვენს ინსტიტუტში ისეთი ქალები
არიან, თითოეული მათგანისათვის საერთოაოცებს შეიძლება. ომი
დაეწყეთო. იგი ცოტა ხანს გაეყურა, მერე დაუმტაცა: აი, თუნ-
დაც ჭკონია, კარბელაშვილი, მეგრელაშვილი, ყფოშიძე, დანე-
ლია... რომელი ერთი ჩამოეთვალეო?!"

დავით გოვოტურმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. დე-
სერტაცია ღაღო ბალაურის ოჯახში აღინიშნა გულუხვი სუფ-
რანი. გოვლა ცოტა მოვიგანებით შემოიხიროხდა და ჩემს
ვევრდით დაგლა. ხშირად მხარზე ვიყინებოდა. ლექსი რომ
მომიხდევნი, ამ ხალხთან თქვი, ხეცურებმა პოეზიის ფადრი იც-
იანო, ჩამილაპარაკა. ვთქვი... ლექსი ასე მთავრდებოდა:
*გავიძელე ჯარისკაცებს,
შე უბოხის მარშალი!*

გოვლამ ვაითომ პირველად მოისმინა, გაკვირვებით შესძახა:
- ეს რა თქვი, კაცო, პოეზიის მარშალი! ცოტა ხანში, ალ-
ბათი, გენერალ-სიმუხოსასაც მომბანიებე!

- გენერალ-სიმუხოს მამონ გიყოფო, პოეტებში მარშალი
თუ ვინმე გამოჩნდა, - უთხრა არჩილ სპარსისავილმა.
- გოვლას გარდა, მარშალიც არა, გენერალიც აღარ
გვეყავს, - პოეტებს წყალი გადაუწურა ნანტყელიმონ ბერაკიმ.
- არც ვერცა საქმე, თავი ყველას გენერალად მოაქვს, ვფერე-
ტრობა აღარავის უნდა! - თქვა გოვლამ.
- ქეთია სინარულიძე და ელენე ვირსალაძე წამოდგნენ, უნ-
და დატყუებოთო. გოვლამ გადმოვილაპარაკა, ადექით, გააცი-
ოლო, ხელი მოითხოვო.

-...გოვლა უკუთო ჩაფიქრდა, მერე თავი ასწია, სუფრას თვა-
ლი მოატრია და გაღიმებულმა შესძახა:
ხეცურნი იბრძვის გმირულად, ხელი აქვს ხმლისა ტარზე-
და,

ყორნები ლემით ძებნიან მის ნაბიძოლ-ნაბიძულად.
გოვლამ გადახორტილ თავზე დამხედა და მისაყვედურა,
როგორ ბეჭენწელა ცხვარივით გაკვირდებარ, ავერ მე ამდენი
ხნისა ვარ და თმა მაქვსო. თმა კი არა, ფაფარი გაქვი-მეთქი,
შევიცინე.

- პო, ფაფარი მაქვს, ლომი ვარ, ლომი! - სახე გაემაზრა და
კვება ტორი თავზე დამალო.

სუფრას ვუსხედვარი რესტორან "ყაზბეგში". მიხეილ ჩი-
ქოვანი თამადაობს. გოვლა და "დინამოს" მეკარე სერგო კობრი-



კაძე გვიან შემოგვესწრნენ. თამადამ გოვლას სადღევრდელი
წამოიწყო. გოვლამ შეაჩერა, წამოგდა და თქვა: კობრიკაძეს
გაუმარჯოს, საქართველოს მეკარესო. სტალიონზე მარტო ბურ-
თის თამაში კი არა, ბრძოლაა ეროვნული ინტერესებისთვისო.
მერე ცოტა ხანს უჭყურნდა და ხმას აუწია.
- ხერგო სტალიონკაძე და გიორგი ლეონიძე საქართველოს
მეკარეები არიან!

- არა, ბატონო გიორგი, თქვენ თავდამხმელი ბრძანდებით!
- შესძახა იოსებ მეგრელიძემ.
- პო, სწორია, სწორი! - დაეთანხმა გოვლა და სადღევრდე-
ლო გალაკტიონის სიტყვებით დაამთავრა:

*გული გჯერნეს უსეტყავს თოვლისა,
საქართველო უბირეკულს ყოვლისა.*

გოვლას კაბინეტის წინ გავიყარე. კარები ღია იყო. სწავ-
ლულმა მივიანმა ვახტანგ ჭველიძემ გამოიხედა, დირექტორი
გებახისო. შევედი.

- ვახტანგ, რა ვუყოთ ამ კაცს, ხელფასი ოთხმოცი მანეთი
აქვს. ამით შეინახავს ცოლ-შვილს?
- დისერტაციას დაიცავს და ხელფასიც მოემატება, - მიუგო
ვახტანგმა.
- მანამდე? - ჩაეძია გოვლა. ვახტანგი ღღმდა.
- სწავლული მდივნობა რომ ჩაებაროთ? - თქვა ეგვლამ.
ვახტანგი შეებო, სახე გაუნჯარსფერდა.
- შენ ხელფასი ისეც დიდი გაქვს. დისერტაცია კარგა ხანია
დაიცავი, - არ ემუხებოდა გოვლა.

-...გამეცნებო საბჭომ უნდა გადაწვიცოთ, - ამოდერლა
ვახტანგმა ვიან-გვიან.
- მოამზადე საკითხი საბჭოზე გასატანად!
მეორე დღეს ინსტიტუტში ამბავი მოიტანეს, ვახტანგ ჭვე-
ლიძე ავად გამხდარა, გული აწუხებებს, ვალერიანის წყევით
აბრუნებენო. გოვლამ სწავლული დამინის შეცვლა კარგა ხნით
შეაჩერა.

გალაკტიონ ტაბიძის მრავალტომეულის პირველი წიფი
გამოვიდა. შიგ შევიცოვებთ და უზუსტობანი აღმოჩნდა. ტექსტო-
ლოგიის განყოფილებას, სადაც აღნიშნული ტომი მომზადდა,
სოლომონ ყუბანიშვილი შემდეგინაწილობს. დაიბარა გოვ-
ლამ და პირდაპირ მიახალა:

- შენ რა გაგვება პოეზიისა, რატომ ხარ ხელმძღვანე-

ლი?

- თქვენ დამავალეთ, ბატონო!
- რომ არ შეგეძლო, რატომ ითავებ?
- მომხსენით, ბატონო და ის იქნება! - ისე მოსაწყვლევლად ამითქვამს სოლომონმა, იფიქრებდა სადაცაა ატირდება.
- გოგლა ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ უთხრა:
 - წადი, წადი იმუშავე! რომ მოგხსნა, ვინ დაგაყენო?! შენ გამძრე და მუყათით მინჯ ხარ, სხვები ზარმაცები არიან, ხელნაწერის წაიხიხვა ესაიკვლილებათ.

ინსტიტუტის დერეფანში გოგლა შემხვდა და მიხიზრა, ჩაიციკა ბაბოლო და ჩემთან წამოიწია. "ვოლგაში" ჩაესხედით: გოგლა, ელიზბარ მასურაძე, მირიან აბულაძე და მე. საუცხოო ამინდა, დეკემბერს რომ არ შეეფერება. გაეცდით მცხეთას, შევედით სოფელ ქსოვრისში. სკოლის ეზო ბავშვებთან და მასწავლებლებით არის აფერადებული. საზეიმო შეხვედრა იქვე იმართება, შუაგულ ეზოში. გოგლა უჩვეულო გუნებაზეა. გაიკავა საცეკვაო წრეში, გამალა ხელები და ჩამოუარა. ბავშვები მტრედობის გუნდებით შემოეხვივნენ. ვედაგოვები და მასწავლებლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ენაშხეობაში. ერთი რამ იყო საგულისხმო: ყველა ლაპარაკობდა ზებირაზე, აზრიანად და ლაკონურად. გოგლამ ამის გამო ემოციურობა გამოითქვა და დასძინა, არაფერია ისე თავისთავებრებელი და მოსაწყენი, როგორც გაქვანურებული მოხსენება. აქ ეთითვის ჩემს გულში სხვადა, ისე ლაპარაკობენ.

მახარული განწყობილება გოგლას სუფრაზეც მიჰყვა. თამაშობდა დაიწყო ექსპრომტი:

*დღე შშინა გქონდეთ მუდამ,
არა შვი, მონისოლუმი,
პირნაიელი ყოფილიყოთ,
ჩირორც ღვირი ქსოვრისოლი.*

გოგლამ როგორს თავი აიღო და მასხინმელს მაიაწოდა: დამიჩხე, ღოღონდ ცუდით, სხვა იარაღი არ იხმარო. მოუტანეს. სულელიერ-ჩაითვალეოდა და თქვა, ეს ცუდით დაჩხელი არააო.

კოლმუქურნობის თავმჯდომარე გვიან შემოვიდა და ბოდიში მოხადა. შენ ტიპიურ თავმჯდომარეს ვერ ვიწოდებ, ღამი არა გაქვსო, გაეხუმრა გოგლა და მერე დამატა, ალბათ სკამზე ახლახან დაგექვი, გაქონანება ვერ მოასწარიო. თავმჯდომარემ თამაშის სადღეგრძელოში დიდი სიყვარული გაუშეფადა, რომ შეიძლებოდას დღევებს ჩამოვიკლებ და თქვენ შეგმატებო.

- რასა, შრომადაღეებსა? - ხუმრობაში გაუტარა გოგლამ. მან კიდევ ერთი ექსპრომტი წარმოსთქვა: აფრინდა ქორი, აფრინდა, არავა ჩაინადირა, შეხლმდენელებო, შემოკრებით, სხდომები კმარა ნამდვილად,

კრებები კმარა ნამდვილად, აქ მომიჯიქით ნადიმად. თამადამ "ვოგლაურა" სულ ბოლოს დალია. შემდეგ კი თქვა: ადვილია დევთა შეყრა, მაგრამ გაყრა გაძნელებებს... და წამოიფა. ჩვენც წამოვიშალეთ.

გიორგი ლეონიძეს განცხადება წარუდგინე, ესთხოვი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩერბინის სახელობის ბიბლიოთეკაში მიმაველინეთ, იქაური ლიტერატურის გაცნობა მჭირდება წლიური ნაშრომის დასაწერად-მეთქი. აქაური ლიტერატურა ყველაფერი დაამუშავეო? არ მომიწერა ხელი. კარგში რომ გავიდო, ჩემდა უნებურად, ჩავილაპარაკე, საოჯახო საქმეებიც მაქვს-მეთქი.

- რაო, რა თქვი? - წამომეწია გოგლას ხმა. შეყერდი და ახლა უკვე გაბედულად ეუთხარა:
- საოჯახო საქმეებიც მაქვს მოსაკვარებელი, ბატონო გიორგი!
- ო, ეგ სხვა ამბავია. მომეცი ქაღალდი!
- გოგლა განცხადებაზე ხელს მიწერდა, თანაც მელაპარაკებოდა:
- შე კაცო, ბიბლიოთეკას რომ მიწერე, გვეონა მოგტყუდ-

- ბოლი? სხვა ხომ არაფერი გჭირდება?
- არა, ბატონო გიორგი!
- წადი, აბა, გზა მშვიდობისა!

გოგლას კაბინეტის კარი შეუკლე. თავდახრილი იყო, რაღაც ქაღალდებს ჩასცქეროდა.

- შეძლება? - შესვლის ნებართვა ვთხოვე.

- მისი! - მითხრა ისე, თავი არ აუღია. დაჯექვი და დაველოდე. ცოტა ხნის შემდეგ სათვალე მოიხსნა და წარბშეკრულმა შემომხედა:

- ჩემთან შემოსვლას "შეიძლება" რად უნდა?! შემოდი ვიქურ და დაჯექი აგერ სკამზე. მინ ჩინონიკი ხომ არა ვარ, ვარცე გაყურეუტო?
- ბატონო გიორგი, იქნებ ვინმე ისეთი გყავს...
- თუ ნაშა მყავს, კარს ღიას ხომ არ დატოვებ? - გავიღმა.

გულზე მომეშვა, გოგლას წარბშეკრულობა არ უხდება.

გიორგი ლეონიძეს ინსტიტუტის თანამშრომლებთან ღმობიერი და მგობრული ურთიერთობა ჰქონდა. პარტიის ცეკაში რომ უსაყვედურებდნენ, თქვენიან დისციპლინა მოიკოჭლებს, თანამშრომლები თავის ნებაზე გყავს მიშვეულები, ზოგი ალბას დადის, ზოგი ბალთასო, მხოლოდ მაშინ შეფუცხუნდებოდა. იმ ცხელ გულზე თუ ვინმეს გამოიჭერდა, "ცოფებს" გაუხსენებდა, ზოჯერ ხმასაც აუწევდა. ერთხელ "რისხვა" შურმანს კიკავძეს დაატეხა:

- სამუშაოს რატომ აცდენ, ერთი კვირა ინსტიტუტში არ გამოცხადებულხარ?!

- ვინა თქვა, ერთი კვირააო? სამი დღე გამიცდა. - უპასუხა მან.

- მერედა, სამი დღე ცოტაა? თუ არ გინდა მუშაობა, აქ მოსვლის მსურველი უმარავია, კარს მიტელახიანებენ!
- ბატონო გიორგი, რატომ მელაპარაკებით ასე აბუჩად? ჩემი ნეივეულობა არ შეიძლება, ავად ვარ!
- ავად? - შეწუხდა გოგლა, - რას უჩივო?
- წწევა მაქვს, ბატონო გიორგი.
- რამდენი?
- ხშირად ორასამდე აღის.
- უჰ, ბერი გქონია! რა წამალს იღებ?
- რაუტატნს.
- მაგას ადელფანს სჯობია.
- ვერ ვიშოვე, ბატონო გიორგი!
- მეო მაქვს, ხვალ მოვიტან.

შეიკრე დღეს გოგლა მოხვლისთანავე პირად მდივანს ეუბნე-

ბა:

- შურმან კიკავძეს სთხოვე მოვიდე!
- შურმანი ინსტიტუტში არ აღმონდა. ალბათ, წწევამ





აუწაო, მომიწუხრა გოვლამ და თავისი მძღოლის ხელით წამალი შინ გაუგზავნა.

გოვლა კრებებზე გამოსვლისას ხშირად ამბობდა, ინსტიტუტი არა მარტო ძიებითა და მეცნიერული მიღწევებით უნდა იყოს მაღალ დონეზე, არამედ ზნეობრივი და მორალური სიწმინდითაცო.

ერთხელ სწავლული მდივანი ნუკრი კობიძე დაიმარტოვებულა და ჰკითხა, ჩემს თანამშრომლებში ხომ არ გვევლება ისეთები, და-მძურ ურთიერთობებს რომ არღვევდნენ და დაუკრეფავში გადადიოდნენო.

- გურჯაღიანი გივი ლომიძესა და ლამარა შავგულიძეს ვამჩნევ მსხუდუკი ყოფაქცევის ნიშნებს, განსაზღვრებიან ხოლმე და საათობით მუშრულებენო. - უპასუხა ნუკრიმ.

- იქნებ და-მძურად ლაპარაკობენ? - ჩართო გოვლამ.

- და-მძურ ლაპარაკს ოთახში ჩაკეტვა რად უნდა?!

- ოთახში იკეტებიან?! ვაჰ, როგორ შეიძლება, კაცო! - წარბებს წკურავს გოვლა. რომ ატყობს ღვიძანდებია, სწავლული მდივანი ფითილს მაღლა უწევს:

- ევ კი არა და, ზოგჯერ ღამდამობითაც აქ რჩებიან, აპა!

- უჰ, ეს რა მითხარი! მაგათ ეუწევენ სეისარ! - იმუქრება გოვლა. მჭორ დღეს გივი ლომიძეს იბარებს:

- მე კახელი კაცი ვარ, სათქმელი პირდაპირ უნდა გითხრა, შენ ინსტიტუტის სიწმინდეს ზღალო!

- როგორ გეკადრებათ, ბატონო გიორგი! - იწურება მხრებში გივი. - ინსტიტუტის სიწმინდეს მე ვბალოვ?

- ჰო, შენ და ლამარა შავგულიძე.

- როგორ, რანაირად, ბატონო გიორგი? - სახზეუ სისხლი აწვება გივის.

- უტყუარი ცნობები მაქვს, თქვენ აქ ერებით და ეშმაკობთ.

- ღამარა ჩემი მუღლეა, უკვე ბიჭვი გვაკვს ერთი.

- მუღლეა?! - თვალები უფართოდება გოვლას, - კანონიერი?

- კი, ბატონო გიორგი, ჯვარი სვეტიცხოველში დავიწერეთ, ნუკრი კობიძე იყო ხელისმომკიდე.

- ნუკრი იყო?! - თავი გადაქინა გოვლამ, თუმცა სწავლული მდივანზე გაბრაზება არ შეიძინა და გივის შემრიგებლური კიბლითი უთხრა: - თუ მუღლეები ხართ, რა თქმა უნდა, გაქვთ უფლება ოთახში ჩაკეტოთ, მაგრამ აქ კი არა, სახლში. ჰო, თუმცა ბინა არა გაქვთ... აქ ჩაკეტვა მაინც არ შეიძლება. მოთმინეთ ცოტა ხანს და ბინა უეჭველად გექნებათ!

გოვლა ხშირად წარმოთქვამდა ხოლმე ერთ პატარა ლექსს:

*წინოწმინდელი საბედა
გოვლობაში დაბერდა,
იშისი მარწყვის ტურების
კოცნა ვერავინ გაბედა.*

ერთხელ გაკუთამამდე და კვითხე: ეს საბედა ვინ იყო-მეთქი.

- დედამისიგან გამოიწინა, საბედა მეტად ტანადი და ფოველშივე მომზობლელი ქალიშვილი ყოფილა, თანაც საოცრად ამაყი და უკარება. მისი გულის მონადირება თურმე ვერავინ შეძლო. საწყენია... გოვო ჰელწულობაში არ უნდა დაბერდეს. ასეთი ქალი დამარხული ოქროა, არც სხვას არავა, არც თავის თავს. - მიახსუნა გოვლამ და ცოტა ხნის შემდეგ დასძინა:

- თუმცა, საბედა პოეზიის თემად იმიტომ იქცა, გოვლობაში რომ დაბერდა. პოეზიას განსაკუთრებულ ამბები და ადამიანები აინტერესებს.

სიონის (თიანეთის) საშუალო სკოლაში წარმოდგენილ ლიტერატურულ მონატას გოვლაც ესწრებოდა. ზეგსურულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ბიჭვამ კარგად წაიკითხა "ხეცსურები".

- ვისი ლექსია? - იკითხა გოვლამ.
- ჭილაძის. - უთხრა შოთა ჭინჭარაულმა.

- რომლის?
- ოთარისი.
- ამას წინათ თამაზის "ყინვისი" წაიკითხე. მომეწონა. - თქვა გოვლამ და მერე დასძინა: - კარგია, ძმა ძმას გვერდით რომ დაუდგება, მითუმეტეს მწერლობაში!

დავით გამეზარდაშვილმა გვიამბო: "სერგი ჭილაძის ოჯახში ვიყავი წვეულებაზე. გოვლაც ჩვენიან იყო. ოჯახის უფროსი თამაზობდა. მან გოვლას სადღეგრებლო თავმომბეზრებლად გააგრძელა, სიყვარულსა და ერთგულებას ეციცებოდა. გოვლამ შეაჩერა და სიცილით ჰკითხა:

- ცეკავდი რომ დაგიტოვონ, ხვალ გოვლას მოჭრილი თავი ათ საათზე უნდა მოგვტანონო, რას იტყვი?

ველა შევტივდი. სერგიმაც ენა ველარ მიობრუნა. თავის კითხვას ისევ გოვლამ უპასუხა:

- არ შეიძლება, ბატონო, ცხრა საათზე რომ მოგართავითი!

ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცემად მოამზადა ქართული ლიტერატურის ისტორიის ტომეულები. გოვლამ ერთი ტომი სასრციენზიოდ კონსტანტინე გამსახურდიას გადასცა. მან ვაკრიტიკა მოსაზრება, თითქოს რომანტიზმი ორგვარი იყოს - აქტიური და პასიური. შეეკამათნენ, ეს ჯერ კიდევ მაქსიმ გორკივს უნდა. გორკი ვინაო, შემოვინა კონსტანტინემ, ის მწერლად კომუნისტება გამოიფინესო.

ინსტიტუტის ერთმა თანამშრომელმა ცეკავა იჩივლა, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გორკი გალანდეს, უკადრებელი აკადრეს, გიორგი ლეონიძემ კი მის დასაცავად კრინტიც არ დაბრაო. ცეკავი ჭკვიანი კაცი აღმოჩნდა, მომწივანს უყვარა, ეს შენი განცხადება წაიფე, თორემ მოსკოვში რომ გავიწო, ამ თქვენს ინსტიტუტს მიოლად დავიხურავენო.

მინაწერი:

ის ჭკვიანი კაცი ვახტანგ ქორიბაძე იყო.


ბ რ ი ლ ი



სურათი

ვიქტორ ნაზრადე, სული რომლისაც ეშმაკმა, სამართლიან გარიგებაში პატიოსნად შეიძინა, სართულის მორიგე საწინიდან გამოიყვანა, კედელთან გააჩერა, ხელების კედელზე მიბჯენა უბრძანა და ფეხები განზე გადაგმეცინა. მერე საწინს ტლანქი, ურჩი კარი ჯახუნით დახურა და დედის გინებით ოროდებელი წიხლაც მიართყა, რათა იგი თავის ბუდეში ჩაესვა. ურდული გაუყარა, კედელზე ხელემაბიჯენილ, ფეხებგაჩაწულ პატიმარს ვიქტორ ნაზრადეს მიუბრუნდა, უწინიდან მიუდგა და ჩხრეკა დაუნყა: ჩხრეკდა ზერეკედ, დაუდევრად, უხეშად - ზერეკედ და დაუდევრად იმიტომ, რომ იცოდა, ამ პატიმარს ათავისუფლებდნენ, ხოლო უხეშად იმიტომ, რომ უყვარდა და უხეშობა. სართულის მორიგე ბუნებით უხეში კაცი იყო. ვიქტორის სახეში სცემდა ზედაშედეგელის როტველურული ცხვირ-ხახიდან ამომავალი სპირტისა და ხახვის მძაფრი სუნი. სართულის მორიგე, როგორც ყოველთვის, ზარბოზში იყო და მუდამ დაუოკებელს, ახლაც უნდოდა რაიმეთი დაცვბრო ხემაშიად, მაგალითად: მონკინლობის გასაქარებლად, თამაშა ფეხბურთი ნაგვის ყუთით, ამოერთყა პანდური შემინებული წნირისათვის, ვითომდა უხარისხოდ მორეცხილი იატაკის გამო, გასაღებების მძიმე ასხმულა ესროლა თავში, საკანში მჯდომ პატიმრებთან მოლაპარაკე ბლანდიორისათვის, ანდა ეს საცოდავად ფეხებგაჩაწული, კედელთან ატუხული პატიმარი გაუნვალებინა უაზროდ. ის კანონის დარღვევას ექება ყველას საქციელში, რათა შემდეგ თავად მოქცეოდა მათ უკანონოდ. ვიქტორმა იცოდა ეს და ამიტომაც მორჩილად ასრულებდა ზედაშედეგელის ბრძანებებს, არ აძლევდა საბაბს. ეს კი, ანუ საბაბის უქონლობა, თავის შრივ ალიზინანება ზედაშედეგელს. პატიმრის წასაცვანად მოსული კორპუსის უფროსი კი ამასობაში შორიანბლოს იდგა და ამ უაზრობას გულგრილი, არხინი სიხანტით უყურებდა.

თავის უფლებების სუსხიანი ნაკბანი



- გრიშა, გეყოფა შმონეა, - მიმართა ბოლოს მონკენილი ტრითი, კორპუსის უფროსმა ზედაშედეგელს, - იმ უკვე ჩვენია, ჩვენი საზოგადოების წევრია, ჩვენი ძმა და ჩვენი ბიჭი. ნუღარ უქექავ ჯიბეებს, გამოუშვი!

- მე უწინ არ ვიცე და ჩემი მძებნი ბრიანსკის ტყვეებში ყმუიან, ივანიჩი ეს ძალიშვილი კი, სული რომ ასე იაფად გაყავი, ჯერ კიდევ დასადგენია, არის თუ არა ჩვენი! - უპასუხა როტველურსახიანმა გრიშამ, ჩხრეკვის შეუნყვეტლად.

- გამოუშვი, გამოუშვი, თორემ ხომ იცო თავის უფლებზე დაგებდებოდა და დაგებრიდას, - მიჭარბებით იხუმრა კორპუსნილი და დაფრენილ პირზე ხელი აიფარა, პატიმარს დამინიანად გადაიხარა და გრიშას თვლი ჩაუკრა.

გრიშამ ერითხის შეაჩერა ვიქტორის ჩხრეკა, ივანიჩს თვლი გაუსწორა და უტყვრდა, ხელთონური სიცილით, ძალიან ხმაშალდა გადაიხარა, თან ისე, რომ თავის უხეშ ხელემაში ჩაბლუფული ვიქტორი არ გაუშვია. მან ის კიდევ რამდენჯერმე შეატრიალი-შემოატრიალა, დაჭმუჭნ-მოჭმუჭნა, ახედ-დახედა და ხელით უბიძგა, დაახლოებით ისე, მეგინებო რომ დაჰკრავს ხოლმე გავახე ცხენს.

- აბა, ნაიდი, - უთხრა მან ვიქტორს უბოროტოდ, - ნაიდი და გილოცავ გათავისუფლებას, ჯოჯოხეთში შეცვდებით!

- მაღლობო, შენც იყავი კარგად, - უპასუხა ვიქტორმა, - შეცვდებით!

პირქუშ, ნახევრადხელ ციხის დერეფნებში იშვიათად თუ ვინმე გამოჩნდებოდა, ცხენი ციხის თანამშრომლობით ან ხოზაბასტეგლებით იყვნენ. ადმინისტრაციულ კორპუსში რომ მიუახლოვდნენ შემეფდრი ხალხის რაოდენობამაც იმატა. საკმაოდ კეთილმოწყობილ ადმინისტრაციულ კორ-

პუსში, მით უმეტეს, ბევრი ხალხი ირეოდა.

კორპუსნიმი ვიქტორი პატარა ცარიელ გალიაში - ეგრეთწოდებულ ანიზინიკში ჩაკვტა, თვითონ კი უფროსის კაბინეტისკენ გაემართა მოსასხენებლად. ცოტა ხნის შემდეგ მიბრუნდა და ვიქტორს გალიის კარი გაუღო.

- აბა, მონქსრიგდი! - უთხრა მან მას სხარტი, მომთხოვნი ჩურჩულით, - რომ შეხვალ, მოახსენე, აუცილებლად მოახსენე გესმის? - ისე გულის ფანქვლით ლეკავდა, როგორც რეესისორი პრემიერის წინ, - გახსოვდეს რომ კოცინას აუცილებლად უნდა დაუყოქო ორივე მუხლზე - ამ სიტყვებს რომ ეუბნებოდა, თვალით თავიდან ფეხებამდე ზომამდა და თავისი ხელით ტანსაცმელს უსწორებდა, - ლილები შეიკარი!

უფროსის კაბინეტთან მიხვლასას, კორპუსის უფროსმა კიდევ ერთხელ შეათვალღირა ვიქტორი და უთხრა:

- შედი!

შეკრთალა, ლილებშეკრულმა და მონქსრიგებულმა ვიქტორმა დიდ დაბამებულ კარზე დააკაკუნა და კაბინეტის კარი შეაღო:

- მსჯავრდებულნი ნაზრადე თქვენის ბრძანებით გეახლა! - განაცხადა მან მოკრძალებით, კაბინეტში შესვლისას.

- ოოო, აი ჩვენი ნაზრადეც! - ჭყვიტინ-ღრუტუნით



შესძახა ციხის უფროსმა. - კიდევ ერთი ახალი წვერი ჩვენი საზოგადოებისა - და თავისი ცისფერი, მეტყველი თვალებით შესცინა იქმყოფი. - გამარჯობა, გამარჯობა ნაზრბაძე!!! როგორ გიკითხობ ძვირფასო?! უშუასანიშნავესი გადაწყვეტილება მიგიცია!!! სწორად მოქცეულხარ!!! ყოჩაღ!!! ყოჩაღ!!!

ციხის უფროსი თავის ძალიან ტყედა კაბინეტში ეხერხებოდა საბავშვებში დაბრუნებას, ხელებს იწევედა, ხმა-მაღლა ასასმდა ზობტას ვიქტორს, თან იქ მყოფი - რამდენიმე ოფიცერსა და პარფუმერიული საშუალებებით უზომოდ გათხუპრულ ბოზ მთევან ქალს შეტყუებულ პატიმარზე მიუთითებდა. ისინიც კაყოფილების ღიმილით უპრადებდნენ კვერს თავიანთ პატრონს, ვიქტორს კი ღმილით შესცივრებდნენ სახეში. ამ მონოლოგის პროცესში ციხის უფროსმა რამდენჯერმე ჩამოართვა ხელი ნაზრბაძეს. რამდენჯერმე ჩაიკრა იგი გულში. დაბოლოს, როცა დაპარაკით გული აფერსა, თავის დიდრთმ სანერ მაგადას მიუჯდა.

- დასცვივდი ბატონო!!! - წარმოთქვა მან და ხელის ბატონავცუერი მორჩაობით იქმყოფი ოფიცერები მიიწვია. ოფიცერები უფროსის სანერ მაგიდასთან პერსონდოკულარულად მიდგმულ მთვრე მაგიდას მიუსდნენ და ახლა მხოლოდ კაბინეტის შუაგულში მდგომი ვიქტორი და კარებთან ატყულებული კორპუსის უფროსი ივანიჩილა იდგნენ ფეხზე.

- შენ, ჩვენი უკიდევანო ქვეყნის გულმონყალე პრეზიდენტმა თავისი საპეციალური ბრძანებულებით შეგინწყალა, ვიქტორ ნაზრბაძე! ამიერიდან შენ ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წვერი ხდები. დარჩა მხოლოდ პატარა ფორმალური პროცედურა, რომელიც არამეცადარამც არ არის შეგნეული ადამიანისათვის დამამტოვრებელი, პირიქით, შე გიტყობდი, საპატიოა, რადგანაც იგი განამტკიცებს კორილილებას ჩვენში, ხოლო მორჩილება კი სანინდარია მთავრობისათვის და შენც თუ ქვეშემართება შეგნებული პროცესება ხარ, შენი ვალაია, დაემორჩილო იმ წესებს, რომლებიც გამეფებულია იქ, სადაც მიხედობი ვერ შესძელი დღმართთან ყოფნა?! უღალატე მას?! მიუკვდელვე აჯანყებულხარ?! მაშ დღაცავი აჯანყებულთა წესები!!! დაინყებოლდენ და გახდი პირველი, ოღონდ გახსოვდეს, რომ ეშმაკი, ჩვენი მფარველი, უღმობეღია და ვერაგი. ის ბოროტად სჯის უკმაყოფილოებს და მერყევებს!!! ცცხელი და კუპრი, გოგირდი და ნალველი ეს მხოლოდ საკმაზია სასჯელისა, ნამდვილი სასჯელი კი აბუჩად აგდებაა და შენც, ადამიანი ვიქტორ ნაზრბაძე, თუ ოდნავ მინც აუხვევ დასახულ მიზნებს ბოროტად, აბუჩად იქნები აგდებული, უკუნიითი უკუნიასაძე!!!

ამის შემდეგ ციხის უფროსი ფეხზე წამოდგა და ვიქტორის წინ დადგა. ოფიცერები გარს შემოურტყნენ მას და დაიწყეს სატანური სამსახური: ისინი ლოცვის სახით წარმოთქვამდნენ რაღაც ავ სიტყვებს, ნახევრად გასაგებ, ბარბაროზმებით გადატვირთულ ენაზე, ტრიპლენდნენ, ბუქნავდნენ, აწვდიდნენ ერთმანეთს სხვადასხვა ნივთებს. ნივთების გამოშვებისას უკონინდნენ ერთმანეთს ხელებს, ფეხებს, ტუჩებს, იჩოქებდნენ, დგებოდნენ, და ვიქტორსაც აიძულებდნენ ეკუთვინა იგივე. ისინი აიძულებდნენ ვიქტორს დაეკონცა მათ მიერ განვდილი რაღაცამოსახულებებიანი ტექსტები - ტექსტები, რომელთა ნაწილსაც მონივნებით დებდნენ შვეი ფერის ყუთებში, ხოლო ნაწილს წვავდნენ და ფერულს კი სხვადასხვანაირად იყენებდნენ: აზავებდნენ წყალში და სვამდნენ, ან აპურებდნენ ამ წყალს, აფრქვევდნენ გარშემო და ისვამდნენ სახეზე. რამდენიმე წუთს გასტანა აჰან. შემდეგ რიტუალის მონაწილენი დაშოშმინდნენ.

- ახლა კი ჩვენი ახლად შექმნილი ძმაო, - აღტაცებით წარმოთქვა ციხის უფროსმა, - ეცი თავყანი ეშმას

და ამის დასტურად მუხლმოყრიით, კულტქემ მეგამორე მე - ღორმენს - სულიერ მოძღვარს შენსას. ამ სიტყვებზე ციხის უფროსმა ქაშარი მხიარულად შეისხმა და სხარტად ჩაიბრო მარვალი პირდაპირ საცვალთან ერთად, შეტბა, შემოტრიალდა და ოდნავ წაიკუნა, ოფიცერებმა ამ დროს ვიქტორს მღვებში ხელეფი წაავლეს და მუხლებზე დააჩოქეს. მოულოდნელად ციხის უფროსის დიდმა, უზომოდ დიდმა ვარდისფერმა საჯდომმა დაფარა ვიქტორის თვალსანიერი, საჯდომმა, განმასხვავებელი ნიშანი რომ-ლისაც ღორის პატარა აბრეხილი კუდი იყო. ოფიცერებმა ვიქტორს სწორედ ამ კუდის ქვეშ შეაყოფინეს დრწონჩი.

- კარგად! კარგად! - გაიძახოდნენ ისინი. ეგრე არა, ეგრე არა, ბოჭო, აი ასე. - გაჰყვიროდა ერთ-ერთი მათგანი, ის, რომელიც ყველაზე ახლო იყო ვიქტორთან, - მწ-უ-უ-უ! - ტუჩებით ვესაბამის მოძრაობებს აკეთებდა და ხარბად უწინდა ჰჰერს. მერე კვლარ მიითმინა, ვიქტორი გამოსინა, დანარჩენ ოფიცერებს თავი დაუჭრა, უფროსის დუნდულებს შორის დინგი შეყო და იქაურობას ტუჩებით დენდა, შემდეგ ტუჩები კიტლენის სახელობით შეინმინდა და აცრემლებულმა ვიქტორის ანიშნა "აი, შენც ასეუ" შემდეგ მას თავი ისევ შეაყოფინეს და სანამ ისე არ აკოცინენს, როგორც უნდოდათ, არ მოეშვენ.

კარგად, კარგად! - გაჰყვიროდნენ ოფიცერები. კარგად! კარგად! - მწარედ! მწარედ! - გასწიოდა მდივანი.

- კარგად! მწარედ! - ამხნევედა ციხის უფროსიც. - კარგით, ყყოკო, კანარა! - თანაგრანობით გასცა განკარგულება უფროსმა. - ეყოფა, კანარა! ამის შემდეგ უფროსმა ქაღალდის ხელსახოცი აიღო მაგიდიდან, ვიქტორს ტუჩები მზრუნველად მოუწინდა, იგივე ქაღალდით თვითონვე გამოიშრომა საჯდომი. მერე ქაღალდი საქალაღე ურნაში ჩააგდო და აღტაცებით დაიწყა ხელების ფშვტუნა.

- ყოჩაღ! ყოჩაღ! ყოჩაღ! შენ დღეიდან, ჩვენი პატარა ძმა ხარ და გერქვევა ზარღრა - ეს იქნება სანენშორისო სახელი, ახლა კი გაიცინია სამიშო: ეს ჩონთაა, ეს ებრუნი, ეს არის კაჭიჭი, აი, ეს კი ურჩე, ხოლო ეს ჩვენი ტურფა სული ბოზანდარა კვიკია!



ახლა კი დამლა დამლა დამლა - ფრუტუნებად უფროსი, - ალბათ უკვე გახსურდა.

ოფიცირებმა ვიქტორის ხელები და მკლავები ღოწვირად დაუჭირეს, მერე პირი გააღებინეს, მათი ენერგიული უფროსი კი ამასობაში გაკვირებული დამოთქო ერთ ხელში და რაღაც სამედიცინო ინსტრუმენტით მცირე პატამარს მიუახლოვდა. ეს ინსტრუმენტი, რომელიც ერთდროულად წააგავდა მაკრატიკლსა და პინცეტსაც, მილიანობაში კი საოჯახო ნივთს, რომელსაც დიასახლისები თეთრეულის მდულარე წყლიდან ამოღებისას იყენებენ.

ციხის უფროსმა ინსტრუმენტი პატამარს ხახაში ჩახარა და მისი საშუალებით ენა დაუჭირა. მართალია ინსტრუმენტის ბრტყელ ტუჩებზე რეზინის დამცველი მილეზი იყო ჩამოტყვლილი, მაგრამ მინცხის ის ძალანი მტკიცეყოფილად ჩააფრინა ნაზრამის ენას, იმდენად მტკიცეყოფილად, რომ ენიდან სისხლმაც კი გამოიწვია, ხოლო ვიქტორის უნებურად კვწესა აღმოხდა. ამის შემდეგ უფროსმა მას თავისი ინსტრუმენტის საშუალებით ენა ჩვეულებრივზე გაკლებით მეტად გამოაყოფინა და ზეითი აანევირა, მერე კი გახსურებული ლითონის დამლა, პირდაპირ ენის ქვეშ ჩაუჭო, ჩახარა, დაახლოებით ისე, თითქოს ანთებულ სიგარას აქრობსო. გაისმა შიშინი და კაბინეტში დაშვებული ხორციის გულისამრევი სუსი დატრიალდა. იმ დროს გაისმა ვიქტორის ყვირილი, რომელიც შემდეგ ყმითლში გადაიხარდა, თუმცა დიდ ხანს არ გაგრძელდებოდა.

სამშობო მიღების საზეიმო რიტუალი შედგა. ნაზრამე კვწესიდა, უფროსი როზობრივად, ოცივრეტი კმაყოფილებით ფრუტუნებდნენ, ხოლო ლამაზმანი კვი კეკლავდად შესცივინებდა ყველას თვალებში.

- ესლა, მე შენ გამოიწვიე გათავისუფლების ცნობას, მოგეცე 25 მანეთს, და რომ იტყვიან, იყავი კარგად და არ დაგვიწყნო! ჯოჯოხეთში კი, უთუოდ, შეგვადებით! - უფროსი კვიკს ნაზრამე - კვიკ გამოუწვიე ამას გათავისუფლების ცნობა, მე კი 25 მანეთს გამოვიღებ სეიფიდან. კვიკი კარტოთვის ქექვა გასწავლი, უფროსი კი სეიფიდან მივიდა, ჯიბე მოიხრჩოვ, დანსლები ამოიღო, სეიფი ენერგიულად გააღო და იქიდან ოცდასუთი მანეთი დააძრო. ამასობაში ქალბატონი განაფულმა კვიკი გათავისუფლების ცნობა შეუგო, შიგ ნაზრამის ფიტოსურათიც ჩააჭრა, თითქმის გამზადებული საბუთი უფროსის მიურბენდა. უფროსმა თვალი გადაავლო საბუთს მოზონებით, გააქან-გამოაქანა თავი, ტუჩები გაანკლაპუნა და საბუთს ხელი მოაწერა, მერე უფრიდან სახელმწიფო ბეჭედი ამოიღო და საბუთს დამაჯერებლად ჩასცხო, ხელში აიღო, ზვიდან სათუთად 25 მანეთი დაადო და ვიქტორ ნაზრამეს, ახლა უკვე ზარღრას გაუწერა.

ზარღრამ ფული ჯიბეში ჩაიღო, დაუქცევივ ახალთახალი საბუთი კი ხელში დაიჭირა.

- აბა, კიდევ ერთხელ გილოცავ და გისურვებ წარმატებებს ჩვენ შეგვადებით ჯოჯოხეთში! - ამ სიტყვებზე უფროსი წაშობდა და გათავისუფლებულს თავისი დიდრონი ხელი გაუწერდა.

გათავისუფლებულმა ჩამოართვა მის ხელი, ჩამოართვა ხელი ოცივრებსაც, ხოლო კვიკს მოკრძალებით გაუღიმა. წაიყვანე ივანიჩი, - მიმართა უფროსმა კორპუსის უფროსს, - წაიყვანე და გაუშვი! აი, მაგისი საბუთებიც!

უფროსმა ივანიჩს საჭირო ქაღალდები გაუწერა. პატამარი და ზედაპირდევ-

ლი კაბინეტიდან გავიდნენ. ისინი ხელი ნაბიჯებით მიმოიხილნენ ციხის საბავშვო დერეფანში და მასალათბოდნენ. უფრო სწორად კი მასალათბოდა ივანიჩი, რადგანაც ნაზრამეს ენა სტკიოდა და არ სცხვებდა სამასლათიოდ, ის უფრო ფრთხილად. ასეთი ნანატრი, ასეთი სათუთი და რაც მთავარად, ასეთი მკვიდრიერებულ, მართლაც მამასისხლად ნაყიდი თავისუფლება კი ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვებოდა და ხდებოდა სულ უფრო სანუგევარი. თავისუფლების მოახლოება, თუ მიხილვით თავისუფლებასთან, მადებდა უცნაურ გრძნობას - სიფრთხილსა და ნეტარებისას. გრძნობას, მოგვანი რომლისაც ეტადებდა ალბათ მტაცებლებს, რთვა ისინი თვითნებ მსხვერპლს ეპარებინა.

ვატახე დევექემამ უნდობლად ათვალეერ-ჩაათვალეერ-განათავისუფლებული პატამარი, დაათვალეერ ივანიჩის მიერ მიტანილი საბუთები, გაეცნო გათავისუფლების ცნობას და მხოლოდ ამის შემდეგ აწინა პულტთან მჯდომ ზემდეც კარი გაეღო. ზემდეგმა ილიას დააჭირა თითი, ელექტროსაკეცმა გაიჩაპუნა და ივანიჩმაც მძიმე გისოსებიანი კარი შეაღო.

- მოდი, - უთხრა მან ვიქტორს. ისინი პატარა ოთახში, ვკრეთნოდებულ კონვერტში შევიდნენ. კონვერტში, რომელიც ორივე მხრიდან არის გადატისხრული და რომლის ორივე მხარეც, ერთდროულად არასდროს არ იღება. როცა ივანიჩმა ღია გისოსებიანი კარი ზურგს უკან მიიჯახუნა, მხოლოდ მაშინ დააჭირა თითი მცირე ილიას ზემდეგმა. გაიჩაპუნა მცირე გისოსებიანმა კარმაც და ახლა უკვე თავისი ხელით შეაღო ვიქტორმა იგი, რადგანაც ის ივანიჩზე უფრო ახლოს იდგამა კართან, გააკეთა რადდენიმე ნაბიჯი, ისეც თავისი ხელით გააღო ბოლო უსაკეტო, უფსოსი, უბრალო კარი და თავისუფალ სივრცეში შეაბიჯა. გართ სუსხიანი, ნესტბანი ამინდი იდგა, ბუჩქნა სათოვლქაქაქედ ემზადებოდა. ნაზრამე მის უკან გაბოსულ ივანიჩს მიუბრუნდა, ჯიბეში თავისი კუთვნილი 25 მანეთი მუჭტში მოქმუჭუნა და ციხის ზედამხედველობაში დაბრუნებულ კორპუსის უფროსს თითო ტყის დაღვრა შესთავაზა. კორპუსის უფროსმა არ ისურვა იმ ერთადერთი ოცდასუთი მანეთით ნაყიდი ღვინით დათორობა და ნილში ჩადგო, ამიტომ საკმეები მოიმიზუნა და დაღვრაზე უფრო განაცხადა. მერე კიდევ ერთხელ მიილცა გათავისუფლებულს გათავისუფლებმა და ჩამოსართმევა ხელი გაუწერა. გათავისუფლებულმა მას ორივე ხელი ჩამოართვა და არამოწყენებით, გულწრფელი გულითადობით გამოთხოვა.

აბა, ჭკუთი იყავი, - თბილად უთხრა ვიქტორს ზემდეგმა, - და ბედნიერად იარე, ჯოჯოხეთში შეგვადებით!

- შეგვადებით! შეგვადებით! - ვიქტორი არამეგობროულ, სუსხიანი თავისუფლებას მიუხრიალდა, მისი ნიჭიო შაერი ღრმად ჩაისუნთქა და მასში შეაბიჯა - უკვე საღამოედებოდა, ნილში თითქმის არავინ ჩანდა, ვიქტორ ნაზრამე წინ მიინეგდა და თავისუფლებას როგორღაც ნელ-ნელა ერწყმოდა. არასტუბარათმეყვანი თავისუფლება კი არ ჩაქარბოდა და, ალბათ, არც აპირებდა მის მკერდში ჩაჯვას. ის ცივ, გამჭოლ, სიხინა ქარად შეეგება დაუბატონებელ მომხედროს, ლიადდარჩენილ ტუჩებში მოურიდებლად შეუძვრა და დადაღულ ენის ქვეშ უტყვრად უკებინა, - ჯოჯოხეთში შეგვადებით, - ყურში ჩასწორწულა, მერე ფრთები გაატყლაპუნა და გაიწინადა. ჯოჯოხეთში შეგვადებით!



გაია სარკვილი



* * *

ბავშვის უდიერად ნახმარი ტანსაცმელი.
 აი, რით ვიცანი ცხადი.
 მე აქ ჩამოვალ-მეთქი
 და უხმოდ ჩამომსვეს.
 მერე თავსაფრები მოიხსნეს ნივთებმა,
 რომ დამენახა, როგორ დაზრდოდათ ყურები.
 იქიდან იჭყიტებოდნენ განაგონი სიტყვები
 და ვიცანი ოთახიც...
 ჩემს საწოლთან მოვიდა
 ორი გაუმჭვირვალე ბავშვი.

* * *

გონებას მითოხნიან.
 მათ უნდათ, მომიარონ,
 როგორც ბაღს უკლიან გაზაფხულზე.
 უნდათ, ამომიედღეს მარღვეებზე დინჯი კოინდარი
 და თეთრ ღობეებს არ შეეცხოს
 არც ფუნა, არც შოკოლადი...

* * *

მთვარეს ექავება კანი ზიზლით.
 მისი შუქი ნაწყვეტ-ნაწყვეტ გველუმპავს,
 როგორც შეფურთხება...
 უკულმა გადავიცვით ბილიკები.
 ტერფები დაგვებრცა.
 ჩვენ მხოლოდ ერთხელ ავიყვანეთ ერთმანეთი ზემოთ.
 მაშინ რძეში გახსნილი ქარვა,
 ან რაბეში გახსნილი რაბე
 თუ გვესხა ალბათ ტანში.
 ახლა გადმოგვიგდია ენები მონღოლებით,
 და საუკუნეა ფრთებივით ვიქნეთო,
 მაგრამ სახეები მაინც ვერ აცდნენ
 მონიშნულ ადგილს...

* * *

ვერძობ, ჩემს სავარძელს ცვივა ჩრდილი
 შუშის ფატების.
 თეთრი პლედით მახურავს კანი -
 ზერელედ, მშვიდად.
 შენც ვეღარ მეძებ საითაც გინდა.

პაერში ლიანდაგები გაქვს მზერისთვის დაგებული.
 მაგდამი კი დათვის სულია.
 ოთხივე უჯრა
 მისი მუქართაა ამოვებული.
 ძალიან ბევრმა წამოიცვა ხელებზე მწვერვალები.
 ხრლო ნინობის ბეჭდები
 მშეებივით გადაცურდნენ მათ მიღმა...

* * *

ახლა ამათზე აღარ ვფიქრობ
 და დავიწყე შედგომა ფეხის წვერებზე,
 მაგრამ შორიდანაც იგივე მესმის:
 ჩააქრე ბრა და არასდროს გაიხადო,
 შალის თვალწასული რეიტუზი ფეხებზე შეინმე.
 მომკვდარა ესე იგი ზურმუხტის კარუსელი.
 მასში ისხდნენ ნოლმე თხელსარაფნიანი რადაც სულე-
 ბი...
 ვიღაც მეუბნება:
 ხომ შერცხვი, რომ ვკითხონ
 რამდენი ცალი პარკეტი გიგიაო სამივე ოთახში.
 თვლას ვიწყებ.

* * *

ესენი: ქონიანი თმის გულსამარევი ღერები,
 ღორბლის ლაქები,
 კისრის ოფლით დახატული მოყვითალო ღრულები
 ბალიშებმა გაიტანეს მწვანე პაერში
 და დაგვეცინიან.
 ტოტებზე მიაფატრეს მუცლები სიხარულით.
 დაიხონენ რბილად.
 ჩვენი ლოვინები - თავწაკვეთილები!
 რაზე დავლით ახლა
 სიხმრები, ტვინები, ღამურებიანი ამბები?..

არჩილ



იენის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ეს თარიღი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღევანდელ საქართველოში, სადაც უამრავი ბავშვი იძულებულია იშემშინლოს ანდა, ელემენტარულად, საკუთარი შრომის თუ მათხოვრობის ფასად, იშოვოს “პური არსობისა”. ამის მერე ძალზე ძნელია ბავშვს ზღაპრით მიუღოცო თავისი დღეობა და თუ მაინც გადაწყვიტე ეს პუბლიკაცია სწორედ პირველი იენისისთვის დამემთხვია, უპირველესად იმის გამო, რომ მინდოდა ჩემივე თავისა და სხვა უფროსებისთვისაც შემეხსენებინა - ნუ შევატოვებთ ბავშვებს უღცნეობ, პრაგმატულ სინამდვილეს და ყვეაღობ, არ დავკარგოთ მათთან და საკუთარ ბავშვობასთან მისასვლელი ბილიკები.

მთარბანელი

ვიღაცას ჰყავდა და ვიღაცას არა ჰყავდა, ერთ ვაჭარს სამი ქალიშვილი ჰყავდა. ერთ დღეს ვაჭარმა სხვა ქალაქში სავაჭრო საქმეებზე წასვლა გადაწყვიტა და თავის ქალიშვილებს ჰკითხა: მითხაროთ, რა გინდათ, რომ იმ ქალაქიდან საჩუქრად წამოგიღოთო.

უფროსმა უთხრა - “მე ერთი კარგი ჰერანგი მინდაო”.
შუათანამ - “წინდები მიყიდეო”.
უმცროსმა სთხოვა - “მე ყვეელი მომიტანე, თმაში რომ ჩავინათო”.

წავიდა ვაჭარი სხვა ქალაქში, მოაგვარა თავისი საქმეები. დაბრუნებისას, ჰერანგი და წინდებოც იყიდა, ყვეაღობს ყიდავა კი გულიდან გადაჰყარდა. სახლში რომ მივიდა და უმცროს ქალიშვილს შეხედა, მისი დანაბარები მაშინდა გაახსენდა და აპო! - ერთი მწარედ ამოიხსრა. წარუდგამ ამ დროს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ვაჭარი მივიდა, კარი გააღო და ხედავს - ზღურბლთან უცნობი კაცი.

ვაჭარმა ჰკითხა: ვინა ხარო?
უცნობმა უთხრა: მე აპი ვარ. შენი უმცროსი ქალიშვილისათვის ყვეელი მოგიტანე, რომ თმაში ჩაინახსო. ვაჭარს გაუხარდა, გამოართვა ყვეელი და თავის ქალს უსაჩუქრა. გოგოს ყვეელი ძალიან მოეწონა, აიღო და თმაში ჩაიბნია.

სამი დღის შემდეგ კარზე ისევ ვიღაცამ დააკაკუნა. ვაჭარი წავიდა, კარი გააღო და ხედავს - ზღურბლთან ისევ წაწოლი აპი დგას.

ამჯერად რაღა მოგიტანიაო? - ჰკითხა ვაჭარმა.
აპმა უთხრა: “არც არაფერი! მოვედი, ყვეაღობს პატრონი უნდა წავეყვანო”.

ვაჭარი საგონებელში ჩავარდა. იფიქრა, იფიქრა, ვერაფერი მოიფიქრა და აპს შეხეენა: - თუ კაცი ხარ, ამ საქმეზე ხელი აიღეო”.

აპმა უთხრა: “არ გამოვა! უსათუოდ უნდა წავეყვანო”.

რაღას იზამდა ვაჭარი, დაწყებულად, გამოიყვანა თავისი უმცროსი ქალი და აპს ჩააბარა.

აპმა გოგოს თვალები დაახუჭინა, ცხენზე შემოიხვია და გზას გაუდგინა.

როცა გოგომ თვალი გაახილა, დაინახა, რომ ერთ უზარმაზარ წალკოტში იმყოფება. იქაურობა ვარდნარადადა ქვეული და თითოეული ვარდის რტოვან ღვიაებრივი ჰანგები მოიხსო.

ეს რა ადგილიაო? - იკითხა გოგომ.
აპმა უპასუხა: ეს ადგილი შენი სახლიაო.
გაიარა სამმა დღემ. გოგოს თავისი თავისა და აპის მეტი არავინ უნახავს. მხოლოდ ჭამდა, ძინა და წალკოტში სერიობდა.

აპის ზღაპარი



ერთ დღეს დედ-მამა მოენატრა, დალონდა და გულის ხილრიმინა - აპო! - წაღლიანი ოხვრა ამოუშვა.

აპი მოვიდა და უთხრა: - რად ამოიხსრეო?

გოგომ უთხრა: დავლონდი და დედ-მამა მომენატრაო. მეორე დღეს აპმა გოგოს თვალები დაახუჭინა, შემოსივა ცხენზე და ვაჭრის სახლისკენ გაემართა.

პარამლთან გოგო მიწაზე ჩამოხვია, თვალი აუხილა და უთხრა: ხვალ დავბრუნდები და უკან წავეყვანო”.

გოგო შევიდა სახლში, ყველა დაკოცნა, მერე ჩამოჯდა და შინაურებს მოუყვა თავისი სადარდელი: “ერთ უზარმაზარ წალკოტში მარტომდმარტო ვცხოვრობ. ერთადერთი მასხური მყავს და რასაც ვუბნებდი, ყველაფერს მისრულებს; საქმელ-სასმელოც გამოუღვლავდა მაქვსო”.

დეიდამ უთხრა: - ჩემო გოგო, ამ საქმის მიღმა რაღაც საიდუმლო იმალება. აუცილებლად უნდა გაიგო, რაშნა საქმე ერთი მითხარი, საღამოობით, ვახშობისას, რას გაქმევნო”.

გოგომ უპასუხა: მხოლოდ ერთი ფინჯანი ჩაი მოაქვთ ხოლმეო.

დეიდამ დაარჩია: ერთ საღამოს ჩაი არ დალოო. ადეი, ხელი გაიჭერი და ჭრილობაზე მარილი დაიყარე, რომ ტკიფობა აღარ დაგაძიოს. და ყველაფერს ნახავ, თუ რაშე მოხდებოა.

მეორე დღეს აპი მოვიდა და გოგო ისევ წალკოტში წაიყვანა.

როცა დაღამდა, ვაჭრის ქალმა ძილი მოინდომა. აპი წავიდა და ვახშმად ერთი ფინჯანი ჩაი მოუტანა. გოგომ ჩაი მალულად მაგიდის ქვეშ გადადგარა, მერე თითი გაიჭრა და რომ არ დასინებოდა, ჭრილობაზე მარილი დაიყარა. უზღამაძისა ფრთხილი ნაბიჯების ხმა შემოესმა. თვალები მოხედა გაახილა და ხედავს - აპს სულში ღამპარი უჭირავს, გზას ანათებს და ვიღაც მთვარის სადარჭაბუკს მოუძღვება.

ჭაბუკი საწოლს რომ მიუახლოვდა, ამაჲ ჰკითხა - დღეს ქალბატონი როგორ ბრძანდებოდა?

ამჲ უთხრა: ძალიან კარგადაო.

ჭაბუკმა ჰკითხა: ჩაი თუ დალილი?

ამჲ უთხრა: - დიას, ბატონო! - მერე ჭაბუკი და გოგო მარტო დატოვა და კარი გაიხურა.

ვაჟმა ტანსაცმელი გაიხაზა და უწიდა, გოგოს გვერდით მისწოლდა. ამ დროს გოგო უეცრად წამოდგა და ჰკითხა: ვინ ხარ?

ჭაბუკმა უთხრა - შენი ბატონი!

გოგომ ჰკითხა: რატომ აქამდე არ დამენახე?

ვაჟმა უთხრა: ადამიანი უში რძით გაზრდილია და ერთგულების გრძობა არა აქვს; ამიტომაც ვცდილობდი, არასდროს დაგენახე. ახლა, რაკილა, ჩემი საიდუმლო გამომგვლენდა, აღარ დავცემალბობო.

მეორე დღეს აპი მოვიდა და ჭაბუკი გააღვიძა. ჭაბუკმა უთხრა: "ვარდების ბალი მოანესროვე, დღეს მინდა წსროვდ იქ ვისადილოო.

აპი ნავიდა. ცოტა ხანში ქალ-ვაჟიც წამოდგა და სასადილოდ ვარდების ბალისკენ გაემარინენ. გოგომ უმშენიერესი, ენით აღუწერელი სილამაზის ბალი დანახა, იქაურობა ისეთი დიდებული იყო, კაცი იტყოდა: "თვალი მომცა და მაყურებინაო".

გოგოს უწიდა ვარდი მოენყვითა. ბუჩქს ნაეტანა, მაგრამ ხელი ვერ უწვდინა. ამ დროს ქალმა დანახა, რომ ჭაბუკს ილიის ქვეშ ვარდის პატარა ფურცელი მოსდებოდა, მისწვდა ჭაბუკს და ფურცელი მოაცილა. უეცრად ჩამობნელდა და ისე იქექა, რომ გოგოს შიშისგან გული შეულონდა. თვალი რომ გაახილა, რას ჰხედავს? - აყვავებული ვარდების ბალი ნაცარტუტად ქცეულა და მკვდარი ჭაბუკი მინახე უსულოდ დავარდნილა.

გოგომ ამოიხრნა და აპი მოვიდა. გოგომ უთხრა: ერთი ხელი შავი ტანსაცმელი მომიტანო. აპი ნავიდა და გოგოს ერთი ხელი ძაბა მოუტანა. ქალი თავით ფეხებამდე შავად შემოსა. ვაჟის სასთუმლოდან ადგდა და ვიდრე არ დილიდა, ცრემლსა ღვრიდა და ყურანს კითხულობდა. ბოლოს მიხვდა, რომ ტირილითა და გლოვით ვერაფერს გაანკურდა, აპი იხმო და უბრძანა, ბაზარში წამიყვანე და გამეიდგო!

აპმა ქალი წაიყვანა ბაზარში და გაყიდა. ორი-სამი დღის შემდეგ გოგომ შეამჩნია, რომ მისი ახალი პატრონის სახლში დიდ-პატარას შავები ჩაუხვეს. ყველა მოწყენილია და ჯავიანი-დარდიანი. მიზეზი რომ იკითხა, მხევალმა უთხრა: "ამასწინათ, ქალბატონს თავისი ერთადერთი ვაჟი დაეკარგა და იმასა შგლოვებინაო".

ქალი მუდამ თავისი ქმრის ფურქში იყო. ნატრობდა, გადაარჩენის გზა მოეძებნა და სადარდელისაგან შუნსუხე-ბადლი მთელ ღამებზე თერიადა აიცივდა.

ერთ ღამეს დანახა, დაკარგული ვაჟის დედამამ ღამსა აიღო და ფეხკარეფით სახლიდან გაიძარცვა. გოგოს მინც არ ეძინებოდა და იფიქრა: ერთი ვნახავ, ამ შუადიძისას ბიჭს საით მიემყრებო? - ჩუმად წამოდგა და ვაჟის კედის უხმაროდ უკან აედგინა. კაცმა რამდენიმე ეზო გაიარა და ერთ უზარმაზარ აუზს მიაღწია. საგებანი ამოაძრო, აუზი დაცალა და ფსკერზე ქვის პატარა სარკველი გამოჩნდა. კაცმა ქვის სარკველი გვერდზე გადსწია, კობეზის ქვეშით დაუფევა და ერთ დარბაზში ნავიდა, სადაც ვიღაც ახალგაზრდა ბიჭი ძელზე ხელებით და ფეხებით მიიღურსმნათ.

ბიჭმა ჰკითხა ბიჭს: რა ჰქენ, მოიფიქრე?! - ყაბულსა ხარ თუ არაო.

ბიჭმა უთხრა: არაო!

ბიჭმა ბიჭს შევითხვა საშვერ გაუმეორა და სასურველი პასუხი რომ ვერ მიიღო, სასტიკად განირისხდა; მივარდა და მარახი იმდენი ურტყა, რომ საბრალო ბიჭს ცქვით ძვალბოძლი გაუყრინაბა. მერე თან წამოღლებული ერთი თუფში ფლავი ძალისხალით შეაჭამა და უკან გაბობორუნდა. ქალი დანინარდა, მოვიდა სახლში, დანვა,

თავზე საბანი წაიფარა და თავი მოიმძინარა.

მეორე დღით კაცი საქაროდ წამოდგა და აბანოში ნავიდა. ქალმა კი ერთ-ერთ მხვეალს უთხრა: ნუხტელ ერთ სიზმარი ვნახე, დარწმუნებული ვარ, ქალბატონმა რომ გაიგოს, სიხარულისგან გული გაუსკდება. ეს მაფიქრებს, თორემ ახლავე ავდგებოდი და ვუამბობო.

გოგოს სიტყვებმა სახლში ენიდან ენაზე გადაინაცვლა და ბოლოს ქალბატონის ყურამდც მიაღწია. ქალბატონმა დილითა გოგო და უთხრა: მოდე, მიიხარო, ისეთი რა სიზმარი ნახე, რომ მოყოლისა შეგზმნებიაო.



გოგომ უთხრა: ქალბატონო, გამომყევით და გზად ყველადერს წვრილად გაიამბობო. ნავიდა და ქალბატონი უკან გაყოლა. რამდენიმე ეზო რომ გაიარეს, გოგომ უთხრა: ყველაფერი უსტიად ისეთივეა, როგორც დამესიხზნა. კაცი წსროვდ ის კარია, აუზიც წსროვდ ის აუზი; აბა, ახლა სარკველი ამოაძვრო, ერთი ვნახო, სხვა დანარჩენი თუ ისევე იქნებაო". ბევრი რომ არ გაგვარებულთ, ქალბემა იარეს, იარეს და სარდაფში ჩააღწიეს. ბიჭმა დაიყვირა: არამზადვე. ღამით ხომ მტანჯავ და ახლა დღისითაც აღარ მასვენებო?! - ქალბატონმა იცნო თავისი შვილის ხმა, გაიქცა და ჭაბუკი გულში ჩაიხუტა. ამოიყვანის ბიჭი სარდაფიდან, დაბანეს, მერე ექიმბაში იხმეს და დაიჩრქებულ წყულტებზე საღებური დაფუნეს. ამ დროს კარზე ვიღაცამ დააკავებინა. ქალბატონმა ბრძანა - წადით, კარი გაათავო, ალბათ ბიჭის ბიძა თუ დაბორუნდა აბანოში. მხვეალი ნავიდა და ჭიშკარი გამოაღო. ბიძა ეზოში ერთი ალიაქოთითა და ხმაურით შემოვიდა; მსახურებს თავში წამოუთოქა და უყვირა - სად ვანდაბაში ვყავრე, ჭიშკარი დროზე რად არ გამიღეთო. მაგრამ როგორც კი ბიჭი დინახა, უეცრად დამხუჯდა, სახეზე მიტკვლის ფერი დაეღო და ნაბიჯის გადადგეკი ვეღარ მოახერხა. ქალბატონმა ბრძანა, ბიძა დაჭერ-ნაჭერ აეყნათ და მისი ნაფლეთები ძალღებისთვის საჯიჯგანად მიეყარათ. ქალბატონმა გოგოს უთხრა - თუ გსურს, ჩემს შვილზე დაგაკორინებო. გოგომ უთხრა - კორინება ახლა არ შემიძლია; აღიქმა მაქვს დადებული და ვიდრე ჩემს აღიქმას არ შევასრულებ, არ გათხოვდებო. - თქვა ესა და უეცრად თავისი დარდი გაახსენდა. ამოიხრნა და აპიც იძინავეკი მის გვერდით განწადა. გოგომ უთხრა: სასწინად ვაჟის სასთუმლოთან მიმიყვანო. აპმა ნაიყვანა ქალი ვაჟის სასთუმლოთან. გოგო მიცვალებულს თავითი დაუჯდა, იტრია, ილოცა, ბოლოს კი აპს უბრძანა - წამიყვანე ბაზარში, გამყიდეო.

აპმა იგი ისე წამოიყვანა ბაზარში და გაყიდა.

▶ ცოტა ხნის შემდეგ გოგომ შეამჩნია, რომ მისი ახალი ქალბატონიც დაუმსრულებელია. იკითხა - რა ამბავია. უთხრეს - წლების წინათ ქალბატონის შეიღობა მაგივრად, ურჩხული შეეძინა, რომელიც აიყვანეს და მიწისქვეშ გადაამალეს. ურჩხული დროთაღმდეგ იზრდებოდა, ქალბატონს კი იგი ვერც მოსაკლავად გაუშვებინა და ვერც ეს ამბავი გაუშვებინებია. ერიდებოდა თქვას, ურჩხული მყვოლია.

ერთ დღეს გოგო ქალბატონთან მივიდა და უთხრა: რა კარგი იქნება, თუ ამიყვანთ და ურჩხულთან ჩამაგდებათ.

- ჭკუაზე ხომ არ გადასულხარია! - ჯერ კი გაიოცა ქალბატონმა, მაგრამ მერე გოგო იმდენს ტყუენა და ემუდარა, რომ საბოლოოდ, მოლა და დაჰყავდა.

გოგომ უთხრა: ტყავის ტომარაში ჩამსვით, ტომარას თავი მაგრად მოუკარით და გველუშაობათ ისე მიმავლეთო.

მართლაც ისე მოიქცნენ, როგორც გოგომ მოითხოვა - ჩასვეს ტყავის ტომარაში, თავი მოუკრეს და მიავლეს გველუშაობას.

ურჩხულმა ჩახედა ტომარას და უთხრა: - ქალო, შენი ტყავიდან სასწრაფოდ ამოძვერი, უნდა შეტყაობო.

გოგომ უთხრა: შენ თუ შენი ტყავიდან არა ძვერი, ჩემი ტყავიდან მე რატომ ამოძვერე?

გველუშაობა უთხრა: ბევრს ნუ ლაპარაკობ, ჩქარა ამოდი!

გოგომ უთხრა: სანამ შენ არ ამოსულხარ, არც მე ამოვალ.

ქალმა და გველუშაობა იმდენი იკამათეს, რომ ბოლოს ურჩხული დაიტყდა, ტყავი გაიჭრა და მივარის სადარი სიღამაზის ქაბუთად გადაიქცა.

გოგოც ამოვიდა ტომარიდან დაჯდა ქაბუტთან და ერთმანეთს ტკბილად გაუბეს მალაათინ.

ცოტა ხანში გოგონა, ქალბატონმა მხეველებს უბრძანა - წადით, ნახეთ ერთი იმ საცოდავ გოგოს რა უბედურება დაემართათ? მხეველები წავიდნენ და შიშის კანკალით სარდაფის კარის ღრიჭოში შეიხედეს. ხედავენ - რა გველუშაობა, რის გველუშაობა?! - მუსხავით გოგო ხის და მივარისკით ქაბუტს ტკბილად ემსალაობება. - სასწრაფოდ წამოვიდნენ და რაც კი ნახეს, ყველაფერი ქალბატონს მოასვენეს.

ქალბატონმა დიდად გაიხარა. მსახურები გააგზავნა და ქალ-ვაგი სასწრაფოდ თავისთან მოიყვანა. მერე ღმერთის მადლობა შესწირა და ქალს უთხრა: კარგი იქნება, თუ ჩემს ვაჟზე დაქორწინდები. გოგომ იცოდა, რომ მისი დარდის საღებუნი სხვაგან იყო, ამიტომაც ქალბატონს უთხრა: ჯერ გაიხილეთ არ შეიძლება. ცოტა ხანს მაცდლეთ, აღთქმის ვადა გავიდეს და ქორწილზე მერე ვილაპარაკოთო. შემდეგ ადგა, განაპირდა და ამოიხარა. აპიც მაშინვე მის წინ აისებტა. გოგომ ჰკითხა: ჩემი ქმრისგან რა ამბავიაო.

ამა უთხრა: როგორც დატოვეთ, ისევ ისე მძინარეო.

გოგო აშთა ერთად წავიდა, ბიჭს სასთუმალთან ჩამოუვდდა, იტირა, ილოცა, ბრლოს კი მიუბრუნდა აპს და უბრძანა - წამიყვანე ბაზარში, ისევ გამყიდო.

გოგო ამჯერად ერთმა კაცმა იყიდა და სახლში წაიყვანა. მსახურებმა უთხრეს - ამ სახლში წესდა აქეთ - ყველა ახლადნაყიდმა მხეველმა პირველ ღამეს ბატონისა და ქალბატონის გვერდით უნდა დაიძინოსო.

იმედია, "არლის" მკითხველებისთვის საინტერესო იქ-
ნება, გაეცნონ დიდი პოეტის ყველაზე "უინტერესო" პოე-
მის ფრაგმენტებს.

I
არწვი აიჭრა ზეცაში, ქვემოთ
მონადირე და მისი ძაღლები წრიულ კვალს ადგანან.
მარადიულია წრიული ბრუნვა ფიგურული ვარსკვლავების,
მარადიულია მონაცვლეობა გამსაზღვრელი წლის დროების,
მარადიულია

გაზაფხული და შემოდგომა, დაბადება და გარდაცვალება.
იდეების და ქმედებების უწყვეტ ნაკადებს,
უსასრულო მიგრებებს და ექსპერიმენტებს
მოაქვთ ცოდნა მოძრაობის, არა სიმშვიდის,
ცოდნა საუბრის, არა ღმუხლის,
ცოდნა წინადადებების და არა სიტყვის.
თითოეული ჩვენი ცოდნა გვაახლოვებს უმეცრებასთან
და მთელი ჩვენი უმეცრებით ვუახლოვდებით სიკვდილს,
ღმერთს. არ, სიკვდილს.

სად არის სივრცეზღუდ, რომელიც გაავლენაზე ცხოვრებაში?
სად არის სიბრძნე, რომელიც მოიწინააღმდეგება?
სად არის ცოდნა, რომელიც წააღწევს ინფორმაციამ?

ოცი საუკუნის ციური ციკლით
დაუმორღობი ღმერთის,
ვიტყობი მტკრად.

მე შემოვიარე ლონდონში, მარადიული ქალაქი,
რომლის მდინარეზე უამრავი უცხოური ნავი მცურავს.
იქ მოვისმინე, ითქვა: ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი ტაძარი,
მაგრამ განვიხილეთ ლუდხანების ნაკლებობა. და მოვისმინე, ითქვა:
დაე, გადადგნენ ჩვენი მღვდლები. ან ტაძრები გაივტანათ იმ

ადგილიდან,
სადაც გმუშაობთ; გავიტანეთ ქალაქგარეთ, სადაც ვატარებთ
ჩვენს კვირადღეებს. აქ სამარეული რაში გეგონდება,
დაე, ზარებმა პროვინცია გამოლაოვიდონ.
შემოვიარე პროვინცია; იქ მოვისმინე, ითქვა:
ექვს დღეს გმუშაობთ, მეშვიდე დღეს უნდა წაივადეთ
პანდემიში ან მიფინანსდეთ,
ხოლო თუ ცუდი ამინდია, შინ ვრჩებით და გაზეთის კვითხულობთ.
მე მოვისმინე, ინდუსტრიულ რაიონში რაღაცა ითქვა
ეკონომიკური კანონის შესახებ.
ხოლო იქ, სადაც თვალწარმოტეხი ბუნებაა, მოგეჩვენება,
რომ ეს ქვეყანა მარტოოდენ ბანკიკების გასამართად არის ვარგისი.
და ჩანს, ტაძარი აღარავის ჭირდება უკვე
არც ქალაქგარეთ, არც სოფელში; მხოლოდ ქალაქში
მნიშვნელოვანი ქირაწილებისთვის.

კლდე:

სამყარო ბრუნავს და სამყარო იცვლება,
მაგრამ ერთი რამ რჩება უცვლელი.
რაც თავი მახსოვს, ერთი რამე რჩება უცვლელი.
როგორც არ უნდა წაუყრუო, ერთი რამე სამუდამოდ რჩება
უცვლელი:
სიკეთის და ბოროტების მარადიული ბრძოლა-ჭიდილი.
გულმარცხვები, თქვენ უარყოფთ ტაძრებსა და სალოცავებს
და თქვენ, ადამიანები, დასცინით სიკეთის,
რადგან მას თქვენი პრაქტიკული, თქვენი ინფორმირებული
გონება ვერ ხსნის.

ამასთან, რატომღაც ვერ ამჩნევთ უღმინოს.
უღანო მხოლოდ სამხრეთული ტროპიკების მიღმა არ არის,
უღანო მხოლოდ მოსახვედის მიღმა არ არის,
უღანო სუფევს შენი ძმის გულში,
უღანო სუფევს მეტროს ვაგონში, რომელსაც უცდი ბაქნზე
მდგომი,
კარგი კაცი კი ის კაცია, ვინც აშენებს, თუკი აშენებს იმას,
რაც კარგია.

მე თქვენ ვინცნებთ, რა ზღბდა და როგორ და რატომ,
მე თქვენ ვინცნებთ, რა მოზღბა და როგორ და როდის,
სრულსაკაე შენი სურვილები, გახსენი გული.

III

უფლის სიტყვა გადმოვიდა ჩემზედ, ამბობდა:
ვაი, უბედურო ქალაქო წარჩინებული ხალხის,
ვაი, უსუსურო თათბეო განათლებული ხალხის,
ჩაკარგულეო თქვენეიე მასვილგინიერობის ლაბირინთებში,
შესყადულეო ღივიდენდებოთ, რომლებეც მოაქვთ თქვენს
აღმონჩენებს,
მე თქვენ გიბოძეთ ხელები - თურმე პირვეკარის უარსაყოფად,
მე თქვენ გიბოძეთ მეტყველება - თურმე გათუთავებობისათვის,
მე თქვენ გიბოძეთ ჩემი კანონები - თურმე დასარდვეკად,
მე თქვენ გიბოძეთ გული - თურმე ერთმანეთის
უნდობლობისათვის,
მე თქვენ გიბოძეთ თავისუფალი ნება - თქვენი არჩევანი
მერყეობს ბრვეკულ აზრებსა და უფრო ბირვეკულ ქმედებებს
შორის.

მრავალნი დაკავდნენ წიგნების წერით და ბუკდვით,
მრავალნი ნატრობენ გაზეთში იხილონ ნათესა სხელი,
უფრო მეტნი კი კითხულობენ მხოლოდ რაბორტებს.
მართლაც, ბევრი გაქვთ საკითხავი - ოღონდ არა სიტყვა უფლისა.
მართლაც, ბევრი გაქვთ საკითხავი - ოღონდ არა სახლი უფლისა.
ხომ არ ამძევთ კარის ქონხმას, დაბზარულ ჭერამდე
ამოცხებულს საკვირო გაზეთებით?

პირველი ხმა:
ყვირილი აღმოსავლეთიდან:
რად იქვეცა ეს ნაბიბი, გახვეული გემების კვამლში?
ნუთუ მიატოვებს ჩემს ხალხს, დაიწყებულს,
ჩემს გათვებულ ხალხს?
აჩრება გემის გაბზარული საკვამური,
გახლენილი კარკასი და დაგანული ლითონის გროვა,
ხოლო ქუჩაში დახვებულ აგურებზე აძებნა თხა...
აი, რა მოხდება იქ, სადაც ჩემი სიტყვა სდუმს.

მეორე ხმა:
ყვირილი ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან, სამხრეთიდან,
საიდანაც ყოველდღიურად ათასები აწყვდიან მარადიულ ქალაქს,
ჩემი სიტყვა კი სდუმს,
და ჩოგბურთის ბადეებით დაქსოვილი მიწაზე
კურდღელი ჩაძებრება ზეველში, აიპურძებლება ზღარბი,
ჭინჭარი იხარებს მარმარილოზე,
ქარი იტყვის: აქ ცხოვრობდა წესიერი უღმერთო ხალხი,
ეს ასფალტის გზა - მათი ძეგლია,
და უამრავი დახვებული გოლევის ბურთი - მოსაგონარი მათი.

VI

ძნელია მისთვის, ვინც არასოდეს ყოფილა დევნილი
და არაფერი არ სძენია ქრისტიანებზე,
დაიჯეროს მონათხრობი ქრისტიანთა დენის შესახებ.
ძნელია მისთვის, ვინც ბანკის მახლობლად ცხოვრობს,

დაეჭვდეს იქ დაბანდებული ფულის ღირებუბაში.
ძნელაა მისთვის, ვინც ცხოვრობს პოლიციის სადგურის
მასხობლად,

წარმოიდგინოს ძალმომრეობის ტრიუმფი.
ნუთუ შენ ფიქრობ, რომ სამყარო დაჯანა რწმუნან
და აღარ ჭირდება მტკვლები ლომებს?
ნუთუ გჭირდება გაგამეორო, რომ ყველაფერი, რაც მოხზარა,
შეიძლება განმეორდეს?
ნუთუ გჭირდება გაგამეორო, რომ თვით ისეთი მოკრძალებული
ღირსებები,

რითაც შენც კი შეგიძლია თავი მოიწონო მაღალი
საზოგადოებისკენ მიმავალ გზაზე,
რწმუნას უმაღლიან თავ-თავიანთ მნიშვნელობებს?
მამაკაცო, იხევე კბილები დილით და დღის ბოლოს, ქალო,
იპრიალე ფრჩხილები.

აპრიალებ.
რად უნდა უყვარდეს ტაძარი ხალხს? რად უნდა უყვარდეს
მისი კანონები?

როდესაც ისინი სიმკაცრეს ითხოვენ, ტაძარი ნაზია;
და მაშინ მკაცრდება, როდესაც ითხოვენ სიღობს.
ის მათ ახსენებს სიცოცხლის და სიკვდილის ამბავს, რისი
გახსენებაც არ სურთ.
ის მათ უამბობს ბოროტების, ცოდვების ამბავს, ყველაფერ იმას,
რაც არ სიამოვნებთ.

ისინი ყოველთვის ცდილობენ თავდახსნას
სიბნელისაგან, რომელიც სუფევს მათში და ირგვლივ,
ცდილობენ შექმნან სრულყოფილი სისტემები, რომ არავის
არ დაჭირდეს იყოს კეთილი.

მაგრამ რა არის ადამიანი? ის არის ჩრდილი.
ორჯერ ჩრდილია, როცა ცდილობს - არ იყოს ჩრდილი.

ინგლისურიდან თარგმნა
ბრნილ შაიშიძემ

ღარიღი



მან-მან პოეზია

გოლეშის მინა



რახან ხანა, (ბრუნა, აბშირ) სტელაშინა

საფუძვლიანი ნარკვევი ფანტასტიკური ადგილე-
ბის არჩევანზე ჯერაც დასაწერია. არადა, აშ-
კარაა, რომ ფანტომები ყველგან არ სახლდებიან
და ფანტასტიკოსთვის ხელსაყრელი მიდამო მხო-
ლოდ ადგილორივე ელფერი არ არის. ეტყობა,
ფანტასტიკური სივრცე, სადაც არ უნდა იყოს
იგი, ყოველთვის ერთსა და იმავე კოდს ემორჩი-
ლება: ეს არის მშობლიური ადგილი - ნაცნობი
და სისხლბორცული ჩვენი კულტურისთვის -
ჩვეული პეიზაჟი, რომელიც მიუხედავად ამისა,
მკერდქვეშ (მინისქვეშეთებში, სარდაფებსა და
ლარტაფებში) მივინყებულ, გარეგნული წესრი-
გით ფერფნაყრილ, შემზარავ მუქარას მალავს.
გოთური რომანის ციხე-დარბაზი, თეოდორ
შტორმის შიმფრეიტერის ღრუბლიანი ველი, უფ-
მური ტბორის პირს მდგარი, ედგარ პოს "ემე-
რის სახლი", ეს სულ ერთი და იმავე ადგილის
სხვადასხვა სახელია. გუსტავ მეირინჯი პრაპას
ირჩევს და არ ავიწყდება გავახსენოს, რომ ჩე-
ხურ სიტყვას - "პრაპას", "ზღურბლის" მნიშვნე-
ლობა აქვს. ამ მიდამო-ზღურბლის ფანტასტიკო-
ბას, მწერლის წარმოსახვა ნაირ-ნაირ დონეზე აგ-
ებს: პრაპა არის სიმბოლური, ლეგენდარული ად-
გილი - ერთი სიტყვით, საბედისწერო სივრცე.
"გოლეში" პრაპული გეტოს რომანია. მეირინ-
ჯი მას, მეტწილად, ანთროპომორფული მეტაფო-
რებით აღწერს და მხეცობის, ანარქიის, უკანონო-
ბის, გადაგვარებისა და მძვინვარების ადგილად
სახავს: გადაბრეცილი სახლები ვინრო, რკინის
გისონებიანი ფანჯრებითა და პირდაპირნილი,
ჩაბნელებული დერეფნებით, საიდანაც გვეგონებათ
"აი, ახლა, სახადაღრენილი სიძულვილი შემოგლ-
რიალებთ".

მაგრამ, გარდა იმისა, რომ გეტოს მიხვეულ-
მომხვეული ქუჩებსა და სარდაფებში მართლაც
შეიძლება დაიკარგო, იგი ჩაკეტილი ადგილიცაა,
რომელიც ქალაქის შემოსაზღვრულ სივრცეში
არსებობს. მოლდოს მეორე ნაპირზე მისი ანტი-
თეზა - პრადინის უბანი იწონებს თავს "ამაყი",

“ზეატყორცილი”, “ჰეიროვანი” არქიტექტურით. ბაროკოს სტილის სასახლეების წევტიანი სახურავები ჩიტებით სავსე ზეცას ფხრენენ, მოქანდაკულ პორტალებზე ლომის თავები ბრინჯაოს რგოლებიდან იღრინებიან. აქ სწორედ გეტოს საბირსპირო ატმოსფეროა. ამგვარად, პრაპის პეიზაჟი გვთავაზობს ორ განსხვავებულ სამყაროს, რომელიც ერთმანეთს უპირისპირდება წესრიგისა და ქაოსის სახით - ხალისისა და ტანჯვის არქიტექტურით. მეირინკის გმირები სწორედ ისინი არიან, ვინც აქედან იქით გადადიან, ვინც “ზღურბლს” აბიჯებენ. ჰერნათი მდინარეზე გადადებულ ხიდზე შედგება, “აქაფეულ ტალღებს” ჩასცქერის და უცხად მიხვდება, რომ იგი არც ერთ და არც მეორე ნაპირზე შინ არ არის.

როდესაც მწერალი მეირინკი 1917 წელს, კვლავ მიაკითხავს პრაპის “ვალპურგის ღამით”, ქარგა იცვლება, თუმცა, რომანის თავშივე, ქალაქური პეიზაჟის სიმბოლიკა ისევ ორი უბნის ანტითეზად არის განაწილებული: მოლდოს ერთ მხარეს შრადჩინია, რომლის არისტოკრატია, თითქოს, დროის სრბოლას არ ემორჩილება, მეორე მხარეს კი, “ქვემოთ”, “ხალხი”, “სამყარო”, სადაც მეფობის სიღატაკე, სადაც “ომის მსახვრალმა ხელმა გაშანადგურებული რისხვის კვალი დატოვა”, რასაც შრადჩინის ბინადარი - ისე უნდად მისვან თავი დაიცვან - მხოლოდ ტელევიკობით თუ უყურებენ. მათი წადილი თავის გარიდებისა სასაცილოა, რადგან “გოლემისგან” განსხვავებით, სადაც შრადჩინი წესრიგის სიმბოლიკა, აქ იგი უკვე თავის გულში მალავს მჭენეობებისა და სიგვიტის მუტარას: “შეაჩქიე, რომ პრაპაში, იქ, ქვემოთრები, სულ გიყები არანან... როდესაც ქუჩაში ერთმანეთს ხვდებიან, მაშინვე ყველა პირველ გამჭირდავ ელობს იფარებს - რომ იცოდე, მე შენზე რა ვიცო... აუ, შრადჩინის მაღლობზე, ეტყობა, სხვა სახის სიგვიტე სჭირთ - გაქვივების სიგვიტითითქის აქ, წინათ, ყველა საგანი ქვად ქცეულაო... მაგრამ თუკი ოდესმე, ერთ მჭენეირ დღეს, იგი იფიქტებს, იცოდე, გამოვიქმებული ქვის კოლონები მივალ ქალაქს მოსრავდე...” შრადჩინის არქიტექტურას დაუკარგავს ის, ძველბურთი “სიამავე”, რაც “გოლემში” ჰქონდა. იგი აღარ არის მედიდური ავტოლო, რომელიც ძალადობის სწავლის გადმოქცურებს - არამედ თვალთმაქცური დუმილი მინერალური ხალხისა, რომლის ყოველი ქვა “შემაზრავ და შემაძრწუნებულ წარსულზე ღაღადებს”, რომლის ყოველ გოჯს სისხლის სუნი სდის.

თუ მეირინკის წარმოსახვის მიერ შეთხზულ ფანტასტიკაში ქალაქური პეიზაჟი, მართლაც, სიმბოლიკის სახეა კავშირისა წესრიგსა და ქაოსს, გონიერებას და სიგვიტე შორის, მაშინ თვალნათლივ დავიანახებთ ევოლუციას, რაც აქ ორ რამზს შორის მოხდა. “გოლემში” ქალაქი გათიშვის, მიფენს ხატია და სწორედ ეს აღარ ჩანს “ვალპურგის ღამეში” - თითქოს რომანის ერთ-ერთი გმირის ზომი გამართლებული და ამიერიდან, პრაპაში ხიდი აღარ არის ის, გასაღები ყველა იმ ამბისა, რომელიც აქ არის მოხორბობილი: “ქვევით”, “ქალაქში”, ჯანჯი იფიქტებს; შრადჩინის ბინადარი თავს იმჭვიდებენ და ამბობენ: “ჯერ არ მომხდება, რომ იმ ხალხის უმცავისი აყაბლყადი მოლდოს გადმოსცდენდა”, მაგრამ ამგვარად, მჭენეობა მდინარის გაღმობიდან გადმოსწვდება. შრადჩინის არისტოკრატის მსახურებს აჯანყებულბთან შეერთება სწადიათ და თავად პრაპულ ვეითლობილთა უქველბისა საგვარეულოს შთამომავალი აპირებს სათავეში ჩაუდგეს ამბოს.

“გოლემიდან” “ვალპურგის ღამემდე” ქალაქური პეიზაჟის სიმბოლიკა გვეუმბნება, როგორ ანგრებს ძირფესვიანად ქვეყნად წესრიგს მჭენეობება და სიგვიტე, რომელიც თავიდან შემოზღუდული იყო. მეირინკს გონის ზომბის იმედი გაუარუდა მას შემდეგ, რაც 1915 წლიდან მოყოლებული 1917 წლამდე, დაინახა, რომ ომი არა და არ



ცხრებოდა.

“ქვეყნად სხვა ქალაქი არ მეგულება, გვიმზელს იგი, რომელიც რალაც აუხსნელი ხიბლის წყალობით, პრაპისავით ხშირად გინგედეს მისი წარსულის კვლის მოსაძიებლად. ერთი მჭედვით, თითქოს, ფანტასტიკური აღარაფერია იმაში, რომ ამა თუ იმ ადგომს თავისი ლეგენდა ახლავს, მაგრამ გაანია, რას მოგუთხობრობს იგი და რა უფუქცია ავირებს თავის მონაყოლს.

ლეგენდები, რომელიც ამ ორ პრაპულ რომანში შემოაქვთ ტრადიციების დამცველი, მეირინკიან მოქმედებს - მირჩა ელიავს სიტყვით რომ ვთქვათ - როგორც “მითითური აზროვნების გამოხახილი”, ანუ კოლექტიური მესსიერებაში აღბეჭდილი და შემონახული “ცოცხალი” თქმულება, რომელიც სამყაროს აღიქმას ქრონოლოგიური დროისგან მონგვლით, უფლებებელყოფის ფაშთა სვლისგან გამიწვეულ ცვლილებებს და პავის ქმედების წარსულის მოდელის გამეორებად აქცევს. ორივე ლეგენდა, რომელიც ორ რომანშია ცალკე-ცალკე ჩატყობილი, ერთსა და იმავეს ყვება: საზოგადოებას ძალადობისა და წგრევის მუქარა აწევს. იგივე პრობლემტიკაა ასახული ქალაქურ სიმბოლიკაში და იმავე ევოლუციას ვხვდებით ერთი რომანიდან მეორემდე.

ფანტომი, რომელსაც გოლემს ეძახიან - თიხის ქნის-ლელების მოსაგონებლად, ოდესაც რომ გამოუქრნება მაცვან კაბალისტ რაბინს, რომელსაც ერთ დღეს, გეტოს ქუჩებში გამოქცევიო იგი და მანამ ანგრევადა თურმე, რაც კი გზად დახვდა, სანამ პატრონმა არ შეიპყრო და მუხბულზე დაწერილი ფორმულა არ ნაუშალა, რითაც ისევ არაბიბაში დააბრუნა - სწორედ ამის ფანტომია, რომელიც მატერიალურს ხდის “კოლექტიური სულის” (sic) გეტოს დამხარეველი სიმბოლის ფანტაზმებს. მუქარა, რომელიც უფხოელის სახეს იღებს, სხვა არაფერია, თუ არა იმ პირველი “შეცდომის” აღორძინება - დემიურგი რაბინის ამპარტაგენტბა.

“ვალპურგის ღამე” დაფუქნებულია იან ფიქვას ლეგენდაზე - შუსტიტა ომების გმირზე, ტაბორიტების ცალთვალა ბელადზე, რომელმაც ის ერთადერთი თვალციბრობოლა დაკარგა და რომელმაც სიკვდილის წინ ბრძანა, მისი ტყავი დოღზე გადაეჭობია, რათა სიკვდილის შედეგად გაძლიოდა თავის რაზმებს ბრძოლაში. ბოჭმეილი ქალი - ლეხელი, კოლექტიური მესსიერების ზეპირმესტყვევა: “ყველა ომის კერა ყოველთვის ბოჭმეიში ჩალდებოდა... იგი ახლაც აქ არის და მუდამ იქნება... იან ფიქვა, ჩვენი ბელადი იან ფიქვა... იცი, მოლდომი რატომ არის ამდენი წურებლად? სათავიდან მოყოლებული ელბამდე, ნაპირზე ერთ კენჭს ვერ გადააბრუნებ,

საქართველო

რომ ქვეშ უთვალავი პატარ-პატარა წურბელა არ დაგებდეს. ეს იმიტომ, რომ წინათ მდინარე სისხლისა იყო! წურბელები ელიან - იციან, ისევ გაუწმენდებიან სარჩოს." ეს არის პარტიული ლეგენდა (ისტორიულად ტაბორიტები ჰუსიტების ყველაზე "რევოლუციური" ფრთა იყო და ისინი, თავიანთი ახალი წმინტის თანახმად, ქურების ერთიანობასა და ხალხის მშავრეობლობას ქადაგებდნენ - ეს იდეოლოგიური ასპექტი რომანში ნაშუალოა), რომელიც გოლენდისდარ წერეფლე ყვება და მასვე დაუჭერს; ოლინდ იან ფიჯას მარადიული დაბრუნებით გამომსული გიჟური ღვრილა სისხლისღვრისა, გოლენდის ციკლურ გამორჩენას განსხვავებით, დაკავშირებული არ არის ოდესღაც ჩადენილ სიამაღეს ცოდვასთან და არც დროის შუალედს ემორჩილება. ჩვენ აქ საქმე გვაქვს დაუჭერომელ დენემურ სისხლის წყურვილთან: მოლდოს წურბელები მუდამ მოითხოვენ თავიანთ სარჩოს... "როდესაც ომმა იფეთქა, წერს მეირინვი, ძალაუნებურად იან ფიჯას დოლი გამასხენდა".

"სხვა ქალაქები, რაგინდ ძველიც არ უნდა იყოს, თითქოს თავის ბინადრთ ემორჩილება... პრაპა სამოქმათაა - მაიორიტეტებით თეთონი ამორჩავებს და მართავს თავის ხალხს, მათი გამწნის დიდდან, უჯანსაგელ ამოსუნთქვამდე", ამბობს მეირინვი.

ლენგნდა, რა სახითაც მს მეირინვი იყენებს თავის რომანში (შუბაირესად ფანტასტიკური სახით), ცარიელი სიტყვა არ არის. გარდა მითური ფუნქციისა - სამყაროს განმარტება საზოგადოებაში დაგუბებული, დამანგრეველი ორსხვის ამოჯრქვევის მეშვეობით - იგი ბედისწერის სიტყვადაც გვევლინება. ლენგნდის რეალიზაცია, მისი გამართლება - ასეთია ორივე რომანის ფაბულის სქემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს თვალთვალდინო, როგორ იქცევა ლენგნდა რეალობად; პრაპა არის ადგილი, სადაც - როგორც მეირინვი წერს - "მივინა საქათის და საიტიოს შორის უფრო ვინრია, ვიდრე სამეშ სხვაგან".

ლენგნდა, რომელმაც სორცი შეისხა, ამკვიდრებს ბედისწერას, რაც პიროვნებას ისტორიის მაიორინტად აქცევს. "გოლემის" ეპოქაში მეირინვის სურს სჯეროდეს, რომ ვერც ისტორიული ბედისწერა და ვერც კოლექტივი, ხელს ვერ შეუშლის ინდივიდს თავისთავადო შეინარჩუნოს. ინვიტაციის გზა - აი, ეს არის დედაპარულთათანხმის პერნათის მთელი თვფავდასვლისა. ხილველია და ესტატაში ჩაძირული - პერნათი გოლემის ფანტომს თანდათანობით აიგივებს თავის ორეულთან - მის გულში უქმართი მიმალულ დემონთან, რომლის გამოცნობისა და მუფულებისა და ხიბლისგან თავის დაღწევის ხტელოვნებას, იგი სულ უფრო და უფრო ეუფლება. ლენგნდისთან მისი ბოლო შეყრა, დემისტოიფიკაციით მთავრდება: ერთ ღამეს პერნათი, გეტოს ქვეშ დაკლავილი ურცხვ ვიორამთან ერთ-ერთში ჩავა და მოხვდება ოთახში, რომელიც აღარსად გადაის. ამ ოთახში მას ვიდრე ერთხელ გამოეცხადება ლენგნდარული ფანტომი. გარიჟრაჟზე, სიცივისგან აჯანკალებული პერნათი, იქვე, კუხებში მიგდებული, ვილაცის ქურთუკს შემოიკვამს და სუფთა შაერზე ამოვა. მალე მის უჯან, ქუაში, ხალხი შეიყურება: "გაფითრებული, მიზისგან მოქცეული სახეების მთელი ლაშქარი". პერნათი ბრბოს შეძწწნების მიზეზს მიხვდება და "შავ ბონის, რომელიც შემოიკვამს..." გაიხდის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლენგნდის განმორცილებამ, ყოველ შემთხვევაში, პერნათს, საშუალება მისცა უდიდესი სინათლე მოეპოვეინა. მისი პიროვნების დათრგუნვის მაგერად, მან პერნათს შინაგანი თავისუფლებისკენ მიმავალი კარი გაუხსნა.

"ვალბურგის ღამეში" ბედისწერას სურს, რომ ამბოხებულინი შეინიროს - გაითამაშონ, გაიჟირონ იან ფიჯას ლენგნდა. ძველ ტაბორიტთა მსგავსად, ისინი "მონ ობერის მძებს" დაირქმევენ და დემორჩილებიან მსახიობს, რომელიც ვიდრე დანას გულში დაიცემდეს, ბრძანებას

გასცემს, მისი ტყავისგან დოლი გააკეთონ და ამ დოლის შემზარავი ბავყუნით დაიპყრონ შრადნირი... ლენგნდის აქტუალიზაციის მექანიზმი აქ უკვე სხვანაირია. თუ "გოლემში" ხილვებით გამოცდას ვიხსოვლობს ამისკენ მიდრეკილი ან ბედისგან რჩეული პერსონაჟი, "ვალბურგის ღამეში" ამოქმედებულია ჩაგონების მთელი კომპლექსი: ამბოხებულინი ყურს უგდებენ მსახიობის შერგონებას, თავად მას კი, ლუთარგიულ-მედიუმურ მდგომარეობაში მყოფს, მართავს ვინმე კონტესა პოლესენა, იგი კი თავის მხრივ, ემორჩილება მავან შორეულ წინაპარს, რომელიც ისტორიაში ცნობილია "სისხლისა და ავკაცობის სიყვარული". ერთი სიტყვით, აქ ვერავის ნახათ, ვინც ინსტრუმენტი არ არის, ვისაც "არავის მათავს". ერთადერთი ფიგურა, ვისაც რომანში, ფანტასტიკური მრისხანების უწყვეტ ჯაჭვში, პიროვნების გამარჯვების, თვითყოფადობის მოპოვების იმედი შეიძლება ჰქონდეს - ექვმი ფლუგბეილია; იგი ერთადერთია, ვინც მსახიობს ხორცშესხნულ უიყვად კი არ მიღებს, არამედ, პირიქით, "გოლემში" პერნათის დარად, მასში თავის ორეულს ხედავს. გადარჩება კი ისიც, პერნათითვ? "სიგივე, რომელმაც პრაპას ქუჩენი დაიპყრო..." ექვმსაც ვუთქვამდა. უნდა რომ გავხილავ, ხელიდან დაუხსნულტვს "ამ მომზიბეღელ და თანაც შემზარავ ქალაქს", მაგრამ ადგილის მიზღველს შეუძლებელია. ექვმი ქანანის ღერძი გაუტყდება; იგი ფეხით აგრძობებს გზას - ისევ იქ მიაბიჯებს, რკინიგზის ლიანდაგის შხაღებზე. "ის იქ უნდა იყოს, გზაჯვარედინთან..." ამბობს გულში; შორიზონტზე შავი მასა გამოჩნდება: ერთი წუთიც და "მანქანამ ჩაითრია და გადასრია..." საბუდისწერო ქალაქს ვერ გაეცქვი.

მეირინკს თუ დაუფუკერებთ, პრაპა "შემზარავი" ადგილია: "პირველად, როდესაც სტივენ ბრუკს გადავაბიჯე, საზარეულა შიშმა დამრია ხელი, რომლის ახსნაც შეუძლებელი იყო... ეს გრძობდა, იმ დღეს, ერთი წუთითაც ვერ მოვიცილო..." დავაზუსტოთ, რა იგულისხმება ამ "შიშში". პრაპა არ არის ექსპრესიონისტების ბერლინი, იგი არც ინდუსტრიული ქალაქია, ურჩხულივით რომ გაუწვდია საცემკვი; პრაპა იმიტომ კი არ გზარავს, რომ მეტსმეტად მოედინისტულია, არამედ იმიტომ, რომ მოწონებულა იყოს ადგილი - ზღვარი - სივრცე, "სადაც ყველაზე მყარია საზღვარი ხილულსა და უხილავ შორის". ეს, კაცმა რომ თქვას, რომაული "mundus"-ს არქიტექტული ხატის სახესხვაობაა - ხწულია, გავლებული იმ ადგილას, სადაც აიგებოდა ქალაქი, რომელიც ზღვარს გაავლდას კულტურულ წესრიგსა და ჩამორჩენილ რეგიონებს შორის... პრაპა ფანტასტიკის მინაწყალია.

გერანუელდის თარეშა
თამარ პინაშვილი

სატილი





ფილიპ შარაღანი

მილან კუნდერა "შინ"



სოველა, "გამოსათხოვარი ვალსი" პროვინციული ქალაქების "უშო" ჩარჩოშია ჩასმული და ამ ქალაქების სიუპრობზე კუნდერა ისევე იოვლად ლაბარაკობს, როგორც სხვა ადვოკატს პრაპის სილაბაზეზე). გულბერევილი ყოფა წარმართავს შეყვარებულთა არჩევანს, ანდა კვიცხავს მას - ასეთია ამ ქალაქების ცხოვრების მთავარი ნირი, რაც ბევრ გმირში ერთგვარ "ბოვარიზმს" ბადებს.

ამ რომანებში პრაპის მონყვეტილი მოზარდებს უკვე აქვთ გრძნობა, რასაც შეიძლება ნამდვილი "ექსორიის" განცდა ვუნოოდო, თუმცა, იმავე რომანებში, "პრაპში ამოსულების" უდიდეს ბუნებრივებზე მეტყველებს.

"სიცილისა და დავნიყების წიგნსა" და "ყოფიერების აუტანელი-სიმბუტეში", რომელიც უფრო სერიოზული კლიოთია შეფერილი, გადამყვეტილების მიღებას პრაპის დატოვებაზე თუ პრაპში დაბრუნებაზე ("სიფრება სხვაგან არის" და "გამოსათხოვარი ვალსის" გმირებს მხოლოდ "ქვეყნის დატოვება" და "ემიგრაცია" ავერიათ პირზე) ყოველთვის თან სდევს ფიქრი ერთგულებასა და დილატზე. ცხადია, ამ სიტყვებს, კუნდერას გმირებისთვის, მხოლოდ უოლტიკური, შეროიკული ან სამარცხვინო შინაშენილობა არა აქვს. იგი გულისხმობს ერთგულებას სახეებისადმი, რომელიც ზოგჯერ გაქრება ხოლმე, როგორც ამას ტამინას "მაგალითი" გვიჩვენებს - ერთგულება იმისადმი, რაც გაიყვაროს, რაც სისხლხორცეული და მშობლიური.

"ყოფიერების აუტანელი სიმბუტე" დიალექტიკური კომპლექსია, სადაც იმას, რაც სტიორია და იმასაც, რაც მას ერთვის - თუმცა ეს ისტორიისთვის უშინაშენლოა - ხან უპილოვდება და ხან შორდება პრაპული ტერზე.

ჩემოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარის შეჭრის პირველი დღიდანვე ტერზემ მონაწილეობა მიიღო ოკუპანტების წინააღმდეგ მიმართულ თითქმის ყველა "სიძულელიის დღესასწაულში". ტერზეას ფოტოების მიხედვით, მილან კუნდერა ცხადვე გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ტანკების გამოჩენა პრაპის ქუჩებში მხოლოდ ტრაგედია - იგი მრავალჯერ იმეორებს ამ სიტყვას - და ერთი მილიანი კულტურის განადგურების ცდა არ იყო, არამედ ეს იყო შემზარად შესაბამისი, რასაც სხვა ფაქტებთან ერთად, ამხელდა ტერზეას ფოტოები, რომელიც მინიკაბიან ქალიშვილებით გარემორტყმულ ტანკებს ასახავდა. რო-

დესაც მოსკოვიდან დაბრუნებულმა დღეებში დადი დღეობი დაარღვია და დისკუსია წამოიწყო, ტერზეამ ისე დამცირებულად იგრძნო თავი, რომ საზღვარგარეთ წავიდა. ტრამაშის, საბინასა და ტერზეას "ტრიო" ერთხანს შევიცარიაში შეიყარა (მერე საბინამ გზა გააგრძელა უფრო იქით - დასავლეთისკენ, რაც შეიძლება შორს ბოჭყიდან).

ციორისში ტერზეა მაინც შეუნდობს იმათ, ვინც ჩემოსლოვაკია "შედლურთა ქვეყანა" აქცია - ნაწილობრივ, იმიტომ რომ უცხოეთში თვითონაც "დებრეკით უძლურად გრძნობს თავს". ტერზეა პრაპში ბრუნდება. ქალისადმი პარადოქსალური ერთგულების გამო, თავისუფლად მოაზროვნე ტრამაშიც ბრუნდება "გალაში", რომელსაც მისი ქვეყანა შეჭვია, სადაც ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდება ხელი აიღოს მედიცინაზე, რათა ყოველ ფეხის ნაბიჯზე თავს არ უღალატოს ("ახლა იგი ვიტრინების სარეცხი ჭოკით უგრძნებს მთელ პრაპს"). რომანის ბოლოს, იმიტომ, რომ შემოსევის შემდეგ პრაპა "ძალიან შეიცვალა" და "დაუშწავდა", კიდევ იმიტომ, რომ ტრამაში უარი განაცხადა "მოსყიდულიყო", ტერზეა და ტრამაში საცხოვრებლად სოფელში გადადის.

როდესაც მილან კუნდერა ქალაქს იხსენებს, იგი არ იყენებს XX საუკუნეში ერთგვარად დაკანონებულ თსრობის მოდერნულ ფორმას: მრავალპლანინობას, "კამერის თვალს", უპირივნობასა და ქალაქის დეკორის გამითიურებას. პირველ ყოვლისა, ალბათ, იმიტომ, რომ ძირფესვიანად იცნობს რომანის ისტორიას (ამის დასტური მისი კრიტიკული წერილებია) და თავიდან არ აკეთებს იმას, რასაც უკვე ჩინებულად გაარკვევს თავი ჯერისმა, დღის პასოსმა თუ დილონიმმა; ამ იქნე, იმიტომ რომ წერის ასეთი ტექნიკა, რალცნარიად, მაინც დიდ და მძლავრ ქალაქებთან - მრავალპლანინობასთან არის დაკავშირებული, ხოლო პრაპა არასდროს გარეულა მათ მარჯავთ. კუნდერას რომანებში, პრაპა იყო ქალაქი, რომელსაც ფეხით შემოირბენ და სადაც ცოტას "ცირკულირებენ" (მეტწილად, ტრამაით); პრაპის სახელი დაკავშირებულია შეყვარებულების სეირნობასთან, პოლიტიკურ დისკუსიონთან და მარტოდმარტო სექსუალთან.

კუნდერას რომანებში მთავარი ადგილი "შინაშენის" ორ ფორმას უჭირავს და იგი მჭიდროდ ებმის ბოჭყის ბუდეკრულ ისტორიას.

მილან კუნდერა იშვიათად აღწერს, საბაგიეროდ ხშირად ასახვლებს ადგილს, სადაც მისი გმირების ცხოვრების რომელიმე "ეკზისტენციალურად" მნიშვნელოვანი ეპიზოდია ვითარდება - მით უმეტეს, თუ მოქმედება ხდება პრაპის "მაგიურ ადგილთან", ძველი ქალაქის მოედანზე, კარლოს ხიდზე ან წმინდა ვაცლავის მოედანზე. ზოგჯერ მილან კუნდერას ფრანა ისე ძარღვიანია, რომ მას, მართლაც, არ სჭირდება "აღწეროს", რათა პრდა თვალწინ დაგვიდგინოს მისი ფეხებით მოჩანდა ურცხვეი ხიდი და კოჟი. მუქართი მუშტუმართულ წმინდანებს გაქცევაზელი თვალბიცი ცისთვის მიეხდინათ. ეს ქვეყნად ყველაზე ლამაზი ქალაქი იყო" ("ყოფიერების აუტანელი სიმბუტე").

მანძილი კუნდერასთან ხშირად იზომება პრაპიდან და პრაპის წარმოდგენიდან: ის მანძილია, რომელიც მიჯნავს შორეულ საზრუნავს, შეუთავსებელ წარმოდგენებსა და ურთიერთგამაქარწყლებელ თვალსაზრისს, რომელსაც მონაცვლეობით მიადგება ხოლმე ერთი და იგივე გმირი. საერთოდ, კუნდერას შემოქმედების პირველ ნაწილში, დიდ როლს თამაშობს "პატარა ქალაქიდან" დანახული პრაპის მითი ("უშურბა", "სასაცილო სიყვარული" ზოგიერთი



“მონტაჟის” პირველი ფორმა გულისხმობს პრაქსის ერთი და იმავე ადგილზე ორი, სხვადასხვა ეპოქის სუპერპოზიციის - ოღონდ აქ საქმე გვაქვს არა მარტო ადგილის, არამედ დღაინყების ერთიანობასთანაც, რადგან უკვე დიდი ხანია, რაც ამ ქალაქში, პოლიტიკოსთა და რელიგიის თავკაცთა თავიარი საზრუნავი კვალის ნაშალა გახმდარა. პრაქსა, როგორც კუნდერა წერს, “დამხოზობლი ძველების”, “სახელწართმეული ქუჩებისა” (1968 წლის აპგუსტის რუსებისთვის გზის ასარევაად, ხოლო შემდეგ მათი მურერეობის განსადიდებლად) და “ნაშოლი” ისტორიული ფოტოების ქალაქია.

მონტაჟის მეორე ფორმა - ეს არის ქალაქების სუპერპოზიციაც: პრაქსის ხატი მილან კუნდერას რომანებში ხშირად უპირისპირდება დასავლეთ ევროპის სხვა ქალაქები. პერიფრაზეში, რომლებსაც კუნდერა ამ, იყენებ, ზედმეტად მშვიდი ქალაქების დასახასიათებლად იყენებს, უკვე დღეს შეფარული შედარება პრაქსასთან. მაგალითად, ჟენევას იგი ასე მოიხსენიებს: “წყლის ჭვალის და შადრეგნების ქვეშა” (ხოლო პრაქსას რომანში - “ცხოვრება სხვაგან არის”, იგი “კარიბლეების ქვეშაშა” უწოდებს).

მილან კუნდერას დათინებამ, რომ კავკას უმოქმედება ჩეხური და პრაქსული ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი იყო, საგრძნობლად შეცვალა საფრანგეთში მისი ნაწარმოებების ხედვა და ახლებურად გააშუქა იგი. ისიც უნდა ითქვას, რომ სწორედ კავკას რომანების დაწვრილებით განხილვამ დიდად შეუწყო ხელი მილან კუნდერას, უკეთ მიზევედერებინა დასავლეთელი მკითხველი, როგორ შეიცვალა ცხოვრება პრაქსაში... სადაც ერთად მოუყრა თავი სიმძიმოლისა და ფუქსავატობის პოლარობისა და პარადოქსების... თუ პრაქსაში ეპოქებს გადავანაცვლებთ, კავკას ცხოვრება და შემოქმედება ნაკლებად პირქუში, უფრო “უდარდელი” მოგეჭყვენება.

იმის გამო, რომ კავკას ხსენება ყოველთვის ახლავს ხოლმე რაღაცნაირი სიბრალულის ელფერი, კუნდერას უყვარს გაიხსენოს ყველაფერი, რაც პრაქსაში კავკას ცხოვრებას დატკობდა და შეამსუბუქებდა: ლამაზი უბნები და სახლები, სადაც იგი ცხოვრობდა, ლიტერატურული ვადებები, რომელთა ხშირი სტუმარიც იყო, გულითადი მეგობრობა პრაქსის ახალგაზრდა ინტელიქტუალებთან, მათ შორის, ცხადია, მაქს ბროდთან. კუნდერას შეუდარებელი ალლი აქვს კავკას “ახირებული” ისტორიების სათავეთა მიგნებაში, რომლის ყველაზე აშკარა და ყველაზე უღწობი წყარო, მისი სიტყვით, ჩეხური “ოხოწელობა” - ცნობილია, როგორ ხარხარებდნენ კავკას მეგობრები, როცა იგი მათ თავის “ისტორიებს” უეტიხავდა. კავკას ზოგიერთი ისტორიისთვის ჩვეული თემა ძალზე მოგვაგონებს სამყაროს, რომელსაც გვიხატავს შაშუკი, ვისი დაბადებისა და გარდაცვალების თარიღიც ზუსტად ემთხვევა კავკასას.

მიუღო ერთი ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც “გოლემით” გვირგვინდება, არაჰას სახვას ქალაქად, რო-

მელიც გსრესს, გნუსხავს და გზაზრავს. თუ მილან კუნდერასთან შეგავს ვერაფერს ნახათ, იმიტომ რომ ყოველგვარი მისტიკობა, ფანტასტიკა, ბაროკო... მისთვის მართლა უცხოა. “ზუმრობის” ფრანგულ თარგმანს იგი ყველაზე მეტად სწორედ მისი სტილის “გაბაროკობებს” საყვედურებს. მილან კუნდერას რომანების პუბლიკაციის მოლოდინს სუსხმარია ან პოლიტიკური, ანდა ორივე ერთად, როგორც ეს არის რომანში “ცხოვრება სხვაგან არის”.

შეიძლება კუნდერას პრაქსაში იმიტომ არ გიპყრობოს “უცნაური შიში”, რომ ეს ქალაქი - თუმცა თავად მწერალი ჩეხოსლავაკის სხვა ქალაქში, ბრნოში დაიბადა - ყველაზე “შინაური” ადგია მისი შემოქმედებისთვის.

ალსანიშნავია, რომ ცენტრალური ევროპის საყვარელი მწერლისგან განსხვავებით, მილან კუნდერას მწერალი ქალაქის მიმართ აშკარად არა აქვს არც “ორჭოლოლი” გრძნობა და არც უცნაური დამოკიდებულება (როგორც ამას ამბობენ მუხილზე ვენის მიმართ, ბერნჰარდტე ზალცბურგისა და კავკასზე პრაქსის მიმართ).

ამ შხრიც, მილან კუნდერა მამილიბებლია, როდესაც წერს მუსკატლური ანაღილის პაროდისა, სადაც წარამარა ისმის ფრაზა: “როგორც მე ეს ჩემს წიგნში ვთქვი”; ამ ფრაზის კონტრ-მაგალითი, რომელსაც კუნდერა ირჩევს და ხშირ-ხშირად იმეორებს რაიმე განსაკუთრებული ინტონაციის გარეშე, არის: “როგორც ეს ჩემს ქალაქში იციან”. მის რომანებში მიდგება თუ არა საქმე “როგორც ეს მის ქალაქში იციან”, ლირიული ემოცია და დიდაქტიკური გზნება ხელისივს სჭიდებს და “ინტონაცია” იცვლება. მილან კუნდერას რომანებში არც მისი ეგვანა, არც ქალაქი, არც ენა და არც მშობლიური სურათები დავისა და თავდასმის საგანი არასდროს გამხმარა და ეს გასაგებია, რადგან ბოლო ათწლეულის მოვლენებმა ჩეხის თავისთავადობა და თვით პრაქსის კულტურული ისტორიის არეალი მივივე “შეგლად” აქცია.


მილან კუნდერას შემოქმედებაში ექსორია და დავინყება აშკარად არ არის შემოფარგლული მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური განზოზობებით - პირიქით, მის რომანებში სიფრცისგან (სტორიისგან, განდღვისგან) და ფაშთა სვლისგან მოგვირეო ტანჯვა (სიბერით, ბედისწერით, ან უბრალოდ, ცხოვრებით) ერთ მთლიანობას ქმნის. ამის თაობაზე მილან კუნდერამ შესანიშნავად თქვა უკვე თავის “ზუმრობაში”: არავინა ისე “შინ”, რომ საფრთხე არ ემუქრობოდეს, არავინა ისე “შინ”, რომ მართლა “შინ” იყოს.

ერანგულადან თარგმანს
მისხმალ პრაქსაში

სტრილი



გაზი სპარაკიანოვი



მანუელ ჯაფარიძე

პოსტმოდერნი - ხელოვნების დეკონსტრუქცია თუ რეკონსტრუქცია

ჯეიმსონი მხოლოდ იწყებდა იმ კულტურული ველის რუკის შედგენას, რომელსაც ფიგურალურად პოსტმოდერნს ეძახიან, მისი ინტერესის საგანს წარმოადგენდა არა მხატვრული და სტილური თავისებურებები, არამედ ამ პერიოდის სოციალური და ხშირად პოლიტიკური კლიმატის შესწავლა. შესაძლოა, ამის მიზეზი მისი მარქსისტული მსოფლმხედველობაა, რომელიც უპირველესად საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ მოვლენებსა და კლასობრივ დაპირისპირებებზე უფრო ამახვილებს ყურადღებას, ვიდრე მხატვრულ-ესთეტიკურ პრობლემებზე. გაიფხვნიოთ თუნდაც ჯეიმსონის სამეცნიერო ბიოგრაფია. გაიატრი სპივაკთან, ფრენკ ლენტრიკასთან, ჯონ ბრენკმანთან და მაიკლ რინთან ერთად იგი ერთ-ერთი ინიციატორი იყო მოძრაობისა, რომელიც მიმართული იყო იელის სკოლის აპოლიტიკური და ნონისტორიული მოდუსის წინააღმდეგ. ეს შემარცხენე კრიტიკოსების ის ჯგუფია, რომელთაც სცადეს ნეომარქსისტული იდეებმა პოსტსტრუქტურალისტური კონცეფციების საკმაოდ საეჭო კოქტილი დაეზაადინებინა და მცირე დოზის ვულგარიზმს თუ მივუტყვიებთ - მნიშვნელოვან შედეგსაც მიანიჭეს. მათ მნიშვნელოვნად გააფართოვეს იელის სკოლაში დამუშავებული ინტერტექსტულობის თვალსაზიერი, რადგან ლიტერატურულ, საერთო მხატვრული ტექსტის განხილვის ანარმობედნენ რელიგიის, პოლიტიკის, კონომიკის მომცველ ზოგადკულტურული დისკურსის კონტექსტში.

ფრედერიკ ჯეიმსონისათვის პოსტმოდერნიზმი უმთავრესად გვიანი კაპიტალიზმის კულტურულ ლოკუსა წარმოადგენს. ხოლო ესთეტიკურ პრობლემებს და მასთან დაკავშირებულ „დასასრულს“ თემას, ისიც აპოკალისფური სულსკვეთებით განიხილავს და ხშირად ამკლავებს ნოსტალგიას წარსულის, კერძოდ მოდერნიზმის მაგალი მიღწევებისადმი.

რატიკლ მოხდა რომ ისტორიის, თუნდაც გარკვეული სოციალური ფორმაციის „დასასრული“ ასე მჭიდროდ დაუკავშირდა ხელოვნებას. ალბათ ამის მიზეზი ის მრიცხსა, რომელიც თანამედროველად განხორციელდა პოლი მეოცე საუკუნის შაქილზე და რომელიც ხელოვნების მიერ ფილოსოფიის, იდეოლოგიის ფუნქციების ატეხვას და მის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ყველა სფეროსთან ინტეგრაციაში მდღომარებთან: თუ ტრადიციულად ფილოსოფია და ხელოვნება ერთგვარი პარალელური გზებით ვითარდებოდა, აქ უკვე სკვარად გამოიკვეთა მათი საბოლოო მიზნების ერთიანობა: ფილოსოფია ისევე ისწავებს ყოველგვარ არსის აბსოლუტულ, როგორც ხელოვნება. უფრო მეტიც, ხელოვნება სამაგალი თოცაა ფილოსოფიისათვის, რადგან თუ ფილოსოფია ეძებს ქეშპირიტებს, ხელოვნება თავისთავად უკვე გულისხმობს მას საკუთარ თავში. თუნდაც ქეშპირიტება აქ მხოლოდ ილუზია იყოს, იგი მაინც „გაფორმებულია“, კონსტრუირებულია ხელოვნების ნაწარმოებში. ამასთან, ხელოვნების ნაწარმოები ყოველთვის საიდუმლოდ უფრადო კონსტრუქცია ან სიმბოლო კი არა, ფილოსოფიური რფლექსიის უშუალო საგანიცაა, როგორც ქეშპირიტების სივლოების ყველაზე ნათელი მაგალიტი.

ამ სიტუაციის საუკეთესო განმარტებას თავად

ტერმინ პოსტმოდერნის დღევანდელი პოპულარობა, მე ვიტყვი - მოდურობა, სულაც არ ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა, ლოკაცია და ფუნქციები სრულად არის შესწავლილი და გააზრებული. პირიქით, პულურალიზმის დიქტატურა, რომლის პრესის ქვეშაც გენივს არსებობა, სულ უფრო ბუნდოვანს ხდის მის სახატერებსა და კავშირებს და გვაიძულებს ვალიართ, რომ სწორედ ეს ბუნდოვანება, დისკურსული სისტემების პოლიფონია, „მბიანობა“ (ენდრიუ რენტონის ტერმინი) მისი არსებობის პირობაა.

ამ სტატისის სტიმული ფრედერიკ ჯეიმსონის ესკემ „ხელოვნების დასასრული თუ ისტორიის ფინალი“ მომცა, რომელიც შესულია 1994 წელს გამოსულ წიგნში „პოსტმოდერნიზმი და მომხმარებელი საზოგადოება“. თავის დროზე თავად ჯეიმსონი ფან-ფრანსუა ლიოტარის წიგნის, „პოსტმოდერნული ვითარება“, ინგლისურენოვანი გამოცემის წინასიტყვაობაში წერდა: „იგი პოსტმოდერნიზმის მოდერნი თემით, პროვოკაციული სიხანდით ააშკარავენს ამ საგნის არსს, მას შემდეგ რაც პოსტმოდერნიზმმა სრულად შთანთქა დომინანტურ კულტურასა და ეს-თეტიკასთან განუთქილება. იგი ხაზს უსვამს საცებით განსხვავებულ სოციო-კულტურულ მომენტს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია მისი სიხანდელი და ინოვაციები: ეს ახალი სოციალური და ეკონომიკური მომენტია (თუნდაც სიტყმა) რომელსაც ხან მედია-საზოგადოებას, ხან კი საზოგადოება-საქეტიკუსს (გი დებორდი), მომხმარებელს ანდა პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას უწოდებენ“.

იგივე სიტყვები, დიდი წარმატებით თავად ფრედერიკ ჯეიმსონის წიგნისთვისაც შეგვეძლო წაგვემდღვარებინა. ისევე როგორც ლიოტარის, ჯეიმსონის მოცემული წიგნიც უპირველესად არსებული საზოგადოების, მიმდინარე სოციო-ეკონომიკური პროცესების აღწერისა და მიმართულებების დაფიქსირების თვალსაზრისით არის საინტერესო.

ჯერ კიდევ თავის ადრეულ ნაწარმოებებში, როდესაც



ჯეიმსონი გვაძლევს, როდესაც იგი სამოციანი წლების ხელოვნებაზე, კერძოდ კი - თეატრზე საუბრობს და ხელოვნებისა და ისტორიის, ესთეტიკისა და პოლიტიკის მტკიცე კავშირს ასახულებს ვიეტნამის ომის მაგალითით, სადაც კულტურული ინსტიტუციებისა და სისტემების - მთლიანად მაღალი ხელოვნების სახელმწიფოებრივი პრესტიჟის სრული თანამონაწილეობა დასავლური ღირებულებების დაცვას გულისხმობდა :

“ეს ეპოქა მეტად ცვალებადი პოლიტიკური პერიოდია და ინოვაციები ხელოვნებაში, თეატრში, თუნდაც ყველაზე ესთეტიზირებული და მინიმალურად პოლიტიზებული დადგმები და რეჟისორები, ყოველთვის ერთი უტილობელი ქეშმარიტებიდან ამოდიოდნენ, კერძოდ: თეატრალური წარმოდგენა, ამავე დროს, პრაქსისის ფორმაცა და ცვლილებები თეატრში, თუნდაც უმცირესი, წვილის შეტანას თავად ცხოვრების, მსოფლიოს, იმ საზოგადოების შეცვლაში, რომლის შემადგენელი ნაწილი და სარკვევ თავად თეატრია. მართლაც, 60-იანების პოლიტიკამ, განსაკუთრებით ეროვნულ-განმანთავისუფრებელმა ომებმა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ ერთგვარი მსოფლიო მასშტაბის პროტესტის ფორმა მიიღო. თეატრალური ინოვაციები კი, თავისმხრივ, ესთეტიკური პროტესტის სიმბოლური ფესტის სახით ჩამოყალიბდა, რადგან მათ ვინორ ესთეტიკური და თეატრალური ენის მიღმა პოლიტიკური პროტესტის ენაც მოიცავს.”

ამრიგად, ჯეიმსონი ხატავს სურათს, სადაც ხელოვნება ისეთ სრულ დიფუზიასა და ექსპანსიას განიცდის სოციალური ცხოვრების ყველა დარგში, რომ “აღარ არსებობს განცალკევებული დისციპლინა, არამედ არსებობს მხოლოდ ერთიანი ატმოსფერო - საზოგადოებრივი სფერო და კოლექტივიზმის სუბსტანცია, რომლითაც ესაზღვრებით და ვსუთსავთ.” ასე აყალიბებს იგი პოსტამოდერნიზმის პირველ მნიშვნელოვან თავისებურებას, რომელიც ხელოვნების, ფილოსოფიის, ზოგადად მეცნიერების და სოციალური სფეროს აღრევსა და ერთიანი კულტურული ველის შექმნაში მგვირგაწობს. ასე რომ, ყაბადღებულ “ისტორიის დასასრულთან” “ხელოვნების დასასრული” კავშირს საკმაოდ სერიოზული საფუძველი გაუწვდა.

თუმცა, დაფურუნდეთ კვლავ ჯეიმსონს, რომელიც თვლის რომ “ისტორიის დასასრულის” თუბა “ხელოვნების დასასრულიდან” იღებს სათავეს. ეს უკანასკნელი პოპულარობით 60-იან წლებში სარგებლობდა (ასეთი მემკვიდრეობითობა საკმაოდ საკამათოა და, ვფიქრობ, ორივე “დასასრული” იმინენტური ცნებებია და ორივე თითქმის თანაბარი კოეფიციენტით გამომდინარეობს ერთიმეორისაგან, თუნდაც ქრონოლოგიური თვალსაზრისით). ჯეიმსონი “ხელოვნების დასასრულისაში” მავალ გზას შევნიშნებთ წარმოშობაში შედგას, რაც იმ პერიოდში ყველა ინსტანციაში ყველაზე აქტუალურ საკამათო თემს წარმოადგენდა: “მარკუზედან დაწყებული ტრუ შტედენის საკვირო ამბავებებით დაბთავრებული”. მართალია, ჯეიმსონი არ მიაღებს, რომ შევნიშნებს დიდად არ აუბანავს და ზოგადად თეატრული ინოვაციების ნაწილად განიხილავს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ “ამ პერიოდში თეატრალური პრაქტიკა ყველაზე ახლის დგას განასხორციელებლ ტექსტთან, როგორც მისი საბაზი (პრეტექტი), ან შესაძლებლობის პირობა. შევნიშნავს კი უკიდურესობამდე მიყვანა ეს სიტუაცია: მას სასეხები უკუადრ ტექსტის მიზნის (პრეტექტის) ძიება, შემოიფარგლა სექტაკული - როგორც წინადა წარმოდგენით და ამით შეეცადა მოესხნა ზღვარი და წინააღმდეგობა ფიქციასა და ფაქტს, ხელოვნებასა და ცხოვრებას შორის.”

ამ შემთხვევაში ჯეიმსონი ორიგინალური ნამდვილად არ არის. 90-იანი წლებიდან დასავლელ თეორეტიკოსებს შორის დღეირ პოპულარულია მოსაზრება ზოგადად საზოგადოებრივი ცხოვრების კარნავალურ, მსაკარდულ ხასიათზე, სადაც ყველაფერი ყოვლისმომცველ შუებიზ-



ალექსანდრე კოტეი

ნესად იქცა: პოლიტიკასა და ეკონომიკიდან - გომერციკალიზებულ ხელოვნებამდე გაიხსნებ ჯეიმსონის ამ მოსაზრების რადენიმე “თანამომცემ”.

საზოგადოებრივი ცხოვრების, როგორც საყოველთაო წარმოდგენის თეორია მჭიდროდ უკავშირდება ჟან ბოდრიარის მიერ დამუშავებულ იდეას თანამედროვე სამყაროს, როგორც “სიმულაკრების”, ცნობიერი დეკონტრეების, მოწყენებითობის შესახებ. სიმულაკრები და მოდელეები ქმნიან მუდმივ შეცვლადობის სიტუაციას, სადაც ცხოვრებისა და შემოქმედების ყველა სფერო სხვა არაფერია, თუ არა გათამაშება, სიმულაცია, ტყვეობა. საყოველთაო სიმულაცია არის სიკვიდის განაპირობებს, სოციალური კონტექსტში კი სამყარო-სიმულაკრი ყოველივეს ერთ დიდ სოციალურ ფაზრიკად აქცევს.

ამ მოსაზრებას ემხრობება ჟან ფრანსუა ლიოტარიც, რომელიც აყალიბებს თანამედროვე კამბოლისტური საზოგადოების, როგორც გარკვეული გაერთიანების ფორმის თეორიას. ეს საზოგადოება ხასიათდება დღით-დღე მზარდი “არასანდობოით”, ლეგეტიმირებადი “მეტანატრეტივების” (მგ. ის, რომ ყოველი საზოგადოება მისი წევრების კეთილდღეობისათვის არსებობს) მიმართ. ლიოტარიც იმეორებს ვიტგენშტაინის იდეას ენობრივი თამაშების შესახებ. ენობრივი თამაში თავის შრივ ენის, როგორც ტრანსლური მთლიანობის მოაზრების შეუძლებლობას განაპირობებს. იგი ხაზს უსვამს მეცნიერების, ხელოვნების და სხვა ინსტიტუციების წარმოდგენითობას, პერფორმატიულობას, რომელიც ყველა ქეშმარიტებას საკუთარ, მომხმარებელი საზოგადოების უმთავრეს პრინციპსა და წესს უმოწოდებს: “მაქსიმალური პროდუქცია - მინიმალური დანასარგებო!”

ამრიგად, სიმულაციის, როგორც სამყაროს არსებობის თანამედროვე ფორმისა და პოსტმოდერნისტული საზოგადოების ცნობიერების თეორია პერფორმანსისა და შევნიშნავს თეორიასთან იდენტეფიციონდება. შესაბამისად, ხელოვნებისა და გარწმავაროს პრობლემა განიხილება,

როგორც განუყოფელი ქალაქის ეკონომიკის მრავალფეროვნებასთან: ფულით გაცვლისა და ცირკულაციის, მოდის, ტექნიკოლოგიის, ინფორმაციის, მასმედიის მიერ რეკლამირებული და სტიმულირებული კულტურული ფანტაზიებისგან, რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთიან დისკურსულ სისტემად, პოდრიარისტული ცდუნებამ, რომელიც განუწყვეტლივ წარებუნებში ითრებს საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ცრებრების ყველა სფეროს.

დავებრუნდეთ ჯეიმსონს, რომელიც "ხელოვნების და ისტორიის დასასრულს" ცნებებს შვედს უკავშირებს და "ამალტელუსს" და "შვენიერს" შორის ცნობილ დაპირისპირებზე რეფლექსირებს. აქ ჯეიმსონი საოცარ ოპტიმიზმს აძლავებს და კარგად თუ დავუკვირდებით, საერთოდაც უარყოფს "ხელოვნების დასასრულს" იმის მტკიცებით, რომ ეს "დასასრული" მხოლოდ "ამალტელუსს" ენება, "შვენიერება" კი - რომელიც დეკორატიულ ხელოვნების (მაგალითად შოლანდიური ნატურალიზმი) აბოლუტიზმად შეგვიძლია წარმოვიფიქროთ, დასასრულს ეს არა, ერთგვარ აყვავებამაც განიცდის და კიდევ დიდხანს "დამაშვენებს ისტორიის კვარცხლბეკს" (საერთოდ ჯეიმსონისათვის დამახასიათებელია "დასასრულზე" მოაღვლითი რიტუები საუბარი. ეს კი მათეორეტიკებს, რომ იგი ხელოვნების დასასრულში გარკვეული სტილური მიმართულების დასასრულს ხედავს, ხოლო ისტორიის დასასრულს - არსებული სოციალ-ეკონომიური ნსტორიის ეს შედეგი განვითარების შეუღლებლობას გულისხმობს.) ეს გარკვეულწილად აკონებს და ცოტა არ იყოს, ბუნდოვანსაც ხდის საგნის მნიშვნელობას). სწორედ აქ იჩენს თავს ფაქტორი, რომელიც მე იხილავდა მნიშვნელოვან ძაფთაღლე, რომ სათაურშიც კი გამოვიტანე. ეს ხელოვნების თანამიმდევრულ დეკონსტრუქციამთ დაფიქსირებული უცნაური რეკონსტრუქციაა, რომელსაც ჯეიმსონი უკვდავ ისევ ამალტელუსისა და შვენიერის ოპოზიციას სევადვირებს. მისი აზრით "ხელოვნების დასასრული" ამალტელუსის (მოდერნიზმის ხელოვნების) შვენიერებით (პოსტმოდერნისტული ხელოვნებით) ჩანაცვლებაში გამოიხატება.

ერთი ნუთით გადავუხვიოთ თემას და მოდერნ-პოსტმოდერნის დაპირისპირების ჯეიმსონისეული ვერსია გავსინჯოთ. საერთოდ, პოსტმოდერნული ხელოვნების დახასიათებისას ჯეიმსონი იმ პოზიციიდან გამოდის, რომ პოსტმოდერნული ხელოვნების თითქმის ყოველი ნიმუში მაშალთ მოდერნიზმის მიღწევისაგან საპროტესტო რეაქციის წარმოადგენს და პირდაპირ აღხადებს, რომ მოდერნიზმის მარცხი და სერიოზული ცვლილებები კულტურასა და საზოგადოებრივ სფეროში დაკნინების ტენდენციას აძლავებს: "ამ ცვლილებას არ ახასიათებს და შეესაბამება უფრო გადაადგილება და მხოლოდ კრიტიკული და შემოქმედებითი შორის რამბინტელექტუალური დაპირისპირება აჩვენებს, რომ მთავაკვირად იაკობსონზე, ბრეტტიდან ბარტზე, პრუსტიდან დელვუზზე, ან ჯოისიდან ეკვრელ გადასვლა დამრეცი დიაგრამით წარმართა." ჯეიმსონს თუ დავუფერებთ, პოსტმოდერნი საკუთარ კულტურულ ინესტაციებს სწორედ მოდერნის პროდუქციის თანდათანობითი ამოწურვის პროცესში ახადებს: "ეს პოსტმოდერნის მთავარ სახეა და შვენიერისა და დეკორის დაბრუნება მოდერნისტული ამალტელუსის ადგილას, ხელოვნების მიერ აბსოლუტსა და ტესმარიტებაზე პრეტენზიების უარყოფა, მისი - როგორც აშკარა სიამოვნებისა და კმაყოფილების სათავეს რედეფინიცია (განსაკავებით მოდერნული ტკობისაგან - ქსეშთითუტუტუ).

საბოლოო ჯამში, ჯეიმსონი 90-იანების ეპოქის მცვერალა, თვალისმოჭრელი თვითმნიშვნეარებლობისა და კონზუმუციის მომენტად გვიხატავს, ხოლო პოსტმოდერნის ეპოქაში ხელოვნების მდგომარეობას კულნარიულ სტატუსის ადრინდის, თუმცა, არ იფიქრებს პოსტმოდერნის მნიშვნელოვან თავისებურებებსაც: განათლებას, საზო-

გად-უბრევ სფეროსა და ინფორმაციული ეპოქის ეპიბრენტისა. ამით იგი ხაზს უსვამს ჩვენი დროის მნიშვნელოვან ისტორიულ დავითარებას, კულტურის მასიურ ექსპანსიასა და კომოდიფიკაციას ყველა დარგში - პოლიტიკას თუ ეკონომიკაში, რომელთაგანაც იგი სრულად განკავალვევებით იყო მოდერნის პერიოდში: "პოსტმოდერნის ეპოქის დედიფერენციაციის გრანდიოზულმა მოძრაობამ კიდევ ერთხელ წაშალა ეს ზღვარი. აი, რატომ არის ასე ხელსაყველი ჩვეს პოსტმოდერნისტულ მომენტში გრანდიდორი ცხოვრებისა და საერთოდ სოციუმის ყინადიოზული კულტურნიზაციის ხაზგასამა... შვენიერის დაბრუნება პოსტმოდერნში სისტემური დომინანტის სახით უნდა განხაზვდორთ, როგორც ზოგად რეალობის კოლიონიზაცია სივრცული და ვიზუალური ფორმების მიერ, რომელიც, ამავდროულად, იმავე სრულად კოლიონიზებული რეალობის მსოფლიო მასშტაბის კომოდიფიკაციასაც გულისხმობს."

ამრიგად, "ხელოვნების დასასრულში" ერთგვარი რეკონსტრუქცია ილანდება, რომელსაც პირობითად "მალტელორატივიზმს" დავარქმევ. ისევე, როგორც ჩვენი ბინების კვლევებზე დაკიდული შოლანდიური ნატურალიზმი ახარებს თვალს და ჩვენსავთ კომფორტის სრულყოფის ენსახურება (რასაც ძნელად თუ ვიტყვით მოდერნიზმის ნომუშებზე, რომელიც მტკივნეულად გვახსენებს ჩვენი საზოგადოების აბსურდსა და ტრავმატიკურ ყოფას), პოსტმოდერნიზმიც ხელოვნების მოთხოვნილებების სფეროს დაუქვემდებარებს და პროდუქციის ფუნქციას ანაქებს, რომელიც ასევე საზოგადოების მსუყე კეთილდობისა და მაშალთ თვითკმაყოფილების დასაკმაყოფილებლად არის მოწოდებული.

ვიდრე "ისტორიის დასასრულის" თემის განხილვას შეუდგებოდ, ერთი ნუთით უნდა დავიხვე ჯეიმსონის უფრო ადრეული ნაწარმოებისაკენ, "წარმოსახული და სიმბოლური ლანთანა: მარქსიზმი, ფსიქოანალიტიკური კრიტიკა და სუბიექტის პრობლემა" (1973), რათა უფრო გავერკვეთ ისტორიის ჯეიმსონისეულ გაგებაში. აქ ისტორიის იგი შემდგენიარად განსაზვრავს: "ისტორია... ჩვენი თვის მიხედვით ტექსტის ფორმით არის მისაწვდომი. ხოლო, ისტორიისა და რეალობისათან ტექსტი მდგომარეულდება გულისხმობს მის ნინასწარ ტექსტუალიზაციას, ნარატივიზაციას ისტორიულ არაცნობიერში" რაც შეეხება ნარატივის ჯეიმსონისეულ გაგებას, აღსანიშნავია, რომ იგი ნარატივს საცივიფერო ეპისტემოლოგიური ფორმის სახით განიხილავს. ადამიანის გრენება აღსაქმელ ობიექტს მხოლოდ თხრობითი ფორმით ხედავს - ადამიანისთვის საშვარი მხოლოდ ისტორიის, მასზე ნაამბობის სახით არის გასაკლები. რაც შეეხება ჯეიმსონის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კონცეფციას პოლიტიკური ან ისტორიული არაცნობიერის უსწევება: ფაქტორი აქ ორ მთავარ პრინციპიდან გამოდის.

1. ყოველი ცალკეული ინდივიდის ცნობიერება სასქეპით განპირობებულია ისტორიული, სოციალური, კლასობრივი, ანუ დივიდუოლოგიური თვალსაზრისით.

2. ყოველი ცალკეული პიროვნება ამალტელუსის საკუთარი მდგომარეობის, საკუთარი დივიდუოლოგიური განპირობებულობის სრულ ფატალურ გაუცნობიერებლობას.

აქედან გამომდინარე, ვრედვიკო ჯეიმსონი მთელს ისტორიას განიხილავს, როგორც ერთიან კოლექტიურ თხრობას, რომელიც წარსულს აწმყოსთან აკავშირებს. ეს თხრობა კი ძირითადად ერთ თემაზეა აგებული - "კოლექტიური ბრძოლა, რომლის მიზანაც საჭიროების სამეფოს ბორკილებიდან გათავისუფლებაა". მე მგონი, მიმდინარე ისტორიის დასასრულზე სწორედ ამ მომენტთან არის დაკავშირებული: საზოგადოების ცნობიერების სრული განპირობებულობა, მისი უმაღლესი ღირებულებების ანგატირებულობა საუკეთესო წინააღობა კლასობრივ ბრძოლას, როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალის დასაოკებად.

„ისტორიის დასასრულის“ თემა მჭიდროდ უკავშირდება რუსი ემიგრანტის, სტალინის თავყვანის (ცემელის, ალექსანდრე კოვევის სახელს, იგივე აზრი იქცა სათავედ „იდეისა, რომლითაც ფუჟუიამამ 1999 წლის ზაფხულში შეძრა მსოფლიოს ყურნალისტიები“. ეს არის შეხედულება, რომ ცივი ომის დასასრულის კამპიტალიზმი და ბაზარი შეიძლება დეკლარირებულ იქნას, როგორც ვაცოპრობის ისტორიის ფინალური ფორმა. აქ ჯეიმსონი, როგორც მონივე მარქსისტი თეორეტიკოსი, მარქსის მიერ ჩამოყალიბებულ „ისტორიის დასასრულის“ ვერსიას მიმართავს და უკანასკნელის ორ თავისებურებაზე ახსვავს ყურადღებას:

1. იგი „ისტორიის დასასრულზე“ კი არა, პრეისტორიის დასასრულზე საუბრობს, კერძოდ იმ პერიოდის დადგომაზე, სადაც ადამიანთა კოლექტივი საკუთარ ბედ-იღბალს აკონტროლებს და ისტორიაც კოლექტიური პრაქსისის ფორმა და არა ბუნებისა თუ დევიციტის, ბაზრისა თუ ფულის არაშეზღუდვი დეტერმინიზმის საგანი.

2. ეს პრეისტორიის დასასრული მას წარმოუდგენია არა მოვლენებსა და კონკრეტული ქმედებების სახით, არამედ სისტემის, ან უკეთ, პროდუქციის თავისებურების თვალსაზრისით.

მარქსისაგან განსხვავებით არც ფუჟუიამა და არც კოვევი არ განიხილავენ საკუთარ „ისტორიის დასასრულს“ ამგვარი ისტორიულ-მატერიალისტური, თუ სისტემატური კუთხით და შეეცადნენ არსებითად იდეალიზტურ მხარეზე აკეთებენ აქცენტს. კერძოდ იმაზე, რომ ბაჰოსნა და მონს შორის პრძოლაზე მსჯელობით იგი ისტორიის მამოძრავებელ ძალაზე - აღიარებისათვის ბროძოლაზე მიგვიითებს. ამ ტენდენციის გამო ჯეიმსონი კოვევის სოციალურ ფსიქოლოგიასა და ეკნისტენციალიზმთან დაბრუნებაში ადვანსაულებს: „მოვანებეთ, თეორეტიკოსები შეაჯერებენ „ორ მოტივს, რომლებიც კოვევმა პლეტონატის სახით დაუპირისპირა ერთმანეთს: არა მომზარებლობის ან სტლის ცივილიზაცია, არამედ მათი ინტერცვალება-დობა - მომზარებლობის ფერხული, როგორც ლიბიდოზური ინტენსივობის ბალ-მასკარადი.“ ფუჟუიამასეულ დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ბაზრის ოდნავ უფრო ორიგინალური ინტენტივაცია-ც სოციალურ ფსიქოლოგიასთან გააბრუნებს: „მომზარებლობა და ეთნიკური სამოქალაქო ომები - აი, რა არის ჩვენი ეოქვის შიავარი ნი-შანივებისებ.“

შინც რას წარმოადგენს ჯეიმსონისეული „ისტორიის დასასრული“? როგორც თავად ავტორი განამარტავს, „ეს არ არის არცნობიერი შიში მომავლისა და დროის ნი-შანზე. იგი გამოხატავს ახალ მსოფლიო სისტემაში სიგრცის შეკუმშვის გრძობას და გლობალიზაციისა და ტრანსციონანალური კორპორაციების ახალი მსოფლიო ბაზრის სება, უფრო ფუნდამენტური საზღვრის დახურვას ნინანსარმოტეკულს.“

ჯეიმსონისათვის ამოსავალ წერტილს ფუჟუიამას „ისტორიის დასასრული“ ზოგიერთი თავისებურება წარმოადგენს. მაგალითად, მომავლის წარმოსახვის შეუძლებლობა - ისტორიული წარმოსახვის ბლოკირება, რომელიც სწორედ სიგრცის ფუნდამენტური შეზღუდულობის შედეგია. ამ სიტუაცია ინსტიტუტორად, გვიანი კამპიტალიზმის კულტურული ლოგის მედროშე ჯეიმსონი, სწორედ კამპიტალიზმის მესამე საფეხურზე გადასვლასა და მის თანამდევ შორსმჭვრეტელურ დამოკიდებულებას ასახელებს მსოფლიოს ჯერ კიდევ არაკომოდითიცირებულ ნაწილების მიმართ. მაგრამ აქ ჯეიმსონი კვლავ მარქსს დაესხება ოპტიმიზმს: „ვიდრე თუ მსოფლიო ბაზარი თავის მიჯნას არ მიადევს და საგნებისა და შრომის დახარფვება უნივერსალურ პროდუქციად არ იქცევა, დასასრულზე ფიქრი ჯერ კიდევ ადრეა.“

ეს თეზისი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქმის ჯეიმსონი აქცენტს მხოლოდ ისტორიის გარდუვალ დინამიკაზე, დროით ფაქტორზე აკეთებდას. ჯეიმსონი ყოველთვის



ფ. მ. ლოსტოვი

ხაზს უსვამდა, რომ პოსტმოდერნს არა დროითი, არამედ სიგრცული კატეგორიის მნიშვნელობით იყენებს. პოსტმოდერნის დროითი და სიგრცული თავისებურებების დახასიათებისას კი, მათ „ფუნდამენტურ პარადოქსულობას“ აღნიშნავს და აცლინებს მთელ სისტემას, სადაც დროითი კატეგორია ინციტულად გარდაიქმნება. იგი მსჯელობს სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში მიმდინარე სწრაფ ცვლილებებზე და ამ უკანასკნელთა თავისებურებაზე - მოახდინონ ცხოვრების მაქსიმალური სტანდარტიზაცია: პოსტმოდერნი ისეა მონყობილი, რომ მისი დინამიკა და გლობალური ცვლილებები უშველეს სტატისკას გულისხმობს. როგორც ფუჟუიამა აღნიშნავდა: „ჩვენ აბსოლუტური დისპარსისა და განსხვავების მონორტორობის ნინაშე ვდგავართ.“

რა თვალსაზრისით შეიძლება ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყოს ეს მოვლენები? ჯეიმსონი ხაზს იმ მომენტს უსვამს, რომ ჩვენ „მიმდინარე მომენტისა და საუკუნის ისტორიული შინაარსისა და მნიშვნელობის დაცვა“ გვევალება. „კიდევ უფრო მნიშვნელოვანია გაკვეთილი, რომელსაც მოდერნის ნინა პერიოდი გვაძლევს, და რომლის ნინაღმდგავც ასე გვიჭირს თავის დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ სრული ისტორიული ანეზიხისა და თავად ისტორიულობის გერმანების ჩანშობით შევეცადეთ ეპიკონონის უსიზოვნო შერჩობა დაავითრებულს. დავაკონკრეტოთ მოდერნის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება. იგი არც მასთან დაბრუნების ნოსტალგიური ძახილის ტოლფასია და არც მისი რეპრესიული ნაკლოვანებების ოიდიპალური კომპლექსისა - ეს არის დიდი მონოდება ჩვენი ისტორიულობის მიმართ, და თუ აქ წარმატებას მივაღწევთ, ეს დაგვებმარება ავადდგინოთ მომავლის აზრი და ტქმპროტი ცვლილებების შესაძლებლობა.“

შესაძლოა, მიმდინარე „ისტორიის დასასრულის“ ფონზე ყველაზე მნიშვნელოვანი არსებული სიტუაციის გაანალიზება და თავის დაქრენის გზების ძიება. სწორედ ამ საქმიანობით არის დაკავებული მაგალითად, იულია კრისტევა, რომელიც თავის ერთ-ერთ საპროგრამო გამოსვლაში ვენცილის ბიენალეზე, მსატრენებს და კრიტიკოსებს „დაკარგული საფუძვლების“ ძიებისაკენ მოუწოდებს. თუმცა ჯეიმსონისათვის ეს, ალბათ მხოლოდ დროის ფუჭი კარგავა, რადგან „სიგრცე უკვე იმდენად შეკუმშულია, რომ სარქველის ძიებას აზრი აღარ აქვს.“

ჟურნალის შუამკობა

დემოკრატის მომავალში უფროდ გამოუჩნდება მოცი-
ლე. რა იქნება მისი მთავარი იდეოლოგიური და პო-
ლიტიკური მეტოქე? ჩემი აზრით, თანამედროვე ვითარება-
ში, დემოკრატის ყველაზე სერიოზული მოქიშპე აზიაში
გამოვლინდება. ამასთან, მიმაჩნია, რომ იდეოლოგიური
დონის მოვლენები სამოქალაქო საზოგადოებისა და კულ-
ტურის დონის მოვლენებზე იქნება დამოკიდებული. ნათქ-
ვამის არსის ასახსნელად საჭიროდ მიმაჩნია მოკლე მეთო-
დოლოგიური ეტიკურსი.

არსებობს ოთხი დონე, რომელთა საფუძველზეც უნდა
მოხდეს დემოკრატის კონსოლიდაცია. ყოველი ცალკეული
დონე მითითვს შესაბამის ანალიზს.

I დონე: იდეოლოგია არის ნორმატიული მრწამსი იმ-
ის შესახებ, რამდენად წესიერია დემოკრატიული ინსტიტუ-
ტები და მათი მხარდამჭერი საბაზრო სტრუქტურები. ცხა-
დია, დემოკრატიული საზოგადოება ხანგრძლივად ვერ
იარსებებს, თუ ხალხს არ ექნა იმის რწმენა, რომ დემოკ-
რატია მმართველობის ლეგიტიმური ფორმაა. მეორე
მხრივ, დემოკრატის ლეგიტიმურობის შესახებ ფართოდ
გავრცელებულ რწმენას დემოკრატიული ინსტიტუტების
ჩამოყალიბების ან კონსოლიდაციის უზარბოხთან უზდე-
ბა თანაარსებობა. პირველ დონეს მიეკუთვნება რაციონა-
ლური თვითშეგნების სფერო, სადაც ლეგიტიმურობის
აღქმა მოულოდნელ ცვლილებებს განიცდის. დემოკრატი-
ა და ბაზრისთვის ხელსაყრელი ამგვარი ცვლილებები
ბოლო 15 წლის განმავლობაში მთელ მსოფლიოში განხორ-
ცილდა.

II დონე: ინსტიტუტები. ეს სფერო მოიცავს კონსტიტუ-
ციებს, სასამართლო და პარტიულ სისტემებს, საბაზრო
სტრუქტურებს და ა.შ. ინსტიტუტები იდეებით სწრაფად
არ განიცდის ცვლილებებს, მაგრამ მათზე მანიპულირება
მაინც არის შესაძლებელი სახელმწიფო პოლიტიკის მეშვე-
ობით. ეს ის დონეა, რომელსაც მოიცავდა პილო წლებში
მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა - ახალი დემოკრატიუ-
ლი სახელმწიფოები, უფრო ასაკოვანი დემოკრატიების
ხელშეწყობით, ცდილობდნენ სახელმწიფო სანარმოების
პრივატიზებას, ახალი კონსტიტუციების შექმნას, პარტიე-
რის კონსოლიდებებს და ა.შ. ნეოკლასიკური ეკონომიკის
წარმოადგენელთა უმრავლესობა მეორე მსოფლიო ომის
შემდგომი პოლიტიკოსების მსგავსად, ამ დონის ანალიზს
იყენებს საყრდენად.

III დონე: სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსგან
გამოკლავებული და დემოკრატიულ პოლიტიკურ ინსტი-
ტუტებზე დაფუძნებული, სპონტანურად წარმოქმნილი სო-
ციალური სტრუქტურების საწყაროა. ამ სტრუქტურების
ფორმირება გაცილებით ნელა მიმდინარეობს, ვიდრე პო-
ლიტიკური ინსტიტუტებისა. იგი სახელმწიფო პოლიტიკის
მხრიდან მანიპულირებასაც ნაკლებად ექვემდებარება. ახ-
ლი წარსულმდე სამოქალაქო საზოგადოების ანალიზი
იშვიათად ხდება. დასავლეთში სამოქალაქო საზოგადო-
ება მოდერნიზაციის უცილობელ თანამგზავრად მიჩნე-
დნენ მაშინ, როდესაც აღმოსავლეთში მარქსისტები მას
უფრავდნენ, როგორც სიცრუეს, მცდარობას. კომუნისტების
წერეთის შემდეგ კვლავ მოდერნი შემოვიდა სამოქალაქო სა-
ზოგადოება, ვინაიდან პოსტ-ტოტალიტარული საზოგადოე-
ბა სოციალური სტრუქტურების განსაკუთრებული დეცე-
ნტალიზით ხასიათდება. ეს სტრუქტურები სტაბილური დემოკ-
რატიული პრაქტიკური ინსტიტუტების აღმოცენების აუც-
ილებული წინაპრებია. სამოქალაქო საზოგადოების ანა-
ლიზის თვალსაზრისით, ბოლო ოც წლის განმავლობაში
დიდი და საინტერესო სამუშაო ჩატარდა პოლიტიკოლოგია-
ში. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკ-
რატიული ინსტიტუტებთან მისი ურთიერთობის აღსაწერად
შემუშავდა საგანგებო ენა და მდიდარი ტერმინოლოგია.

IV დონე: კულტურა. ეს უღრმესი დონე მოიცავს ისეთ
მოვლენებს, როგორცაა ოჯახის სტრუქტურა, რელიგია,

“კულტურული ომები” და სამოქალაქო საზოგადოება



მორალური ღირებულებები, ეთნიკური ცნობიერება, “მო-
ქალაქეობრიობა” და პარტიკულარული ისტორიული ტრა-
დიციები. დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის საყრდენი
ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო თავად სამო-
ქალაქო საზოგადოების წინამძღვარი და წინამორბედი არ-
ის კულტურა. კულტურა შეიძლება განისაზღვროს რო-
გორც მრავალფეროვანი მიღებული ირაციონალური ეთიკური
ჩვევა. ტრადიციად იმისა, რომ კულტურა წინა სამ დონე-
ზე მომხდარ მოვლენებს თავადვე ექვემდებარება, იგი მა-
ინც ყველაზე გვიან განიცდის ცვლილებებს. ანალიზის
თვალსაზრისით, კულტურა სოციოლოგიისა და ანთროპო-
ლოგიის სფეროა. პოლიტიკოლოგიის სფეროს მკვლევრთა
უფრავდების არეალში ბევრად უფრო იშვიათად ექცევა
კულტურის დონე და მისი გავლენა სამოქალაქო საზოგა-
დოებაზე, მაშინ, როცა ცალკე სამოქალაქო საზოგადოებას
აქტიურად იკვლევენ.

ის, რასაც სამეულ პ.ჰანტინგტონმა დემოკრატისკენ
გარდამავალი “შესამე ტალა” უწოდა, მრავალი წიშ-
ლით პირველ დონეს - იდეოლოგიას უკავშირდება. 70-
იანი წლების ბოლოს და 80-იან წლებში ლეგიტიმუ-

რობის აღქმამ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ძალიან სწრაფი და სერიოზული ცვლილებები განიცადა. ამან განაპირობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში ხელისუფლებაში საბაზრო ორიენტაციის ფინანსთა მინისტრების მოსვლა, ყოფილ კომუნისტურ სამყაროში პროდემოკრატიული მოძრაობების წარმოქმნა და ავტორიტარიზმის მემარცხენე თუ მემარჯვენე მიდევარია საერთო დემონალიზაცია. იდეოლოგიაში მომდარმა აზვარმა ცვლილებებმა ძალიან მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია მეორე დონეზე - ინსტიტუტების დონეზე. ამან, თავის შირვე სათავე დაუდო დაუსრულებელ დებატებს ისეთ სერიოზულ საკითხებზე, როგორიცაა, ვთქვათ, ზელსაყრელი სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც სწორი არჩევანის გარანტი იქნება გრადუალიზმსა და შოკურ თერაპიას, ასევე ცნობილ თეზისებს შორის - "ჯერ ეკონომიკური რეფორმები" თუ "ჯერ დემოკრატია". მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციონალური კონსოლიდაციის პროცესი გარკვეულწილად დასრულდება, ამ დონეზე მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული იმ რეგიონებში, სადაც იდეოლოგიური რევოლუციები მოხდა 80-იან წლებში.

შესაბამებ დონეზე, ანუ სამოქალაქო საზოგადოებაში ცვლილებები შეუდარებლად ნელი ტემპით ხორციელდება. აი, აქ ცვლილებათა ტემპი დიდწილად არის დამოკიდებული სწორედ კულტურის დონის მახასიათებლებზე. სამოქალაქო საზოგადოება შედარებით სწრაფად აღორძინდა პოლონეთში, ჩეხეთში, უნგრეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში, სადაც მძლავრი ალტერნატიული ელიტები არსებობდა და როგორც კი შესაძლებლობა განჩნდა, სწრაფად ჩაანაცვლეს იგი უკვე ყოფილს - კომუნისტურს. ამ ქვეყნებში არც ეკონომიკური კრიზისი გაღრმავდა, იგი აიცივდა ჯანსაღი კერძო სექტორის ასპარეზზე გამოსვლისთანავე, რაც შეეხება პოლიტიკურ ცხოვრებას, მან მიზანიმართულად იწყო განვირობება დასავლურ ყიადაზე. სამოქალაქო საზოგადოების აღმოცენება უცნაურად უფრო თოვლად მიმდინარეობდა ბულარეში, ბერკინსა და რუსეთში. ამ ქვეყნებში ძველი კომუნისტური ელიტები მყარად იყო შენარჩუნებული და მტკბად უშინშეშელი მოცულობით შეივსო ვაკანსიები ახალი (არცთუ ისე ახალი) ინსტიტუტებით. დასახელებულ მაგალითებს შორის არსებული სხვაობის თავისი გადგენება შეიძლება კულტურულ (მეთოთ) დონეზე. იმ საპოტენციური შეგანინებების ასსნა, რითაც ურთიერთგაველიან ახდენენ მესამე და მეოთხე დონეები, უნდა იყოს დემოკრატიის პროცესის მკვეცვართა ძირითადი ამოცანა.

ბოლო 4-5 წელნივადში მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შეინიშნებოდა "შესამე ტალიოს" ვარდნა, რაც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ოთხ დონეზე განხორციელებული ცვლილებების განსხვავებული ტემპებით იყო განპირობებული. ზოგან ძალიან სწრაფად მოხდა ცვლილებები იდეოლოგიაში, რაც დიდი იმედის მომცემი იყო სამომავლად, მაგრამ სხვა დონეებზე გარკვეული ურჩობა გამოვლინეს და ეს იმედები გაქარწყლდა. სხვაგან ინსტიტუტების კონსოლიდაციით მიღწეულ ჭკუმარტ პროგრესს საბრთზე შეუქმნა მოლოდინსა და რეალობას შორის არსებულმა უფარკულმა, ვინაიდან მან ზემოქმედება იწყო ნორმატიული მრწამსზე - იდეოლოგიაზე, რასაც ეფუძნებოდა დემოკრატიული რევოლუციები.

ლიბერალურ დემოკრატობის მომავალში მთავარი დაბრკოლება მესამე განსაკუთრებით კი მეოთხე დონეზე შეხედება დღეის დემოკრატიობით, პირველ და მეორე დონეებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არ არსებობს: ძნელია შესაძლო იდეოლოგიური მოქიშპის დასახელება, რადგან ძალიან ცოტაა ისეთი ალტერნატიული ინსტიტუტი, რომელსაც ერთეულ ენთუზიაზმის გამოწვევა შეეძლება. მათ შორის კამათი მხოლოდ მარგინალური ხასიათისაა, სადაც განიხილება: ქვეყნის კეთილდღეობისთვის საჭიროა თუ არა სახელმწიფოს უფლებების გაზრდა ან შემცირება; საპრეზიდენტო მმართველობას მიენიჭოს უპირატესობა თუ



საპარლამენტოს და ა.შ.

მე კი გავკავდნორედები და ვიტყვი, რომ ინსტიტუტების დონეზე სოციოლოგიური ინჟინერია ყრუ კედელს შესაკვა: გასული დასავლულის გამოცდილებამ ბევრ დემოკრატიულ ქვეყანას აწინასა, რომ ინსტიტუტების ამიტივიტი გარდაქმნა უფრო მეტად პრობლემების წარმოქმნას უწყობს ხელს, ვიდრე მათ გადაჭრას. ის რეალური სირთულეები კი, რომლებიც თანამედროვე შეგონარტიული სახელმწიფოების ცხოვრების დონეზე ახდენს გავლენას, გამოწვეულია სოციალური და კულტურული ნორმებიდან გადასვევით. მათი მოგვარება ინსტიტუციონალური გადანეცილებით შესაძლებლობება აღემატება. შესაბამისად, აღემატება სახელმწიფო პოლიტიკის შესაძლებლობებსაც.

კულტურის საკითხი სწრაფად მიიწვს წინა პლანზე. დემოკრატობის მეტოქეები

დემოკრატობის აღიარებულ მეტოქეთა შორის მხოლოდ ერთია, რომელიც სწრაფად ივრებს ძალას და მოსალოდნელია, მისხვად მოედნებზე შეგონარტიული დემოკრატობის ეს ერთადერთი სერიოზული მეტოქე არის პატერნალისტური აზიური ავტორიტარიზმი. სხვა საფარაულო და შესაძლო მოქიშპებზე დიხინევა: 1. უკიდურესი ნაციონალიზმი თანე ფაშიზმი; 2. ისლამი; 3. აღორძინებული ნეოზოლმევიზმი. ყოველ მათგანს დიდი წინააღმდეგობის დავლა შეეწვეს, თუ მსოფლიო იდეოლოგიურ მოძრაობად გადაქცევა განიზრახა. თვალში საცნობია ისიც, რომ სამივე მათგანს მეტად განსაზღვრული შესაძლებლობები მიეპოვება თანამედროვე საზოგადოებისტეკვული მეცნიერების მოთხოვნებთან ადაპტაციისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი იძლევილი იქნებიან, უარი თქვან ტექნოლოგიურად სრულყოფილ გლობალიზურ ეკონომიკაში ინტეგრაციაზე.

განვიხილოთ ფაშიზმი. ბოლო წლებში ეთნიკურმა კონფლიქტებმა და მიგრაციებმა ტრადიციული ლიბერალური პოლიტიკის თეორიის მნიშვნელოვანი ხარვეზები გამოავლინა. ლიბერალური სახელმწიფო მოქალაქებს განიხილავდა მხოლოდ როგორც ინდივიდებს და ანგარიშს არ

უნვედა რეალური სამყაროს ხალხთა ჯგუფურ ორიენტაციას. ხალხი კი, რატომღაც, ყოველთვის ცდილობს, თავი ისე, საერთო წარმომავლობის საფუძველზე, სხვა ხალხთან გაიაგივოს. ლიბერალურ სახელმწიფოს შეუძლია ამ მოუძღვლებს მივარებაზე. ბერძენ ქვეყანაში საჭირო ადგილი დაუთმო იმ ინსტიტუტებს, რომლებიც ეფუძნებოდნენ ჯგუფურ პლურალიზმსა და ინდივიდის უფლებათა პრინციპებზე ორიენტირებულ წრეებს. ხოლო იმ ქვეყნებში, რომლებზე უკიდურესი ნაციონალიზმის გამოვლინებისკენ არიან მიდრეკილი (მაგსერბეთი), ფუნდამენტური ლიბერალური პრინციპი - შეწყნარებლობა - დარღვევის და წაგვს კიდევ. იმის გამო, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა არაერთი ეთნოკავშირის, იქ მიზანმიმართულად განხორციელებული ინტეგრირი წმენდის ფაქტი იწვევს კონფლიქტებს, იმებს და სახელმწიფოს ეკონომიკის დაქვევას. ამიტომ არავინაა გასაკვირი იმაში, რომ სერბეთი ვერ ჩამოყალიბდა სანიშნულ საზოგადოებად ვერც დასავლეთი და ვერც აღმოსავლეთი ევროპისათვის, თუ არ ჩავთვლით უკრაინული ინდივიდითა რამდენიმე მარცხნაღურ ჯგუფს რუსეთში, მოლდოვასა და უნგრეთში. მიუხედავად იმისა, რომ დროის უახლესი მონაცემები თინჯური კონფლიქტების სერიოზულ საფრთხის წარმოადგენენ დემოკრატიისთვის, მთელი რიგი არგუმენტები გვაპარაუდებინებს, რომ რამდენიმე ხანში ეს საერთო ჩაივლის. ასევე შეიძლება ითქვას ისლამური ფუნდამენტალიზმის შესახებაც. მართალია, ამ მართლმადიდებლის ტალღა კვლავ მოიძრაოს ახლი აღმოსავლეთის მოსახლეობის მარცხნაღურ ჯგუფებში, მაგრამ ვერც ერთი ფუნდამენტალური სახელმწიფო ვერ აღუდგა წინ ინდუსტრიალიზაციის პროცესს. ბუნებრივ რესურსებით მდიდარმა ქვეყნებმა კი ვერ მოახერხეს იმ სოციალური პრობლემების ეფექტურად გადაჭრა, რაც მათ ხელისუფლების მოპოვებაში მოეხმარებოდა უკიდურესად დასაბუღლი სიტუაცია დღევანდელ ირანშიც. მართკი ეს მავალეთის ადვინტებს ხელს ისლამურ ფუნდამენტალიზმზე მათ, თინჯ კულტურული ტრადიციებით არ არის დაკავშირებული ისლამთან.

ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგიურ მეტოქეთაგან კვლავზე ნაკლებსერიოზული კომუნიზმის განახლებული ფორმა ჩანს. ფაქტია, რომ ლტყვაში, პოლითენში, უნგრეთსა და აღმოსავლეთ გერმანიაში ხელისუფლებაში კვლავ ყოველი კომუნისტები დაბრუნდნენ, ხოლო დანარჩენ პოსტკომუნისტურ სიერებში, შეიძლება ითქვას, ძალაუფლება არც გაუშვიათ მათ ხელიდან. მაგრამ ეს ჯგუფები ძირითადად სოციალური დაზღვევის ფართო ქსელის შექმნისთვის იღვწოდნენ და იცნავ თუ ახერხებდნენ კაპიტალიზმისკენ სვლის ტემპის შეჩვენებას. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ნეოკომუნისტებს ძირითადად ზენისონერები, ყოველი კომუნისტური ელიტის წევრები და ძველი სისტემის ერთგული სხვა უმნიშვნელო ჯგუფები უჭერენ მხარს. ნეოზომუტევიკთა ეკონომიკური პროგრამაც არ იძლევა ეფონიმიკური ალიონენის ხანგრძლივ პერსპექტივას.

ის ფაქტი, რომ ფაშიზმი, ისლამი და ნეობოლშევიზმი არ განიათა გლობალურ იდეოლოგიად გადაქცევისთვის საჭირო საფუძვლები, სულაც არ ნიშნავს იმის, რომ ისინი ხელს აღიუნებ რეგიონულ სფეროში გავრცელებაზე. ამ სიერებში იმითი დიდ ზიანს მიაყენებენ ადგილობრივ მოსახლეობას ისინი, რომ შრომისუნარიანი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის კონსოლიდირებას შეუფერებენ, ან სულაც შეუძლებელს გახდიან. მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამ რეგიონების მიღმა მოიპოვონ ხელისუფლება, ან თუნდაც მხარდაჭერა.

ერთი სიტყვით, ლიბერალური დემოკრატიის ერთადერთ ახალ, სერიოზულ მოქმედებ მატერიალური აზიური ავტორიტარიზმი გვევლინება. ცხადია, აზიური ავტორიტარიზმიც ისეთივე რეგიონული მოვლენაა, როგორც ისლამი ან ფაშიზმი. ევროპასა თუ ჩრდილოეთ ამერიკაში სერიოზულად არაფერ იფერებს, კონფუციანიზმი ერთგულ

იდეოლოგიად გაიხადოს. მაგრამ აზიურმა გამოცდილებამ დასავლეთს მკაფიოდ დაანახა დასავლური საზოგადოების ნაკლი. ამას ზემოთ ნახსენები დანარჩენი სამი იდეოლოგიიდან ვერც ერთი ვერ შეუძლებდა. მხოლოდ აზიურების აღმოჩნდა თანამედროვე ტექნიკურ სამყაროსთან ადაპტირებისა და ისეთი კაპიტალიზმური საზოგადოებების შექმნის უნარი, რომლებიც არა თუ კონკურენტისა უნებ, სწორ შემთხვევაში, აღმეტყობის კიდევ დასავლეთს გვიგავარუდებინებს, რომ გლობალურ ხელისუფლებაში აზიის ნილი დაეზრდებოდ იზრდება. ამასთან, აზია იდეოლოგიურ ბრძოლაში იწვევს დასავლეთს.

დასავლელი პოლიტიკოსებისგან სწორად გაიგონებთ, რომ აზიური "რბილი" ავტორიტარიზმი შედარებით თავისუფალი ბარისა და ძლიერი პოლიტიკური ხელისუფლება (რომლებიც ინდივიდის უფლებათა ხარჯზე მხარს უჭერენ ჯგუფურ კონსენსუსს) ნახავთ. ასეთი ანალიზი რაღაც თვალსაზრისით სწორია, მაგრამ მსგავსების მიღმა დარჩენილი აზიური საზოგადოების მნიშვნელოვანი თავისებურება. ტრადიციულ აზიურ კულტურებში პოლიტიკური ძალაუფლების საყრდენი არის ფართო მასების მორალური აღზრდა და არა ინსტიტუტები, თუნდაც სწორად აგებული. ეს განაპირობებს ფუნდამენტური სოციალური სტრუქტურების შეთანხმებულობას (ამ თვალსაზრისით, კონფუციანიზმა ორიენტაცია დასავლეთის კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის ორიენტაციას მოვავლენებს). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე დასავლური პოლიტიკური აზროვნება სამართლიანი სოციალური მოთხოვნების ცდილობს ზემოდას ქვევით, ამოსავლად იყენებს პირველ და მეორე დონეებს. ტრადიციული აზიური კულტურები მეოთხე და მესამე დონეებზე იწვევენ და მიემართებიან ქვევიდან ზევით. კონფუციანიზმი ინდივიდის სოციალიზების ახდენს იმისთვის, რომ ინდივიდუალიზმი დაუქვემდებაროს ოჯახს. ოჯახი ჩინური საზოგადოებისთვის ფუნდამენტური სამშენებლო ბლოკია. უფრო მსხვილი პოლიტიკური სტრუქტურები დაბალი დონის მსგავსივე ელემენტებისგან შედგება: გავარი წარმოადგენს ოჯახთა ოჯახს, ხოლო ჩინეთის იმპერიული სისტემა მთელი ჩინელი ხალხის საერთო ოჯახია. ამასთან, ინსტიტუტის მმართველობა ჩინურ ოჯახში მამის ძალაუფლების პრინციპზეა აგებული.

იმის გამო, რომ აზიური საზოგადოება მეოთხე დონეზე იწვევს და მიემართება ზევით, გარკვეული თვალსაზრისით, ძირს პოლიტიკური სტრუქტურის იმ ტიპის განსაზღვრა, რომელსაც იგი შექმნის. ამიტომაც მეოცე ანსლეთის ბოლოს მოდერნიზებულ აზიური საზოგადოებებისთვის შესაძლებელი გახდა "ყოველდღიური ცხოვრების" კონფუციანიზმითა განასავსოს იმისგან, რასაც კონფუციანიზმი სწავლიდა და ევიმინი "პოლიტიკურ კონფუციანიზმს". უნებდება. ტრადიციული პოლიტიკური კონფუციანიზმობა გულისხმობდა იმპერიული სისტემის არსებობას მანდარინებისა და ევითომობილი სწავლებლების მიერ მწყობრად ჩამოყალიბებულ იერარქიით. მისი უკუგდება და პოლიტიკური ინსტიტუტების სხვადასხვა ფორმით ჩანაცვლება შედარებით იოლად იყო შესაძლებელი ისე, რომ საზოგადოებაში თანხმობა არ დარღვეულიყო. ამიტომაც აზიური ალტერნატივების რომელიმე კონკრეტული ინსტიტუტთან იდენტიფიცირება არასწორია, ვთქვათ, როგორცაა პარლამენტის არსებობა, ან ინდივიდის ცალკეულ უფლებათა დაუცველობა. აზიური ალტერნატივის არსი ასეთია: ეს საზოგადოება დაფუძნებულია არა ინდივიდის უფლებებზე, არამედ ღრმად დამკვიდრებულ მორალურ კოდექსზე, რომელიც მყარ საძირკვეს უჭმის ძლიერ სოციალურ სტრუქტურებსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას. ასეთ საზოგადოებას არსებობა შეუძლია როგორც დემოკრატიულ სახელმწიფოში (იაპონია), ისე ნახევრადავტორიტარულ ქვეყნებში (სინგაპური). თუმცა, როგორც ჩანს, ზოგი ინსტიტუტი შეუთავსებელია სოციალური წყობის ასეთ ტიპთან (მაგკომუნისმი). მისთვის ნიშანდობლივია



არა ინსტიტუტები, არამედ სოციალური სტრუქტურები და მათი კულტურული შეთანხმებულობა. სამოქალაქო საზოგადოება აზახსა და ამერიკაში თუ ვალარიუმებში აზიური ალტერნატივის არაინსტიტუციონალური ფორმით არსებობს, გასაგები გასდება, რომ მასთან არის დაკავშირებული მომავალი მსოფლიო დემოკრატიისთვის სანტიტუტო შედეგები.

ჯერ კრიტიკა, სავფეოა, რომ კონფუციანელობა თუ ტრადიციული აზიური კულტურის რომელიმე სხვა ელემენტი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს აზიაში ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრებისთვის. ამ საფრთხის არსებობას ადასტურებენ ისეთი აზიელები, როგორცაა სინგაპურის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლი კვანგუ და დასავლეთის ისეთი წარმომადგენლები, როგორცაა სამუელ პანტიგატორი. ლი კვანგუ თვალსაზრისით, ეს არის მიზანმიმართული ანგარიშიანი დამახინჯება კონფუციანელობისა, რომელსაც იგი ათივეგებს ისეთ პოლიტიკურ წყობასთან, როგორც უნდაო და დემყარება სინგაპურში ხელი-სუფლებს სათავეში ყოფნის დროს. სხვა აზიური საზოგადოებები - ტაივანი, კორეა - ბოლო ათწლეულის განმავლობაში ისე დაადგინეს დასავლური დემოკრატიის გზას, რომ საკუთარი კონფუციანური ხასიათი შეინარჩუნეს. იაპონიის ნაშევრადკონფუციური კულტურა საცემბით შეთავსებულად აღმოჩნდა დემოკრატიულ ინსტიტუტებთან. 1993 წლის ივლისში იაპონიაში დაიწყო პოლიტიკური ამბოხი, როცა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ ძალაუფლება დაკარგა. მაგრამ ამაზე სათავე დაუდო ამ პროცესს, რომელიც დროთა განმავლობაში იაპონიის უფრო ამერიკული ყაიღის დემოკრატიულ სახელმწიფოდ გარდაქმნის, ვიდრე მანამდე იყო.

ბოლო წლებში სინგაპურისა და მალაიზიის ოციკონალურმა პირებმა თუ ინტელექტუალებმა აგრესიული ანტი-დასავლური და აშკარა ანტიდემოკრატიული რიტორიკით გამოიხრეს თავი. ამაში დიდი დამახაურება მიუძღვით ლის და მალაიზიის პრემიერ-მინისტრ დატუე სერი მახატრს. მომავალი, როცა ეს სათ ლიბერალთა ახალი თაობა შეცვლის, ექვგარეშე, რომ ეს საზოგადოებებიც დემოკრატიის იაპონია-ტაივან-კორეის ვერსიის მიმართულებით დაინჭებენ მიმართებას.

პანტიგატორის შეცდომა უფრო კონცეპტუალურია. მან არასწორად განსაზღვრა კონფუციანობის არსი, როცა მას პოლიტიკური კონფუციანობა უწერდა. სინამდვილეში კონფუციანელობიდან შენარჩუნებულია მხოლოდ მოძღვრება იჯახისა და სხვა უფრო დაბალი დონის სოციალური ურთიერთობების შესახებ. თეორიულად არ არსებობს რაიმე მიზეზი, რაც კონფუციანური სოციალური სტრუქტურებისა და დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების წორმალურ თანარსებობას შეუშლიდა ხელს. პირიქით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დემოკრატიული ინსტიტუტები გაძლიერდნენ კიდევ კონფუციანელობასთან ერთობლიობით.

მეორე მხრივ, იმ ფაქტებს აღიარება, რომ კონფუციანელობა შეთავსებადი თანამედროვე დემოკრატიასთან, სულაც არ არის აზიაში დემოკრატიის აუცილებლად დამკვიდრების გარანტი. სამომავლოდ აზიაში დემოკრატიული ინსტიტუტების პრესტიჟის განმსაზღვრელი იქნება არა იმდენად დასავლური ინსტიტუტების ეფექტურობა, რამდენადაც ის, თუ როგორ მიიღებენ დასავლური საზოგადოებისა და კულტურის პრობლემებს აზიელები. სხვათა შორის, დემოკრატიის პრესტიჟის საგრძნობლად გაფერმკრთალდა ბოლო ოცი წლის განმავლობაში. ამის პირველმიზეზი შეიძლება იყოს თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებები, რომელთა დახმარებითაც აზიის მოსახლეობა საფუძვლიანად გაეცნო ამერიკაში მიმდინარე მოვლენებს. მეორე და უფრო მთავარი მიზეზი კი ის გახლავთ, რომ თვით ამერიკაში გაღრმავდა სოციალური პრობლემები (პრობლე-

მათა ტრადიციული ჩამონათვალი ასეთია: ძალადობრივი დანაშაული, ნარკოტიკები, რასობრივი დაძაბულობა, სიღარიბე, არასწორი ოჯახები და ა.შ.) სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამერიკელები ერთგვარი ქედმაღლობით უყუქრიან აზიელებს, როცა პირველ და მეორე დონეების მისიველი აკუთვნებ შედარებას. სამაგიეროდ, აზიელები სულ უფრო ხშირად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ მესამედ და მეოთხედ დონეზე მათ საზოგადოებას გარკვეული სკავებში უპირატესობა აქვს ამერიკასთან შედარებით. ამერიკის აზიელი კრიტიკოსები, კერძოდ ლი კვანგუ მიჩნევენ, რომ პირველი და მეორე დონე მჭიდრო კავშირშია მესამედ და მეოთხედ დონესთან, ანუ უფლებებზე დაფუძნებული ლიბერალური ინსტიტუტები გამანადვურებლად იმოქმედებს სამოქალაქო საზოგადოებასა და კულტურაზე, ხოლო დემოკრატია გარდევალად გამოიწვევს სოციალური სტრუქტურების რღვევას. აქედან გამომდინარე, აზიაში ლიბერალური დემოკრატიის ბედი, ძირითადად, იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორი წარმატებით გართობენ თავს ამერიკა ურჩი სოციალურ-კულტურული პრობლემების გადაჭრას. რაც შეეხება შედარებით წერილ ინსტიტუციონალურ პრობლემებს, მათ გადაწყვეტი მიწვევლობა არ მიეწიება.

ერთგვარი ვაგებრი მართლაც არსებობს, ერთი მხრივ პირველ და მეორე დონეებს შორის, მეორე მხრივ კი, მესამედ და მეოთხედ დონეებს შორის. ეს ვაგებრი, სინამდვილეში, ბევრად უფრო დახლართულია, ვიდრე ლის და მის თანამოზარევეს ქვებნებთ. უფლებებზე დაფუძნებული ლიბერალობა სასებით შეთავსებადია ძლიერ საზოგადოებრივ სოციალურ სტრუქტურებსა და დისციპლინიერულ კულტურულ ჩვეულებთან. დაბეჯითებით შეიძლება ერთი რამის თქმა: თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის ჭეშმარიტი მნიშვნელობა სწორად იმ არის, რომ მას აქვს უნარი, ტრადიციული ლიბერალური დოქტრინისთვის (როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური) დამახასიათებელი გამოიწვევით ინდივიდუალობი გაანონსსწორის და შეანელოს. ამერიკული საზოგადოების ცნობილი მკვლევრები ტოკუიკი, ევბერი და სხვები აღნიშნავენ, რომ ამერიკა არასოდეს ყოფილა დატაცკევებულ ინდივიდთა "ქეშის ვირა", ვინაიდან სხვა ფაქტორები (მაგამერიკის პროტესტანტიზმის სექტანტური ხასიათი) თამაშობდნენ გამაინახსწორებელ როლს მათი ჯგუფებში დაარსების საქმეში. მხოლოდ ბოლო 50 წლის განმავლობაში დაირღვა ეს წარმართობა ინდივიდუალისთვის სასარგებლოდ. ამერიკული სისტემის ამ შედგამედ მისვლა არ არის შეუძლებელი, მაგრამ იგი არც გარდუვალაია. ის ნამდვილად უნერ ჩაითვლება "დემოკრატიის", როგორც ასეთის, აუცილებელი შედეგად. კონსტიტუციის მკვლევარი მერი ენ გუნდონი ეწინააღმდეგება, რომ ამერიკას აქვს საკუთარი "უფლებების შენი", რომელიც მკვეთრად განსხვავდება ევროპული დემოკრატიებისაგან. დასაინა, რომ ეს ამერიკული ლიბერალური დასაქმებუნი ბევრი აზიელის აზრებებში ასოცირდა დემოკრატიასთან per se.

ამგვარად, ლიბერალური დემოკრატიის ბუნების განსაზღვრისთვის ინსტიტუტების დონეზე არ შეიქმნება ნინააღმდეგობა, აქ, გარკვეული თვალსაზრისით, მთელ მსოფლიოში მიღებული კონსენსუსი. ჭეშმარიტი ბრძოლა გაიმართება სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის დონეებზე. საკუთარი ავტორიტარული წარსულიდან აღმოცენებული ახალი დემოკრატიული სახელმწიფოებისთვის განსაკუთრებით კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ამ სფეროებს. თანამედროვე ამერიკაში მიმდინარე "კულტურული ომები" იმის მანიშნებლობა, რომ აზახსალი და დინამიური სამოქალაქო საზოგადოების შენარჩუნება პრობლემად რჩება თვით უძველესი და ერთი შეხედვით, სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნებისთვისაც.



ი ანთაქა

“წარმოუდგენლად ძნელი, უძძძძძძძ ნაბიჯები უნდა გადადგას ქვეყანამ, რომ კატასტროფის მდგომარეობიდან კრიზისის მდგომარეობაში გადავიდეს.”

ბასს მარბაბაძე

სამთავრობო ცვლილებები პრეზიდენტის და პარლამენტის კეტილი ნებით არ ჩატარებულა, - ახალი მთავრობის შექმნა კონსტიტუციური აუცილებლობა იყო.

ორი აზრი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოელოდა საზოგადოება ამ იძულებითი სამთავრობო ცვლილებებისგან: მოელოდა ერთადერთს - მთავრობის ძირფესვიან შეცვლას.

ამ მოლოდინს ჰქონდა სერიოზული საფუძველი, რაც რამდენიმე პუნქტად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. გასული წელი საქართველოს მთავრობამ 300 მილიონიანი საბიუჯეტო გარღვევით დაასრულა. ხარჯებმა გადაჭარბა შემოსავლებს.

წლებანდელმა ოთხმა თვემ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქვეყანას არ შეუძლია დატვირთილი შემოსავლების მიღება და ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯის განევა. ამიტომ, მოიძებნა გამოსავალი: ბიუჯეტის ხარჯების ნაწილის შეკვეცა. წლის მთავრე ნახევრისთვის შეიქმნება ახალი ბიუჯეტი, რომელიც ხარჯებს 150-200 მილიონ ლარით შეამცირებს. ეს ნიშნავს კორუფციის წინაშე მთავრობის კაპიტულაციას: შემოსავლები ბიუჯეტში არ გაიზრდება, ესე იგი, უნდა შეტვირდეს ხარჯები.

2. 17 მაისს პარლამენტმა მოისმინა კონტროლის პალატის ანგარიში 1999 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. რევაზ შავიშვილის ვრცელი მოხსენება დასრულდა შემდეგი სიტყვებით: “1999 წელს მთავრობის საქმიანობა არადამაკმაყოფილებელია და ქმედითი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს”.

იმავ დღეს პარლამენტმა მოუსმინა ყოფილ ფინანსთა მინისტრს, დავით ონოფრიშვილს, რომელმაც საჯაროდ დაადასტურა: “არსებულ პრობლებში მე ჩემი შესაძლებლობები ამოწურე”, შემდეგ კი განმარტა, რას გულისხმობდა “არსებულ პრობლებში”: მთავრობაში არ არის თანამართლება ერთიანობა; სამაგვიეროდ, არის კორუფციის დაბალი დონე და ზედმეტი ბიუროკრატია, რომელიც ყველა ინიციატივას ასამარებს.


3. საბიუჯეტოს მოსახლეობა, უკვე კარგა ხანია, განდევნილია ბიუჯეტის სივრციდან - საზოგადოების რიგითი წევრი საბიუჯეტო ხასრებით არ ცხოვრობს; არც ხელფასი და არც პენსია საარსებოდ საკმარისი არ არის, მით უმეტეს, როდესაც თვეობით და, ზოგჯერ, წლიობით არ გაიცემა.

4. საბიუჯეტო კრიზისი უკვე უშუალოდ ემუქრება არა ადამიანებს, არამედ - სახელმწიფო ინსტიტუტების ყოფნა-არყოფნას. რეალურია ზოგიერთი საელმის დახურვის საფრთხე, აუცილებელია წელს გადასახდელი საგარეო ვალების რესტრუქტურისზაცია, სულ უფრო ცუდად მუშაობს სკოლები და თითქმის დაცარიელდა აკადემიის სისტემის ბევრი ინსტიტუტი. ყველა დაწესებულება, რომლის ფუნქციონირებაც საბიუჯეტო ხასრებს უკავშირდება, მხოლოდ წარსულის ინერციით არსებობს.

5. ბოლო წლების საბიუჯეტო ტენდენციების ფონზე, სრულიად კარგავს აზრს როგორც ჩატარებული, ასევე ჩასატარებელი რეფორმები. ქვეყანაში, რომლის ბიუჯეტი უკვე 300 მილიონამდე “გაიზარდა” და ამის შემდეგ კიდევ უფრო ენერგიულად ირღვევა, რეფორმის შესაძლებლობა პირმინდედ გამოირჩევა. ცნებები “რეფორმა” და “რეფორმატორი”, უკეთეს შემთხვევაში, საზოგადოების ირონიას, უარეს შემთხვევაში კი - აგრესიას იწვევს.

ასეთ ვითარებაში მოუსწრო ქვეყანას მთავრობის შეცვლის კონსტიტუციურმა აუცილებლობამ. ამიტომ, არ არის გასაკვირი, რომ ბრძოლასან საზოგადოებაც ცხოვრობდა კო-

შევიარდნაძის სამთავრობო საიდუმლოებაები



რუფციის წინაშე კაპიტულანტური, არაერთიანი, არაკორდინირებული, ბიუროკრატიული და გაკორტრებული მთავრობის ძირფესვიანად შეცვლის იმედით.

ამ მიხედვით და საფუძველი, მაგრამ არ ჰქონდა მომავალი...

* * *

ადამიანებისთვის, საზოგადოების რიგითი წევრებისთვის ნამდვილ გამოცანად იქცა ედუარდ შევარდნაძის გადამწყვეტილება, რომ თითქმის უცვლელად შეინარჩუნოს სამთავრობო ბირთვი.

პირველი და უმთავრესი, რაც თავიდანვე უნდა გამოვრცხობ, ის არის, რომ ხელახალი დამტკიცების შემდეგ ძველი მინისტრები თვისებრივად შეიცვლებიან და ხვალდინ ახალ ცხოვრებას დაიწყებენ. ამის ილუზია პრეზიდენტს არ შეიძლება ჰქონოდა. ნებისმიერი ჩვენგანი არათუ ძველი მინისტრებისაგან არ მოვლის თვისებრივად გარდაქმნას, არამედ ყველაზე ერთგულ მეგობარსაც კი ვერ მოსთხოვს ხვალდინ იმის კეთებას, რაც მას უნდა არასდღის უკეთებია. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნა ჭკვიანური არ იქნება.

ესე იგი, პრეზიდენტმა ძველი მინისტრები თანამდებობებზე დატოვა არა მათი გარდაქმნის იმედით, არამედ მათივე არსის გამო, ანუ ისევე იმ საქმის საკეთხლად, რასაც აქამდე აკეთებდნენ. როგორც ჩანს, პრეზიდენტის ხედვით, ძველ მთავრობას თავისი ფუნქცია არც იმდენად ამოწურავს, რამდენადაც ხალხის თვალში ჩანდა.

რასტომ არ შეცვალა მთავრობა შევარდნაძემ? ამ კითხვებზე ასაბუთი არ არსებობს. შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ვერსიები.

პრეზიდენტის ეს გადამწყვეტილება მოულოდნელი არ მოგვეჩვენება, თუ ვიფიქრებთ, რომ შევარდნაძემ არც ამგვარად უღალატა ბალახის პოლიტიკას და ძველი,

ნომინალტურული მთავრობით ახალი, ხალხოსანი სახელმწიფო მინისტრის დაბალანსებს ცდილობს. მეორე მხრივ იგი, შესაძლოა, ცდილობდეს, ვაჟა ლორთქიფანიძის გარეშე დარჩენილი, მაგრამ არსებითად ძველი მთავრობით დაბალანსოს ზურაბ ჟვანის განახლებული სახელისუფლო ამბიცია.

ამ ვერსიის დამაჯერებელია აკლია. პრეზიდენტის სიერობიდან უფრო გასაგები იქნებოდა, რომ არსებობდა რეალური ოპოზიცია და იმის შიში, რომ თანამედროვედკარგული მინისტრები, თავისი რესურსებიანად, სხვა პოლიტიკური ბანაკში გადაბარდებიან და ხელისუფლების შეცვლის მომდებრები.

მაგრამ ასეთი ოპოზიცია ამჟამად საქართველოში აღარ არსებობს. ამის გათვალისწინებით და, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, თუ სადამდეა ქვეყანა მისული, უნდა ვაღიაროთ, რომ პრეზიდენტის მხრიდან ძველი მთავრობისთვის ახალი ნდობის გამოცხადება მინიმუმ უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე მოსალოდნელია.

დღეს წელია იმ სამასი მილიონ ლარის ზუსტი მისამართის მიზნად, რომელიც ბიუჯეტის ნაცვლად სხვა კალაპოტში აღმოჩნდა.

მაგრამ ეს პრეზიდენტის უშუალო პასუხისმგებლობაა. დაუშვებელიცაა და წარმოუდგენელიც, ქვეყნის პრეზიდენტმა არ იცოდეს ის არსები, რომელშიც წლიდან წლიმდე ბიუჯეტის უზრუნველი თანხები მიედინება. ცხადია, ამ არსების დადგენის გარეშე სახელმწიფოში მოიძარეო ფული მიმართულადგანის არ შეიკვლის. რაკი ვახუსლენდში მთავრობამ ფულის დინება სწორ კალაპოტში არ და ვერ მოაქცია, არაფოთარი ილუზია არ არსებობს, რომ ამ პრობლემას იგივე მთავრობა სამომავლოდ მოავადრებს.

მატიციე ლოგიკით, მინისტრების შეცვლა უნდა დამწყბულიყო იმ მიზეზებიდან, რომელთა ვიზებო სამასი მილიონიდან ყველაზე სოლიდური თანხა დაიღებ და ასე, თანმიმდევრით. მაგრამ ამ არ მოხდა. არც არავინ ბეჭტუბადა და არც არავინ დაიჯერებდა, რომ ქვეყანა თამარ ბერტუბაშვილმა, ლადო პაპავამ, დავით ანჯორიშვილმა, ბადრი შოშტიავიშვილმა, სერგო ესაკიან და ვალერი ასათიანმა დააქციეს.

ცვლილებები მოხდა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ ცვლილებებს არაპრინციპული მასაობა აქვს, სამომავლოდ ბიუჯეტში შემოსავლები ისევ ისე შემოვა, უფრო ზუსტად, ისევ ისე არ შემოვა, როგორც აქამდე.

უნდა ვიფიქროთ, რომ პრეზიდენტისთვის ეს მედომარეობა ცნობილია და, რაღაც მოსაზრებით, მისაღებია; ყოველ შემთხვევაში, უფრო მეტად მისაღებია, ვიდრე ძველი მთავრობისგან ქვეყნის ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლება.

პარადოქსი ისაა, რომ მთავრობას, როგორც წესი, არაგუნდური, გათითოკაცებული საქმიანობის გამო ამუშაობენ. მთავრობა მართლაც არ არის ერთიანი გუნდი იმ მომენტისთვის, როდესაც მინისტრები ინიშნებიან. მაგრამ იმ მომენტისთვის, როდესაც საბიუჯეტო გარღვევა 300 მილიონს აღწევს, მთავრობა უფე ერთიანი ორგანიზაცია, 150 ლარიანი მინისტრების იძულებით გადადგაჭვული გუნდია, - იმის მიუხედავად, თუ ვის ოჯახში არ დოღლათი შევიდა.

განმორცილებული სამთავრობო ცვლილებები აბსოლუტურად ვერ ცვლის ზოგად სურათს. ცოტა უკეთესი-ცოტა უარესი არაფერს ნიშნავს, როდესაც ქვეყანა კატასტროფის მედგომარეობაშია და კრიზისის მედგომარეობაზე ოცნებობს.

ამ შემთხვევაში, მოსახლეობას თავის მიერ არჩეული პარლამენტის იმედი უნდა მჭირდეს, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, იმისთვის არსებობს, რომ ამომრჩევლის ინტერესები დაიცვას.

როდესაც ელენე თევდორაშვილ განაცხადა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ვალს უხდის წინაგან საქმეთა მინისტრს, ამით მან აღიარა, რომ დღევანდელი პარლამენტი არცთუ მთლად ხალხის არჩეულია. შესაძლოა, ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ პარლამენტმა უკრიტიკოდ გაიზიარა პრეზიდენტის პოზიცია და, დაპირებების მიუხედავად, არსე-

ბოთი განხილვის გარეშე დაუჭირა მხარი ძველ მთავრობას.

შესაძლოა, ესეც ლოგიკურია, რადგან პარლამენტმა იგრანო პასუხისმგებლობა არა ზოგადად ხალხის წინაშე, არამედ იმის წინაშე, ვისგანაც კონკრეტულად იყო დავალებული.

იმ დროს, როდესაც რეზო შავიშვილი და დავით ონოფრიშვილი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მთავრობის არადამაკმაყოფილებელ საქმიანობაზე, მთავრობის წევრებს შორის კოორდინაციის დაბალ ხარისხსა და ზედმეტ ბიუჯეტურგატიანე საუბრობდნენ, საპარლამენტო კომიტეტები ისევე ძველი მინისტრების კანდიდატურებს განიხილავდნენ და მათ საქმიანობას დაედებოთ დაქსნას აძლევდნენ.

ისინი, ცინც გასულ წლებში არადამაკმაყოფილებელი იმეუშავა, ვისი საქმიანობაც არაერთიანი და არაუკმაყოფილო იყო, კომიტეტების წინაშე რეფორმატორული პროგრამებით და განადვილებული სამომავლო გეგმებით წარსდგნენ.

საპარლამენტო კომიტეტებმა მოიწონეს ეს გეგმები და მინისტრებს მხარი თითქმის ერთხმად დაუჭირეს. იგივე განმეორდა პლენარულ სხდომაზე, სადაც ძველ, მაგრამ ამჟერად რეფორმატორული გეგმებით აღჭურვილ ძალოვანებს ორიოდვე მონინააღმდეგე თუ აღმოჩნდა.

საკომიტეტო და საპარლამენტო კენჭისყრების შედეგებით არანაირად არ გამომდინარებოთ, რომ პარლამენტი უკმაყოფილოა მთავრობის საქმიანობით ბოლო წლების განმავლობაში და შემოთვითულია ქვეყანაში არსებულ ვითარებით. უფრო მეტიც: საპარლამენტო უმრავლესობამ მინისტრების კანდიდატურები დახსურულ სხდომაზე განიხილა. რატომ დახსურეს სხდომა, გაუცებარია, რადგან დარბაზიდან ფოიეში თავისუფლად ადწენდა მთავარი მხაური - ტაშის ხმა, რომლითაც ყოფილ და მომავალ მინისტრებს აჯილდოებდნენ.

რაც შეეხება რეფორმებს, რომლებიც ძალოვანების მიმართ კეთილგანზობილ და ტაშს დაედო საფუძველად წარმოუდგენლობა, რომ პარლამენტს აქვს იოლად "გადაკლავა" ძალოვანების რეფორმატორი და არავის გახსენებოდა ბრენქინგდინოდელი სიბრძნე "სამი კონვერტში" შესახებ.

იმ ცნობილ სამ კონვერტში სამი რჩევა იდო ახლად დაინშნული ხელმძღვანელებისთვის. მიგველო კონვერტში პირველი კრიტიკისთანავე უნდა გახსნილიყო. რჩევა აშკარად ჭკვიანური იყო: დაბარულ ყველაფერი წინამორბედს. რაცაც ის აღარ გაჭირდა და პრობლემების მეორე ტალღა წამოვიდოდა, მეორე კონვერტს გახსნის ჯერი დგებოდა. მეორე რჩევა სიბრძნით გათიორჩეოდა: ამით უფე რეფორმები, დაარქვი ექსპერიმენტი, რეორგანიზაცია, დანი ზვერ დროს მოიციტ. როცა ესეც ჩაიკლავდა და საშველი აღარ ჩანდა, მხოლოდ მაშინ უნდა გახსნილიყო მესამე კონვერტი, უსამიოვნო, მაგრამ საქმიანი რჩევეთ: ჯობს, საკუთარი ინიციატივით დაწერიო განცხადება წასვლაზე.

მთავარი, რაც პარლამენტში საკომიტეტო მოსმენების გამოჩნდა, ის იყო, რომ ძალოვანები და ეკონომიკური ბლოკის მინისტრები ორ ნაბიჯზე არ ენდობიან ერთმანეთს. ძალოვანებს მიანიჩნია, რომ ეკონომიკური გუნდი, მათგან განსხვავებით, არამოწინააღმდეგე შემოაბს; ხოლო ეკონომიკური პარტიის მინისტრებს მიანიჩნია, რომ ვიდრე ძალოვანები თავის ქვეყანაზე ზრუნებს და თავისი საქმის პატიოსნად კეთებას არ დაინწყენ, ქვეყანაში შემოსავლები, პრაქტიკულად, არ იქნება.

ისინიც და ესენიც ერთ მთავრობაში არიან და, ფორმალურად მაინც, მათ იმედაზე ქვეყანა. მომავალი მინისტრები დამტკიცებამდეც კი ვერ მალავენ ერთმანეთის მიმართ უნდობლობას. ეს ნაწილობრივ მაინც ხსნის, რატომ არის საქმე უკლად. მაგრამ კიდევ უარესია ისაა, რომ ორად ორი ადამიანი, ვინც მხამალა შეაფასა მთავრობის საქმიანობა "ორინაზე" - რეზო შავიშვილი და დავით ონოფრიშვილი - საკუთარი წინათ გადადგნენ თანამდებობიდან და დღეს ხელიუსუფლებაში აღარ არიან.

თუმცა, შავიშვილის გადადგომა დროული და კანონზო-

მიერი იყო: საგანგებოდ გამოიკვლიეს ზედაპირზე წყლულ-
და გამოიკვინა - ჭირმა თავი არ დამალა. მოლოდინების გაქ-
არნულები ატმოსფეროში რაღაც უსათუოდ უნდა მომზად-
რიყო და რაღაც მოდა.

მაგრამ, გამოირცხული არ არის, სინამდვილეში უფრო
მეტკვ კი დება, ვიდრე მაკვივლილს გადადგამია.

"არილი" წინა ნომერში ვრცელი წერილი გამოქვეყნდა
იმის შესახებ, რომ ვაჟა ლორთქიფანიძის სამთავრობო კა-
რიერა შედეგებს ძალაუფლებამ გადაიყოლა. წერილში ნათ-
ქვამი იყო, რომ სახელმწიფო მინისტრის მოვალეობებით
დახმარება და მისი ძალაუფლების გაზრდა, ფაქტობრივად,
წინადაც მის წინაწარმადგენლებს განრევას, რამაც ლოკა-
კურ დახასრულს 300 მილიონიანი საბიუჯეტო გარღვევისას
მიადნას.

იმავე წერილში შედარებით ოპტიმისტურად იყო შეფა-
სვული ზურაბ ჟვანიას სამომავლო კარიერა, ყოველ შემთხ-
ვევაში, იმ დრომდე, ვიდრე პოლიტიკური პროცესის განვითარება
თავისა და ჟვანიას, თავის გუნდთანად, აღმასრულებელ ხელი-
სუფლებებში არ მიიყვანდა და ჯერ გადაულახავი დაბრკო-
ლებების პირისპირ არ მოექცევა.

მაგრამ როდესაც ის წერილი იწერებოდა, ახალი მთავ-
რობებმა ცნობილი იყო მოხლოდ სახელმწიფო მინისტრის
ფინანსა, რომელიც ენერჯეტიკად საურთილებად არსებით საკ-
ვინო ცვლილებებზე. საგარეოდ იყო, რომ მას დაახლოე-
ბით მიიჭრ ეკვილიბრუბა, ვითარც მოუხდებოდა მუშაობა.
ტყობა, არ იცოდა.

დღეს, როდესაც უკვე ცნობილია ის, რაც უტყობი იყო
ორი კვირის წინ, ჩნდება ახალი ვერსია: სამთავრობო ცვლი-
ლებებმა ჩინებულად ხომ არ შეასრულა სწორედ ის ამ-
ოცანა, რაც მას პრეზიდენტმა დაუსახა - არა ლორთქიფა-
ნიძის მოცილება ჟვანიას გასაძლიერებლად, არამედ საერო-
ხელმძღვანელებს მქონე ორივე პოლიტიკური ფაქტორის -
ჟვანიას და ლორთქიფანიძის - ერთმანადა დასუსტე-
ბა.

თუ ეს ასეა, ზურაბ ჟვანიას მიმართ აშკარად უფრო
რთული და მრავალსაბუთი "ჩაძირვის ოპერაცია" მიმდინარე-
რობს, ვიდრე ვაჟა ლორთქიფანიძის წინააღმდეგ განხორ-
ცილდა. საყვედურთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ხელ-
ისუფლებებში ზურაბ ჟვანია ერთადერთი გუნდური ამბი-
ციის მქონე პოლიტიკური ფიგურაა. მისი ძალა მისი გუნ-
დია. მაგრამ ეს გუნდი წლიდან წლიმდე მქონდებოდა.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ეკონომიკური ბლოკის
წინააღმდეგ თანადამბობებზე სწორედ ჟვანიას გუნდის წევრები
ინიშნებიან: ჭკუასული, ონოფრიშვილი, მაჭავარიანი, ნოღაი-
დელი. თვითნადა მათ მისვლას მთავრობაში დიდი იმედები
უკავშირდებოდა, მაგრამ თანდათან ეს ამბავი დაემსგავსა მე-
ლი და მწყერჩიტას ცნობილი ზღაპარი: "ჩიტო, ჩიტო, ჩი-
რორაო!" "რაო, ბატონო მელო?" "ერთი ბატონი გადმო-
მიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ! ცურს მოგიჭრი,
ცურსეულასა, ხელეწორს და წაღდუნასა, ხესაც მოგიჭრი,
ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა!" ჩიტო
იძულებულია, ერთი შვილი განიროს დანარჩენების გადა-
სარჩენად, მაგრამ, ადრე თუ გვიან, მათი ჯერიც დგება.

შესაძლოა, ეს ზღაპარი თავისი სტულისკვეთებით უფრო
ტრაგიკულია, ვიდრე ჟვანიას პოლიტიკური გუნდის ბედი.
მაგრამ ფაქტია, რომ ეს გუნდი ყოველ წელსადაც მთავრო-
ბაში ავტონომიის თითო-თითო წევრს, თანაც, ისეთ თანამდ-
ებობებზე, საიდანაც პოლიტიკაში ველარაინ ბრუნდება.

ამ ლოგიკით, მომავალი სამთავრობო ცვლილებებისას
ყველაზე საპასუხისმგებლო მინისტრებად, შესაძლოა, ედ-
ვარდ ლურსაბიძე და ხათუნა გოგორიშვილი მიინვიოს.

ყოველი შემთხვევაში, ერთადერთი პოლიტიკური გუნდი-
დან თითო-თითო ადამიანის გაშვება ეკონომიკური ბლოკში,
ხოლო დანარჩენი სამთავრობო შიროვის უაღველად შენარ-
ჩუნება ძალიან შავს უძირო ქვეყრში სასიცოცხლო რესურ-
სის ჩაშვებას.

თუ ზურაბ ჟვანიას მაინც მოუხდება აღმასრულებელ ხე-
ლისუფლებებში გადანაცვლება, აღარავინ იცის, იმ დროისათვის
ვის ვინ დაარჩება მის გვერდით მისივე გუნდიდან.

ერთმა ჭკუის საკითხებმა დამიანმა მომანდა იცოდა, რომ
ედუარდ შევარდნაძის ამფაინდელი არჩევანი, რომელიც მან
ძველი მთავრობის სასარგებლოდ გააკეთა, გამოძახილია ძვე-
ლი ტერაქტების; უფრო სწორად, იმ ტერაქტების გვიანი ზე-
მოქმედების. ტერაქტების დროს იყო საფრთხე და არ იყო
შიში. რაც დრო გადის, პრეზიდენტს სულ უფრო მეტად
იპყრობს ძალაუფლების დაკარგვის შიში. ამჯერად ყველა-
ფერი პირიქითაა: შიში გაჩნდა მაშინ, როდესაც საფრთხე არ
არსებობს. ამიტომ, პრეზიდენტის სიფრთხილე ვითარების
შეუსაბამო და საზოგადოებისთვის გაფხვარია.

ეს საინტერესო ვერსიაა. თუმცა, არსებობს უფლება
აქვს სხვა ვერსიისაც.

შევარდნაძეს ბევრჯერ გადაუფარგამს არაპოპულარული
ნაბიჯები, რომელთა არსი მოქალაქეთა დიდი უმრავლესო-
ბისთვის გაუგებარი ყოფილა, თუნდაც, ვარიკველ უტყუარად
შესახდოდა, მისი ამფაინდელი გადაწყვეტილების მიზანშეწო-
ნილებაც ოდესმე გაეცხადეს.

ფაქტია, რომ როდესაც 1994 წელს ჩქარობდა გია ჭან-
ტურია და ამბობდა, რომ თუ ენერჯეტიკად არ ვიმოქმედებ,
ბალანსის პოლიტიკასთან ერთად დავიმარტებითო, შე-
ვარდნაძეს მიანდა, რომ ჯერ ადრე იყო.

როდესაც 1998 წელს ჩქარობდა ზურაბ ჟვანია და ამ-
ბობდა, რომ საგანგებო ნაბიჯებია ზუგასადგმელი უფსკრუ-
ლის პირას მისული ქვეყნის გადასარჩენად, შევარდნაძე ის-
ვე არ ჩქარობდა და რადიკალურ ცვლილებებს ერიდებოდა.


2000 წელს, ნებისთუ უნებმიეთ, კატასტროფის საფ-
როსებზე და წარულოდგენლად მიმე ნაბიჯების აუცილებელ-
ბაზე კახა თარგამაძე აღაპარაკდა. პრეზიდენტი ისევ არ ჩქა-
რობს და არ ცვლის მთავრობას.

თუ მოვლენების ლოკაცა არ გვიანტერესებს და პრეზი-
დენტის მიმართ ნელიბის ამოუღწერავი მარაგი გვაქვს, შეგ-
ვიძლია, მის ყველა გადაწყვეტილებას პირდაპირ დავეთანხ-
მოთ და ტექმარტების ძიებით თავი არ დავივლოთ. მაგ-
რამ თუ მაინც გადავწყვეტთ, მოვხებთნო მასში კითხვებ-
რატომ არ შეცვალა პრეზიდენტმა ბიუჯეტის გამაპოტბე-
ლი მთავრობა? - დავაფხვრებო მასთვის მოქმედა ამფარ-
დატორებმა, როგორც არსდებო.

ყოველ შემთხვევაში, ბოლო დღეების განმავლობაში ჩემ-
თან მოსაუბრე ადამიანების ასპოლუტური უმრავლესობისთვის
პრეზიდენტის ბოლო გადაწყვეტილება გაუგებარი და
მიუღებელია. ხალხი ამ მთავრობისგან კარგს არაფერს ექს-
ის. რადგან როგორცაა მთავრობა, ისეთივეა ბიუჯეტი. უ-
საბამისია, როგორც იყო გასული წლების ბიუჯეტი, ისე-
თნოდ იყო მთავრობა - განრევული, რაც ძველ ქართულად
"ავადმყოფს", "კუტს" ნიშნავს.

რა მოხდება ედუარდ შევარდნაძის ძველ ბიუჯეტსა და
ძველ მთავრობაში - ეს, ჯერჯერობით, მის პირად სადღემ-
ლოდ ჩნება.

პრილი



საქართველოს ყოფილ ტერიტორიაზე 22-ე საუკუნის მასწავლებელი ატარებს ისტორიის გაკვეთის საქართველოს ყოფილ ტერიტორიის შესახებ.

ჩვენ ვიმყოფებით საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, სადაც 21-ე საუკუნის დასაწყისში განვითარალდა მრავალეროვნული ქვეყანა თავისი ძირითადი მოსახლეობით, ქართველებით.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასასრული უკავშირდება ცივილიზებულ ქვეყნებს შორის ურთიერთგაგების საერთაშორისო მეორანდუმის გაფორმებას, რომლის თანახმად, ცივილური ფორმებით უნდა მომხდარიყო სამშუბარო კერებისგან პლანეტის გასუფთავება.

მცირე მეცნიერული ექსპერიმენტის ჩასატარებლად სწორედ საქართველოში აღმოჩნდა ნოყიერი ნიდაგი. აქ არ ცხვრობდა ველური ხალხი, რომელსაც არ ეჩვენოდა ცივილიზაციის მოთხოვნილება; იყო სხვადასხვა ეროვნების შემსწარმებლობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და ბოლოს, ეს იყო ვერაზის დერეფანი, რომელიც, სასურველი იქნებოდა, თუ კირველ რიგში გახდებოდა საერთო კონტინენტის ტერიტორია.

ექსპერიმენტის არსი მდგომარეობდა რეგიონული თვითმმართველობის ხელშეწყობაში, განხორციელებინა ეროვნული თავისუფლების იდეა, თანხედროვე ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად. თვითმმართველობის მოთხოვნები და მათივე სრული განკარგვის უფლებები ქვეყანაში შეიტანეს პუმანიტარული დახმარებები, გრძელვადიანი კრედიტები, ინვესტიციები, ეკონომიკური პროექტები.

ეს ნიშნავდა განვითარებადი ქვეყნის მექანიკურ დაქოქვას და მიზეზებს საერთაშორისო სტანდარტებით შემოიბოძო თავის ნებაზე. 14 წელი ტრანდარტად საქართველოს სახელმწიფო მანქანა პერსპექტიულ ჩაწრობაში და ქვეყნის მესაჭენივ დაუზოგავად ახეთქებდნენ საზოგადოებას ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, მაგრამ მოსახლეობის გამოლაყების მეტს ვერაფერს მიაღწიეს და საერთაშორისო სტანდარტებიც შორეულ ოცნებად, მიუღწევად დარჩა. ქვეყანას საკუთარი სახე უკვე დაკარგული ჰქონდა ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო თანამედრობისასან გაფორმებულ ხელშეკრულებით რეკომენდირებული არ იყო პროცესის უკან დაბრუნალება. დიდიან-პატარაინად ყველამ მიზეზს დაუწყო ძებნა, მაგრამ კონკრეტულ შედეგადვე ვერავინ მივიდა. სამაგიეროდ, საქმე მივიდა იქამდე, რომ ქვეყანამ 14-ლარიანი სტანდარტიც კი ვერ შეასრულა. ხელისუფლება წლების განმავლობაში ვერ ახერხებდა თავისი უშეწონო მოქალაქეთათვის 14-ლარიანი დანხარების სისტემატრად გაკაცებას და გათავისუფლებ ამ პრობლემის მოგვარებაზე ღალატარაკობდა. 14-ლარიანი პრობლემა ქვეყნის ორიენტირი გახდა. შესაბამისად, ქვეყანაში 14-ლარიანი იყო ყველაფერი: პოლიტიკა, ეკონომიკა, სამართალი, კულტურა, განათლება, სპორტი. ვინც მოახერხა, თავიდანვე განაწილდა ცივილიზებულ მსოფლიოში, დარჩენილები უკმაყოფილებით შეიარაღდნენ და დანყო ქვეყნის განვითარება.

ეს პერიოდი ისტორიაში შევიდა 14-ლარიანი ომის სახელწოდებით. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი - დოლარის ქვეშაგები იყო და თანდათან ცვედებოდა, ხოლო ომი მიმდინარეობდა ძალადხელისუფლებასა და ნახშირ მოსახლეობას შორის. ბრძოლა დაიწყო საქართველოში მომხდარ "დემოკრატიული რევოლუციის" შემდეგ, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი დღემდე არ მოეძებნება. ეს იყო სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც მსოფლიოს პროგრესულ მოვლენათა რიცხვში მხოლოდ იმითურ შევიდა, რომ

მომავლის გაკვეთილი

მას ერთადერთი სიტყვა - დემოკრატია - დამუხატეს და ძალიან ორიგინალური შემოქმედებითი შესაბამე მიიღეს.

ისტორიაში არ არსებობს ამ ფაქტის ლოგიკური ახსნა, თუმცა ცნობილია, რომ ამ უცნაური "დემოკრატიული რევოლუციის" ნათლია იყო საქართველოს მამნიტული და უკანასკნელი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. გაგრძელებული ვერითი მას, როგორც მსოფლიოში აღიარებულ პოლიტიკოსს, კოლეგებისგან მინიჭებული ჰქონდა მანდატი, ზედმეტ განსჯის გარეშე დაამკვიდრებინა ისტორიაში ეს მხველსიტყვიერი ინიციატივა. ამით მას ღირსეული ადგილი დიკავა შექსპირის ("ყონდა, არყოფნა, საკითხავი აი, ეს არის"), ნაპოლეონის ("არასრულწლოვანებისთვის ადრეა იმი") და გიორგი სააკაძის ("ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძგერს გული") გვერდით.


როგორც მოსალოდნელი იყო, "დემოკრატიულმა რევოლუციამ" წარმოშვა დემოკრატიის მუქმბედილი სახე - კაბინეტური დემოკრატია, რომელიც ინყვობდა და მთავრდებოდა თანამდებობის პირთა მისაღებებში, სადაც ყველას შეეძლო რიგში დგომა. ასევე ყველას შეეძლო დემოკრატიის თეთრიული ქდაგება, მაგრამ დემოკრატიული აზროვნება და ქმედება რეკომენდებული არ იყო და ჯანმრთელობისთვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა.

ამრიგად, 14-ლარიან ომს სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ეწირებოდა. ხელისუფლება საქეს ხელს არ უშეკებდა და დრო და დრო მკვეთრად აზიზზავებდა. სუსტები სახელმწიფო პლატფორმიდან ცვიოდნენ. ექსპერიმენტი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა - როცა სახელმწიფო მანქანამ ავარია განიცადა, პლატფორმიდან მესაჭენიც გადავიკრდნენ. საქართველოს სახელმწიფოებრიობა დასრულდა.

მას შემდეგ ექსპერიმენტი მთელ მსოფლიოში დანერგა და ცივილიზაცია ერთხელ და სამუდამოდ უმტკივნეულოდ გათავისუფლდა ზედმეტი ქვეყნებისგან.

მსოფლიო ცივილიზაციის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოს განვითარების შემდეგ მისი ყოფილი ტერიტორიის ყველაზე უხვებისავლიან ადგილზე გაკეთდა მექანიკური ვაზის მუზეუმი, სადაც ყოველ შემოდგომაზე გადმოედინება საუკეთესო ევროპული ღვინო.

ბავშვები, ახლა შეგიძლიათ დაიხსენოთ. არ დაგავიწყდეთ, რომ 15 წუთში გეოგრაფიის გაკვეთილი დაიწყება გრენლანდიაში. გასოხეთ, არ დაგავიანოთ.





<http://www.opentext.org.ge/arili>



